# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 30 ოქტომბერი 2002 №206 (1728) | ფასი 50 თეთრი







# დეპორტაცია ევროპიდან

## უტაკამ მილანსაც უთაქა


ლანსი — მილანი 2:1. ჯონ უტაკამ ფრანგთა გამარჯვებისა გაიტანა

ლიგის მეორე ეტაპზე ადრევე გასულ „მილანს“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ გუშინ „იუვენტუსი“ და „ლევერკუზენი“ შეუერთდნენ, მაგრამ მთავარი ამბავი ლა კორუნიაში მოხდა — „ბაიერნი“ ჯგუფში ჩარჩა. მეტიც, მიუნხენელებმა უეფას თასზე გადაბარგების შანსიც დაკარგეს. მეოთხეადგილოსნობაში მათ „მილანიც“ წაეხმარა, სიტყვა რომ გატეხა და „ლანსს“ ვერ მოუგო. თუმცა, კაცმა რომ თქვას, რატომ გატეხა — კარლო ანჩელოტიმ „ბაიერნს“ ლიგაში დასარჩენად აღუთქვა დახმარება, თორემ უეფას თასზე გადაგიყვანთო, ეგ არ უთქვამს. რა მისი ბრალია, „ბაიერნზე“ უსუსურად წლევანდელ ლიგაში მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკი“ რომ თამაშობს. შეცვლაზე ითამაშა კახა კალაძემ, რომელიც მოედანზე მაშინ შევიდა, როცა უტაკას „ლანსის“ გამარჯვებისა გატანილი ჰქონდა. „მანჩესტერმა“ სულ მთლად აიღო თამაშზე ხელი და „მაკაბი“ სამი გოლით გაახარა. ჯგუფიდან ადრევე გასულთაგან მხოლოდ „ბარსელონამ“ გამოიდო თავი და ხუთივე მატჩის მომგებ ერთადერთ გუნდად დარჩა. სხვა მხრივ გარკვევის ნაცვლად ვითარება უფრო დაიძაბა. „ნიუკასლმა“ ზედიზედ სამი მარცხის მერე მეორე თამაში მოიგო და დიდი შანსია, ჯგუფიდანაც გაძვრეს. ბრძოლას დაუბრუნდა „ლოკომოტივიც“, რომელმაც სტამბოლში სძლია ლომთა ლომ „გალათასარაის“. ისე, რა უცნაურობაა — „ლოკომოტივი“ და „გალათასარაი“ მეორე ეტაპზე შესაძლოა შვიდი ქულით გავიდნენ; „ლანსს“ კი საამისოდ ათი ქულაც არ ეყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003
## I ჯგუფური ეტაპი. V ტური

### E ჯგუფი

**იუვენტუსი 2:0 ფეიენოორდი**

1:0, 2:0 დი ვაიო (4, 69)

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი (იულიანო 71), ფერარა, ტუდორი (ძამბროტა 89), ბირინდელი, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი (ზენონი 82), დელ პიერო, დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

ფეიენოორდი: ზუტებიერი (ლოდევეიქსი 46), ჩ. სონგი, ვან ვონდერენი, პაუვე, რჟასა, ემერტონი, ბოსველტი, ონო, ბუფელი, ბომბარდა, ლურლინგი

მწვრთნელი: ბერტ ვან მარვაიკი

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

35 789 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:1 დინამო**

0:1 შაცკიხი (47), 1:1 სპიდი (58), 2:1 შირერი (69პ)

ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ჰიუზი, ბრემბლი (დაბიზასი 27), ე. ობრაიენი (ბერნარი 46), სოლანო (დაიერი 83), ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ამეობი

მწვრთნელი: ბობი რობსონი

დინამო: რევა, ნესმაჩნი, დმიტრულინი, გავრანჩიჩი, გუსინი, ლეკო (რინკონი 71), პეევი, გიოანე, ელ-კადური, ბელკევიჩი, შაცკიხი

მწვრთნელი: ალექსეი მიხაილიჩენკო

მსაჯი: ანტონიო ფერნანდეს მარინი (ხავიერ ლოსანტოს ომარი 46, ესპანეთი)

40 125 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:2 | 10 |
| დინამო | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | 7 |
| ნიუკასლი | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | 6 |
| ფეიენოორდი | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |

### F ჯგუფი

**ლევერკუზენი 2:0 ოლიმპიაკოსი**

1:0 ფრანსა (14), 2:0 შნაიდერი (90პ)

ლევერკუზენი: ბუტი, ჟივკოვიჩი, ლუსიო, ჯუანი (ოჯიგვე 46), პლასენტე, შნაიდერი, ბალიტში, ბაშტურქი, ბაბიჩი, ნოივილი (ზიმაკი 62), ბერბატოვი (ბრდარიჩი 90)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ანატოლაკისი (ზეტერბერგი 46), პატსაცოგლუ, ვენეტიდისი, ანცასი (ოფორი-კუაიე 62), იანაკოპულოსი, ჯორჯევიჩი, კარამბუ, მავროგენიდისი, დრამენა, ხუტოსი (ჯოვანი 24)

მწვრთნელი: იანის კოლიასი

მსაჯი: ალფრედო ტრენტალანჯე (იტალია)

22 500 მაყურებელი

**მაკაბი 3:0 მანჩესტერი**

1:0 კატანი (40), 2:0 ზუტაუტასი (56), 3:0 აიეგბენი (77პ)

მაკაბი: ავატი, კეისი, ბენადო, ხარაზი, ზანო, ზუტაუტასი (ზანდბერგი 81), პრალია, ბადირი, როსო, კატანი, აიეგბენი (ალმოშნინო 84)

მწვრთნელი: იცხაკ შუმი

მანჩესტერი: რ. ლოპესი, გ. ნევილი, ოში, ფერდინანდი, სილვესტრი, ფორჩუნი, სტიუარტი, ფ. ნევილი, რიჩარდსონი (ნარდიელო 62), სოლსკაერი, ფორლანი (ტიმი 79)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

22 500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:8 | 12 |
| ლევერკუზენი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:9 | 9 |
| მაკაბი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:9 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 1 | 0 | 4 | 8:14 | 3 |

### G ჯგუფი

**დეპორტივო 2:1 ბაიერნი**

1:0 ვიქტორი (66), 1:1 სანტა კრუსი (77), 2:1 მაკაი (89)

დეპორტივო: ხუანმი, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი, რომერო, ვიქტორი (ტრისტანი 85), მაურო სილვა, სერხიო, კაპდევილა, ფრანი (აკუნია 65), მაკაი (დონატო 90)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ტარნატი (ლიზარაზუ 60), იერემისი, შოლი, ბალაკი (ფინკი 51), სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუსი 46), ელბერი, ზე რობერტო

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

30 000 მაყურებელი

**ლანსი 2:1 მილანი**

0:1 შევჩენკო (31), 1:1 მორეირა (41), 2:1 უტაკა (49)

ლანსი: ვარმუზი, ა. კულიბალი, ბაკი, რ. სონგი, რუელი, ჟ. ბ. დიოპი (ფერდინანდ კოლი 57), კეიტა, კორიდონი, სიბიერსკი (ფიიე 87), უტაკა (ტომბერი 90), მორეირა

მწვრთნელი: ჟოელ მიულერი

მილანი: აბიატი, ჰელვეგი, კოსტაკურტა, ლაურსენი, მალდინი (კალაძე 65), დალა ბონა, პირლო, ამბროზინი, სერჟინიო (ზეედორფი 65), შევჩენკო (ბორიელო 46), ტომასონი

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მსაჯი: გრემ ბარბერი (ინგლისი)

39 474 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| დეპორტივო | 5 | 3 | 0 | 2 | 9:11 | 9 |
| ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 7 |
| ბაიერნი | 5 | 0 | 1 | 4 | 6:10 | 1 |

### H ჯგუფი

**გალათასარაი 1:2 ლოკომოტივი**

0:1 ლოსკოვი (71), 1:1 ზაზა (73), 1:2 ევსეევი (76)

გალათასარაი: მონდრაგონი, უნსალი, ბიულენტი, ემრე აშიქი, დაბალა უმითი, ჯიპაპე (ფელიპე 72), ბანტუ, ერგუნი, ბალიჩი (ზაზა 46), არიფი (ბატისტა 46), კრისტიანი

მწვრთნელი: ფატიჰ თერიმი

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, იგნაშევიჩი, ლეჩკოვი, მამინოვი, პაშინინი, ლოსკოვი, ევსეევი, სენიკოვი, პიმენოვი, ობიორა (ჟულიო სეზარი 78)

მწვრთნელი: იური სიომინი

მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

20 000 მაყურებელი

**ბრიუგე 0:1 ბარსელონა**

0:1 რიკელმე (64)

ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, სიმონსი, ბ. მარტენსი, ვან დერ ჰეიდენი (რისტიჩი 67), ლესნიაკი (მატერნსი 80), კლემენტი (მილარი 67), ენგელბერტი, სტოიკა, ს. მარტენსი, ვერჰეიენი

მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი

ბარსელონა: ენკე, პუიოლი, ნავარო, როჩემბაკი, ხერარდი, გაბრი (დ. სანჩესი 88), დანი, ტორტოლერო, ინიესტა, რიკელმე, ჯოვანი (დე ლა ფუენტე 61)

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

23 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 5 | 0 | 0 | 10:3 | 15 |
| ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 5 |
| გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| ლოკომოტივი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |

# უეფას თასი 2002-2003
## მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

ჟიჟკოვი (ჩეხეთი) 0:1 ბეტისი (ესპანეთი)

0:1 დენილსონი (44)

ლეგია (პოლონეთი) 2:3 შალკე (გერმანია)

0:1, 0:2 გ. ვარელა (49, 53), 1:2 დ. დუდეკი (57), 2:2 სვიტლიცა (63პ), 2:3 სანდი (89)

იურგორდენი (შვედეთი) 0:1 ბორდო (საფრანგეთი)

0:1 ფეიდუნო (63)

# ინგლისი

### I დივიზიონი. XVI ტური

ჯილინგემი 0:4 ვულვერჰემპტონი
გრიმსბი 6:5 ბარნსლი
ლესტერი 2:1 ძოვენთრი
ნორვიჩი 0:0 ნოტინგემი
პორტსმუთი 3:2 პრესტონი
უოლსოლი 3:4 კრისტალ პალასი
უიმბლდონი 2:1 როტერჰემი
რედინგი 1:0 ბრედფორდი
მილუოლი 0:1 კარდიფი (?)
შეფილდი 0:1 კარდიფი
ნოტსი 1:1 სუინდონი
ოლდემი 4:0 ნორთჰემპტონი
ტრანმერი 1:1 პიტერბორო
უიგანი 1:1 ქუინზ პარკი
უიკომბი 2:0 ჩესტერფილდი

### II დივიზიონი. XVI ტური

ბლეკპული 1:3 სტოკპორტი
ბრენტფორდი 0:0 პლიმუთი
ბრისტოლი 1:0 ჰადერსფილდი
ჩელტენემი 0:1 პორტ ვეილი
ქოლჩესტერი 1:1 ბარნსლი
ქრიუ 0:1 ლუტონი

### III დივიზიონი. XVI ტური

დარლინგტონი 1:1 სკანთორპი
კემბრიჯი 2:1 კარლაილი
ჰარტლპული 2:0 როშდეილი
ლეიტონი 2:1 საუთენდი
ლინკოლნი 1:1 ბერი
მაკლსფილდი 2:1 ოქსფორდი
როჩდეილი 3:3 ექსეტერი
რაშდენი 1:0 ბოსტონი
შრიუსბერი 1:1 ჰალი
სუონსი 0:4 კიდერმინსტერი
ტორკი 4:0 ბორნმუთი
იორკი 1:1 რექსემი

# შოტლანდია

### მეორე დივიზიონი
### გადადებული მატჩი

ბრეჩინი 1:1 დამბარტონი

### ლიგის თასი. 1/8 ფინალი

ეარდრი 1:2 დანდი იუნ.

სტ. ჯონსტონი — ლივინგსტონი

0:0 -ზე ჩაიშალა

# გერმანია

### სამხრეთ რეგიონალლიგა
### გადადებული მატჩი

ბაიერნი (მ) 2:0 აალენი



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ფეიენოორდი. მარკო დი ვაიომ ჰოლანდიელები ორი გოლით გაისტუმრა



REUTERS ნიქოზიიდან

მაკაბი — მანჩესტერი. ინგლისელთა ესპანელ მეკარე რიკარდო ლოპესს პირველი გოლი იანივ კატანმა (მარჯვნივ) გაუტანა



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — დინამო. ინგლისელთა გამარჯვების გოლი ალან შირერმა პენალტით გაიტანა



REUTERS ბრიუგედან



ბრიუგე — ბარსელონა. ხუან რომან რიკელმემ ბელგიელები შინ ნირწამხდარნი დატოვა

# ჩემპიონთა ლიგა V ტური, დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### პსვ ეინდჰოვენი — ოსერი

სავარაუდო შემადგენლობები

| პსვ ეინდჰოვენი | ოსერი |
|---|---|
| ვატერეუსი, ბოგელუნდი, ფაბერი, ჰოფლანდი, ბუმა, რომედალი, ვან ბომელი, ფოგელი, რობენი, კეჟმანი, ბრუგინკი | ფაბიან კული, რადეტი, ბუმსონგი, მექსეში, ტაური, მატისი, ფეიე, ლაშუერი, ჟ. სისე, კაპო, ფადიგა |

მსაჯი: ქნუდ ერიკ ფისკერი (დანია) დისკვალიფიცირებული: პსვ ეინდჰოვენი: ანდრე ოიერი (1 მატჩი); ოსერი: არავინ

### დორტმუნდი — არსენალი

სავარაუდო შემადგენლობები

| დორტმუნდი | არსენალი |
|---|---|
| ლემანი, ევანილსონი, ვორნსი, მეცელდერი, დედე, როიტერი, კელი, ფრინგსი, როსიცკი, კოლერი, ევერტონი | სიმენი, ლორენი, სიგანი, კემპბელი, კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი, ანრი, კანუ |

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი) დისკვალიფიცირებული: დორტმუნდი: არავინ; არსენალი: არავინ

# რუმ დინამო გაიხსენა

## დევიდ სიმენს გაუშვებიც დასცინიან

**ჯგუფის** ლიდერი ლონდონის „არსენალი" დღეს დორტმუნდში ქულის საძებნელად ჩადის და თუ იპოვნა, ანუ ფრესაც თუ გამოჰკრა ხელი, შემდეგ ეტაპზე ერთი ტურით ადრე გავა. განვმარტოთ: ლონდონელებმა 10 ქულა თუ დააგროვეს, მათი გადასწრების შანსი „ოსერსაც" ექნება და „დორტმუნდსაც", მაგრამ ეს გუნდები ბოლო ტურში ხვდებიან ერთმანეთს და ორივეს მხოლოდ მოგება მისცემს ხელს, რაც, ცხადია, შეუძლებელია. ამიტომ ერთ-ერთს კი შეეძლება „არსენალის" გადასწრება, ორივეს ერთად კი ვერა. თუმცა ახლა გერმანიის ჩემპიონებს ვკითხოთ, თანახმა არიან თუ არა, დაუძინებელ მტრებს, ინგლისელებს, შინიდან ქულა გაატანონ?

თავის მხრივ დორტმუნდულ კლუბსაც შეუძლია ტურით ადრე დამშვიდდეს და მომდევნო ეტაპის საგზური დაიჭიროს ხელში. ოღონდ მისი ამოცანა შედარებით ძნელი შესასრულებელია — ამისთვის „დორტმუნდმა" დღეს უნდა მოიგოს, ხოლო „ოსერმა" ჰოლანდიაში „პსვ ეინდჰოვენთან" ვერაფერი გაახერხოს.

გაგიგიათ, რომ 22 წლის ბიჭუნა მამის ტოლ, ორმოცს მიტანებულ კაცს საჯაროდ დასცინოდეს? — დორტმუნდელთა ახალგაზრდა ჩეხმა ფორვარდმა ტომაშ როსიცკიმ ლამისაა და, მასხრად აიგდო ლონდონელთა ვეტერანი მეკარე დევიდ სიმენი, რომელსაც კრიზისული დღეები დაუდგა, ბოლო ხანია, რაც მისი კარისკენ წავიდა, ხელში ვერაფერი დაიჭირა. დაუთვლიათ, ბოლო რვა დარტყმულიდან სიმენმა ექვსი გაუშვა.

სიმენის დაბნეულობა „არსენალსაც" დაეტყო და კლუბი ზედიზედ სამი თამაშია მარცხდება. აქედან ერთხელ ჩემპიონთა ლიგაში წააგო, ორჯერ კი შინაურ ჩემპიონატში.

ტომაშ როსიცკიმ კი ეს თქვა: „დიდი იმედი მაქვს, რომ დევიდ სიმენი ჩვენს წინააღმდეგ ითამაშებს. ის გოლს გოლზე უშვებს და გამიხარდება, თუ ჩვენს წინააღმდეგ ამ ტრადიციას არ დაარღვევს."

მუქარის ხასიათზეა მასპინძელთა მეკარე იენს ლემანიც, რომელიც ამბობს, უნდა ვუჩვენოთ ინგლისელებს გერმანიის ჩემპიონთა ნამდვილი ძალაო.

აი, მცველ კრისტიან ვიორნსს კი სულაც არ ახარებს ის ფაქტი, რომ ლონდონურ კლუბს ჩავარდნა აქვს, რამეთუ საყოველთაოდ ცნობილია — ბრაზმორეული მეტოქე დაჭრილი მხეცივით საშიში შეიძლება გამოდგეს: „არ მიყვარს ისეთ გუნდებთან თამაში, რომლებსაც ზედიზედ რამდენიმე მატჩი წაგებული აქვთ, ასეთები უფრო საშიშნი არიან."

„არსენალის" თავკაც არსენ ვენგერს ტრავმების პრობლემა არ აწუხებს. როგორც ლონდონელთა ბანაკში ამბობენ, ყველა ჯანმრთელადაა. მთავარი არჩევანი, რაც ფრანგმა თავკაცმა უნდა გააკეთოს ესაა — თავიდანვე ათამაშოს თუ არა ტრავმამოშუშებული რობერ პირესი. უფრო მოსალოდნელია, რომ თავდასხმაში ნვანკვო კანუსა და ტიერი ანრის წყვილმა დაიწყოს თამაში.

რაც შეეხება „დორტმუნდს", მის რიგებში ვერ ითამაშებს მარსიო ამოროზო, მაგრამ თუ ბრაზილიელი ევერტონის ჩინებულ ფორმას გავითვალისწინებთ, მაშინ ამოროზოს არყოფნას დანაკლისი შეიძლება არც ეთქმოდეს. ევერტონი ბოლო ხანს გოლების გატანის ხასიათზეა — მაგალითად, ბუნდესლიგის წინა ტურში შეცვლაზე შესულმა დუბლი შეასრულა.

ჯგუფის მეორე მატჩი ჰოლანდიაშია, სადაც „პსვ ეინდჰოვენი" მოგების იმედით მოსულ „ოსერს" მასპინძლობს, რომელმაც წინა ტურში „არსენალის" დამარცხება შეძლო. თუმც ფრანგებს ჯგუფიდან გასვლაზე მაინცდამაინც დიდი პრეტენზიები არცა აქვთ, რადგან „არსენალთან" გამარჯვებამდე სამ თამაშში მარტო ერთი ფრე გაახერხეს.

სწორედ ამას აღნიშნავს ფრანგთა თავკაცი გი რუ: „ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ, კიევის „დინამომ" შეძლო ჯგუფიდან გასვლა, მაშინ, როცა პირველ სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა."

ფრანგები კვლავ ჯიბრილ სისეს იმედად არიან, საფრანგეთის ჩემპიონატის შარშანდელი ბომბარდირი ექვსკვირიანი ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და ძირითადში დაბრუნდა. დანაკლისს რაც შეეხება — „ოსერს" ფინელი ნახევარმცველი ტაინიო არ ეყოლება.

„პსვ ეინდჰოვენს" დისკვალიფიკაციის გამო ანდრე ოიერი გამოაკლდება, ხოლო ლაზარეთიდან ახლახან ორი მოთამაშე — მცველი კევინ ჰოფლანდი და მეკარე რონალდ ვატერეუსი გამოეწერა. ორივე მათგანი სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდება.

**ირაკლი მეძუა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 4 | 3 | 0 | 1 | 8:2 | 9 |
| დორტმუნდი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ოსერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| პსვ ეინდჰოვენი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:8 | 2 |





დევიდ სიმენს ტომაშ როსიცკიმ ალმაცერად გახედა

## B ჯგუფი

### ლივერპული — ვალენსია

სავარაუდო შემადგენლობები

| ლივერპული | ვალენსია |
|---|---|
| დუდეკი, რიისე, ჰიპია, ტრაორე, კარაგერი, მერფი, ჰამანი, დიაო, ჯერარდი, ოუენი, ჰესკი | კანიზარესი, კურრო ტორესი, ჯუკიჩი, პელეგრინო, აურელიო, ანგულო, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, აიმარი, კარიუ |

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია) დისკვალიფიცირებული: ლივერპული: არავინ; ვალენსია: რობერტო აიალა (1 მატჩი)

### სპარტაკი — ბაზელი

მატჩი 6 ნოემბერს მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება. ასეთია უეფას გადაწყვეტილება. როგორც იცით, მოსკოვში მომხდარი მოვლენების გამო შვეიცარიელებმა სადღეისოდ რუსეთში ჩასვლა იუარეს.



დიტმარ ჰამანმა, ლიგა საჩვენო არ არის, პრემიერლიგას მივხედოთო

# ულიეს რიდი

## ლივერპულმა ვალენსიასთან წააგო, ბაზელს მოუგო და ნახევარფინალს გახედა

**ყველა** სხვა შემთხვევაში მწვრთნელები პრინციპულ მეტოქესთან მატჩის წინ მუშტებს იღერებენ და აცხადებენ, რომ მოგება შეუძლიათ და ამას გააკეთებენ კიდეც. ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ლივერპულის" თავკაცმა ჟერარ ულიემ თავი დაიზღვია და „ვალენსიასთან" საშინაო მატჩის წინ თქვა: „ჩვენ შესაძლოა ცუდი შედეგით დავასრულოთ თამაში. თუმცა ჯგუფიდან გასვლის შანსი მაინც დაგვრჩება და ეს კარგია". ულიეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ ჯგუფიდან მეორე გამსვლელი ადგილის ბედი შესაძლოა „ლივერპულისა" და „ბაზელის" ბოლო ტურის შეხვედრაში გადაწყდეს და ინგლისელთათვის შვეიცარიელთა დამარცხება უფრო იოლი იქნება ვიდრე „ვალენსიასი". ამასთანავე, თუ „ბაზელმა" გადადებულ მატჩში „სპარტაკს" ვერ მოუგო, ფრეც ლივერპულელებისა იქნება.

ზემოთქმულის შემდეგ ფრანგმა მწვრთნელმა ტრაბახი დაიწყო და „ლივერპულის" ბოლო დროის მიღწევებზე ისაუბრა. კერძოდ, თქვა რომ მერსისაიდული კლუბი ბოლო 34 საევროთასო მატჩში მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა, რაც ბრწყინვალე შედეგია, თან გუნდმა უეფას თასიც მოიგო.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ სექტემბერში „ლივერპულმა" „ვალენსიასთან" სტუმრად 0:2 წააგო, მას მერე კი შვიდი მატჩი ჩაატარა — აქედან ექვსი მოიგო და ერთიც ფრე გამოურია.

ჟერარ ულიეს თავში ნათქვამ სიტყვებში მეტოქის მიმართ გვარიანი რიდი გამოსჭვივის. მანვე დასძინა: „ვალენსიამ" ესპანეთის ჩემპიონატი შარშან შვიდი ქულის უპირატესობით მოიგო. ხოლო ბოლო სამ წელიწადში ორჯერ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა. ჩვენ ვაფასებთ ამ გუნდს. მით უმეტეს, ახლა ის კარგ ფორმაშია. ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ, თამაში სანახაობრივი გამოვა."

მასპინძლებს ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვთ — სტივენ ჯერარდისა და ემილ ჰესკის ტრავმები. თუმცა ნუ დავივიწყებთ, რომ მაიკლ ოუენი ახლა საუკეთესო ფორმაშია.

„ლივერპულის" ბანაკიდან გამოსულ ერთ ამბავსაც გაცნობებთ. გუნდის გერმანელმა ნახევარმცველმა დიტმარ ჰამანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ყველაზე მეტად პრემიერლიგის მოგება გვწყურიაო. სხვათა შორის, ენფილდელებს 1990 წლის შემდეგ ინგლისის ჩემპიონატში არ გაუმარჯვიათ. ეს იმ დროს იყო, როცა პრემიერლიგა ჯერ არ არსებობდა.

„ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე საუბარი შეიძლება ცოტა ნაადრევი იყოს, შინაურ ჩემპიონატში კი აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ" — თქვა ჰამანმა.

გერმანელის ნათქვამს ფრანგი მწვრთნელი არ დაეთანხმა და თქვა, ევროთასზე შარშანდელზე მეტის მიღწევას ვაპირებთო. წინა სეზონში კი გეხსომებათ, „ლივერპული" მეოთხედფინალიდან შემდგომში ფინალისტმა „ლევერკუზენმა" გააგდო.

**ნიკა შუბლაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| ლივერპული | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 7 |
| ბაზელი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:9 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა V ტური

## C ჯგუფი

### აეკ — გენკი

САВАРАУДО ШЕМАДГЕНЛОБЕБИ

| | |
|---|---|
| ხიოტისი, ბორბოკისი, კოსტენოღლუ, კასაპისი, რაიტი, კაცურანისი, ცარტასი, ზაგორაკისი, ლაკისი, ნიკოლაიდისი, ცემი | მოისი, რუმანი, ზოკორა, ვამპერი, ტომაშიჩი, ტიისი, დაერდენი, სკოკო, ბესლია, სონკი, დაგანო |

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია) დისკვალიფიცირებული: აეკ: თეო ზაგორაკისი (1 მატჩი); გენკი: არავინ

### რეალი — რომა

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კასილიასი, სალგადო, პავონი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, მაკელელე, კამბიასო, ზიდანი, რაული, რონალდო | ანტონიოლი, ლიმა, სამუელი, პანუჩი, კაფუ, ემერსონი, ტომაზი, კანდელა, ტოტი, მონტელა, დელვეკიო |

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია) დისკვალიფიცირებული: რეალი: არავინ; რომა: არავინ




მარკო დელვეკიო „რომას“ იღბლიანად დაუბრუნდა

# აკროპოლისიდან დანახული ლიგა

„რეალმა“ შინ „რომასთან“ არ უნდა წააგოს და სულ ეს არის — შემდეგ ეტაპზე ვიხილავთ. თუ მოიგებს ხომ კარგი, თუ ფრეს ითამაშებს, იგივე შედეგს მიიღებს — მეორე ადგილის ბედს „რომასა“ და ათენის აეკ-ის ბოლო ტურის თამაში გადაწყვეტს. ცნობისთვის: დღეს აეკ-ი ბელგიურ „გენკს“ მასპინძლობს.

სანამ აეკ-ი — „გენკის“ გარითმულ შეხვედრაზე ვიტყოდეთ რამეს, „რეალ“ — „რომას“ ქლერად მატჩს მივხედოთ: მადრიდელებს საზარდულმოშუშებული ლუიშ ფიგუ დაუბრუნდებათ.

გეხსომებათ, „რეალმა“ ჩემპიონთა ლიგაში ბოლო ორი თამაში ფრედ დაასრულა, ხოლო ესპანეთის პირველობაზე, ამდენივე შეხვედრას მხოლოდ ქულა გამოლლიტა. ეს ქულა წინა შაბათს, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ვილიარეალმა“ დაუტოვა. „ვილიარეალთან“ მატჩში, ოღონდ ბოლოს, რაულმაც ითამაშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბარძაყის კუნთი დაჭიმული აღარ აქვს და, სავარაუდოდ, დღეს „რომასთანაც“ იქნება.

მიმომხილველებმა, ბოლო დღეების ვარჯიშებს რომ ესწრებოდნენ, ყურადღება მიაქციეს, რომ მწვრთნელი, ვისენტე დელ ბოსკე დაცვის ცენტრში ივან ელგერასა და ფრანსისკო პავონს აწყვილებდა. აქედან დასკვნა: ფერნანდო იერო შეიძლება დაასვენოს. აი, „რომას“ თავკაც ფაბიო კაპელოს კი, ამ სეზონში პირველად, ყველა მოთამაშე თავის განკარგულებაში ეყოლება. თავდასხმაში, ალბათ, ვინჩენცო მონტელასა და მარკო დელვეკიოს ვიხილავთ. დელვეკიო ხომ ძირითად შემადგენლობას იღბლიანად დაუბრუნდა — შაბათს „ლაციოს“ გოლი გაუტანა. გეხსომებათ, რომაული დერბი 2:2 დასრულდა.

ახლა კი ათენში გავემგზავროთ და ჩემპიონთა ლიგას აკროპოლისიდან გადავხედოთ. ოღონდ, გვერდით აეკ-ის ცენტრალურ მცველ მიხალის კაპსისს თუ დავინახავთ, არ უნდა გავიკვირვოთ, რადგან ბარძაყი სტკივა და ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოედანზე გამაყუჩებლების დახმარებით გადიოდა, რაც უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა. ერთი სიტყვით, კაპსისი „გენკთან“ ვერ ითამაშებს და შესაძლოა, სტადიონის ნაცვლად აკროპოლისზე წავიდეს.

სამაგიეროდ, აკროპოლისიდან ჩამოვა მარცხენა მცველი გრიგორის გეორგატოსი.

„გენკის“ თავკაცს, სეფ ვერგოოსენს კი დიდი იმედი აქვს, რომ მისი გუნდი გაიხსენებს, როგორ გადის გოლი მოწინააღმდეგის კარში. გეხსომებათ, რომ ერთი კვირის წინ ბელგიელები რომში სტუმრობდნენ და 0:0 ითამაშეს.

პრობლემები თავდამსხმელი იგორ დე კამარგო დაშავებულია, ხოლო თომას შატელი ათენში არ წაიყვანეს.

სამაგიეროდ, ნახევარმცველი იოსიპ სკოკოს გრიპმა გაუარა და ბოლო დღეებში ვარჯიშობდა კიდეც.

**ბაჩუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 14:5 | 8 |
| რომა | 4 | 1 | 2 | 1 | 1:3 | 5 |
| აეკ | 4 | 0 | 4 | 0 | 5:5 | 4 |
| გენკი | 4 | 0 | 2 | 2 | 0:7 | 2 |



ლუიშ ფიგუ ადგომას აპირებს

# ეს იყო ექვსი წლის წინ: მეაცაზე მეცხრე ცაზე

## ფრთხილად, ლიონში დასვენებული ხალხი და მალარიაა

**ტრონჰეიმის** „რუსენბორგს“ მილანში, „სან სიროზე“ მოუგია — 1996 წელს ნორვეგიელებმა იქ „მილანი“ დასცეს 2:1 და მაშინაც ჩემპიონთა ლიგის მატჩში. ის თამაში ალბათ „რუსენბორგის“ უდიდესი ევროპული მიღწევაა.

თუმც იმავ ისტორიას თუ ჩავუკირკიტებთ, „რუსენბორგი“ შინ გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე სტუმრად.

ნორვეგიელებს საღეისოდ ყველანი ჯანზე ჰყავთ და მათში დისკვალიფიცირებულიც არავინაა.

„რუსენბორგი“ ჩემპიონთა ლიგის ლამის მუდმივი ბინადარია და ამიტომაც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი.

„ინტერნაციონალეს“ ინტერნაციონალური შემადგენლობა კი მეტოქისაზე გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება. მაგრამ ეგაა, იტალიური მედია ირწმუნება, ექტორ რაულ კუპერი ალვარო რეკობას არც ახლა გაამწესებს სასტარტო შემადგენლობაშიო. არადა, ურუგვაელის მოცილე საწყის თერთმეტეულში, დომენიკო მორფეო, დისკვალიფიცირებულია.

იმასაც ამბობენ, „ინტერი“ ცოტა გადაღლილია და ვინძლო ამან ნორვეგიელები აჭენაოს „ჯუზეპე მეაცაზეო“. ისიც ითქვა, კუპერი ნაღდად ოთხი მცველით და ორი საყრდენით (ლუიჯი დი ბიაჯო და მატიას ალმეიდა) ითამაშებს, ხოლო ნახევარდაცვის ფლანგებს უფრო შემქმნელებს, ფრანგ სტეფან დალმასა და სერჟიუ კონსეისაუს ჩააბარებსო. ხოლო თავდასხმის დუეტზე ცხადია, არავინ ბჭობს და კამათობს.

მილანურზე უფრო საამო საცქერ თამაშს ლიონში ველით. იქაურები ბურთს ისე აგორებენ, ერთი სიამოვნებაა. ამ საქმეში „აიაქსიც“ დიდი ოსტატია და იქნებ ესთეტიური ფეხბურთიც ვიხილოთ.

ფავორიტი მაინც „ლიონია“. ედმილსონი, ვიკაშ დორასო, ჟუნინიო, სონი ანდერსონი და ერიკ კარიერი ჩინებულ ფორმაში არიან. მათი სწრაფი და აგრესიული ქმედება სიზუსტითაც ფასობს და საფრანგეთის ჩემპიონი ჯგუფსაც დამსახურებულად ლიდერობს.

ამსტერდამელთა ბანაკში სიახლე ისაა, რომ ორთვიანი მკურნალობის შემდეგ მცველი რაფაელ ვან დერ ვაარტი გამოუჯანმრთელდა, თუმც სასტარტოში ალბათ არ იქნება.

იარი ლიტმანენი ორთავე კუნთს შეუწუხებია. მიუხედავად ამისა, რონალდ კუმანი მაინც უპირებს დიდ ფინელს სასტარტოში დაყენებას.

„აიაქსს“ ვერაფრით შეეშველება ჯეელი მცველი ჟილ ვან დამი — ის წინა ტურში „რუსენბორგთან“ გააძევეს.

ერთიცაა, „აიაქსი“ არცთუ კარგ ხასიათზეა — ჰოლანდიის ჩემპიონატში „ვალვაიკთან“ ოდენ ფრეს (1:1) გამორჩა.

დანაკარგია „ლიონშიც“. ფრანგები მალელ მცველ მამადუ დიარას მოისაკლისებენ — მას ისე შეუტია მალარიამ, რომ საავადმყოფოში დააწვინეს.

საეჭვოა ბრაზილიელი სტოპერის კლაუდიო კასაპას თამაში. ალბათ ვერც ჟაკ სანტინის საფრანგეთის ნაკრების ფორვარდ სიდნეი გოვუს ვიხილავთ — მან ბოლომდე ვერ მოირჩინა მტკივანი მუხლი.

და კიდევ, „ლიონის“ თავკაცმა პოლ ლე გუენმა საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო უქმეების მატჩში საიაქსოდ დაასვენა გუნდის მთავარმეგოლე ანდერსონი და გოლკიპერი გრეგორი კუპე.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:6 | 7 |
| ინტერი | 4 | 1 | 2 | 1 | 7:7 | 5 |
| აიაქსი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| რუსენბორგი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:8 | 3 |

## D ჯგუფი

### ინტერი — რუსენბორგი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, კანავარო, კოკო, კონსეისაუ, ალმეიდა, დი ბიაჯო, დალმა, ვიერი, კრესპო | არასონი, საარინენი, ბასმა, ჰოფტუნი, სტრანდი, ენერლი, სკამელსრუდი, ბერგი, კარადასი, იოჰნსენი, ბრატბაკი |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია) დისკვალიფიცირებული: ინტერი: დომენიკო მორფეო (1 მატჩი); რუსენბორგი: არავინ

### ლიონი — აიაქსი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კუპე, დეფლანდრე, მიულერი, ედმილსონი, ბრეშე, ვიოლო, დორასო, ჟუნინიო, კარიერი, ს. ანდერსონი, ვერელი | ტიმერი, ტრაბელსი, ბერგდოლმო, კივუ, ნ. დე იონგი, გალაშეკი, ვიჩგე, ლიტმანენი, ვან დერ მეიდე, იბრაჰიმოვიჩი, ბუხარი |

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი) დისკვალიფიცირებული: ლიონი: არავინ; აიაქსი: ჟილ ვან დამი (1 მატჩი)




დღეს დომენიკო მორფეო (№10) „ინტერს“ დააკლდება, მამადუ დიარა „ლიონს“

# ბოლოთა ფრე



ფილ ბების (მარცხნივ) ავტოგოლმა „ბოლტონი" ბოლო ადგილზე დატოვა

**პრემიერლიგის** ბოლო ორი გუნდის შეხვედრა ორშაბათ საღამოს გაიმართა ბოლტონში, იქაურებსა და „სანდერლენდს" შორის და 1:1 დასრულდა.

მასპინძლები მარცხს გადაურჩნენ სტუმარი ფილ ბების გვიანი ავტოგოლის წყალობით.

„სანდერლენდმა" იბრძოლა ლომურად და ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე, თანაც, ადრევე დაუშავდა მეკარე ტომას მირე და მთავარი ნახევარმცველი კლაუდიო რეინა. ამის მიუხედავად, „შავმა კატებმა" მაინც გაიტანეს — მაიკ გრეიმ ოცდაათი მეტრიდან მორტყმაზე დაარტყა და ბოლტონის მეკარე იუსი იასკელაინენი გაახვია.

ბოლტონელებს ერთი ნაღდი მომენტიც არ შეუქმნიათ. რა არის, რომ შორეული ჩაკიდული უხერხულად მოხვდა თავზე ბებს და კარში შევარდა.

ამ ფრეს არაფერი შეუცვლია ცხრილში, თუმცაღა „სანდერლენდის" ახალდანიშნულ მენეჯერს, ჰოვარდ უილკინსონს თავი ყინჩად უჭირავს, ასეთი თამაშით შორს წავალთო.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ბოლტონი 1:1 სანდერლენდი**

0:1 გრეი (45), 1:1 ბები (80ს.კ.)

ბოლტონი: იასკელაინენი, მენდი (ბერგსონი 70), ნგოტი, უიტლოუ, ი. გარდნერი, ფრანდსენი, კამპო, ნოლანი (ოკოჩა 57), ჯორკაეფი, ფარელი, რიკეტსი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

სანდერლენდი: მირე (მაბო 27), ა. რაიტი, ბები, კრადოკი, მაკკარტნი, კილბეინი, კ. რეინა (ტორვული 39), გ. მაკკანი, გრეი, ფლიჩი (ფლო 76), ბელიონი

მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი

გაფრთხილება: კამპო, კილბეინი, მაკკანი

მსაჯი: უოლსტენჰოლმი

23 036 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 11 | 8 | 3 | 0 | 22:9 | 13 | 27 | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 7 | 14 | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 13 |
| 2 არსენალი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 13 | 23 | 6 | 5 | 0 | 1 | 15:7 | 8 | 15 | 5 | 2 | 2 | 1 | 11:6 | 5 | 8 |
| 3 ჩელსი | 11 | 5 | 4 | 2 | 20:12 | 8 | 19 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 8 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 |
| 4 მანჩესტერი | 11 | 5 | 4 | 2 | 14:8 | 6 | 19 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 13 | 5 | 1 | 3 | 1 | 7:6 | 1 | 6 |
| 5 ტოტენჰემი | 11 | 6 | 1 | 4 | 17:16 | 1 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:7 | 2 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | -1 | 7 |
| 6 მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 7 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:4 | 7 | 14 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:4 | 0 | 4 |
| 7 ბლექბერნი | 11 | 5 | 3 | 3 | 18:13 | 5 | 18 | 6 | 2 | 2 | 2 | 11:9 | 2 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 |
| 8 ევერტონი | 11 | 5 | 2 | 4 | 14:15 | -1 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:10 | -5 | 6 |
| 9 ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 1 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:4 | 6 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | -5 | 4 |
| 10 საუთჰემპტონი | 11 | 4 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 16 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 4 |
| 11 ფულემი | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 2 | 15 | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 4 |
| 12 ლიდსი | 11 | 4 | 2 | 5 | 13:12 | 1 | 14 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 2 | 8 |
| 13 ბირმინგემი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:14 | -3 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | -2 | 6 |
| 14 ასტონ ვილა | 11 | 3 | 2 | 6 | 7:11 | -4 | 11 | 6 | 3 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:7 | -6 | 1 |
| 15 ვესტ ჰემი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:17 | -7 | 11 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:8 | -5 | 2 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:9 | -2 | 9 |
| 16 სიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 9:17 | -8 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | -5 | 4 |
| 17 ჩარლტონი | 11 | 3 | 1 | 7 | 9:16 | -7 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | -1 | 7 |
| 18 ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 1 | 7 | 8:18 | -10 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:12 | -8 | 3 |
| 19 სანდერლენდი | 11 | 2 | 3 | 6 | 5:15 | -10 | 9 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | -4 | 4 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:9 | -6 | 5 |
| 20 ბოლტონი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:18 | -8 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | -1 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 3 |

### ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიაში** 2006 წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის თითოეულ მატჩს, ფიფას პრეზიდენტის ზეპ ბლატერის განცხადებით, ხუთი მსაჯი მოემსახურება და ისინი ერთი ქვეყნიდან იქნებიან. ორი „შავოსანი" კარებს უკან გამწესდება. პირველად ასეთი წესით 2003 წლის ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე იმსაჯებენ. „მსაჯობასთან დაკავშირებით ექსპერიმენტებს ამით დავასრულებთ. ისინი ერთმანეთთან შეხმატკბილებულად უნდა სჯიდნენ მატჩს" — განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა.

**საფრანგეთის** ჩემპიონატის ყველაზე თვალსასეირო მატჩი ჩვეულებრივ პსჟ-სა და „მარსელს" შორის იმართება. ხშირად მათი ჯახი გულშემატკივართა ცხვირ-პირის ლეწვითაც მთავრდება. სწორედ ასეთი ფაქტი დაფიქსირდა ამ უქმეებზე მათი თამაშის დროს. პარიზის პოლიციამ ცხრა თანაქალაქელი გულშემატკივარი დააყავა. სამ მათგანს პოლიციელებზე თავდასხმა ედება ბრალად და სასამართლოში ამ კვირაში მოუწევთ თავის მართლება. სავარაუდოდ, მათ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ, ხოლო დანარჩენი ექვსის გასამართლების დღე, რომელთა შორის არასრულწლოვანებიც არიან, არ დაუსახელებიათ. აი, მარსელელი „ამბოხებული" ქომაგები კი პოლიციელებმა ვერ დააყავეს. მათ 55-ე წუთზე, როცა მასპინძელთა ბრაზილიელი რონალდინიო კუთხურს აწვდიდა, ბოთლები, სანთებელები და რაც ხელში მოხვდათ ყველაფერი დაუშინეს.

**ინგლისური** „არსენალისა" და „მანჩესტერ იუნაიტედის" მენეჯერებმა არაევროკავშირელ ფეხბურთელთა თავიანთ კლუბებში გაწევრიანების ერთობ მზაკვრულ ხერხს მიაგნეს. ისინი „შავი კონტინენტიდან" სასურველ ფეხბურთელებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ორი წლით ანათხოვრებენ, შემდეგ მათ მოქალაქეობამიღებულებს, ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტი უპრობლემოდ აძლევს პრემიერლიგაში თამაშის უფლებას. „მეთოფეთა" დამრიგებელ არსენ ვენგერს შვიდი კოტდივუარელი მოზარდი მოსვლია თვალში, ხოლო სერ ალექს ფერგიუსონმა 18 წლის იმედისმომცემი აფრიკელი ფეხბურთელი „ანტვერპენში" გაანათხოვრა. „ისინი ასეთი საქციელით კანონს არ არღვევენ, მაგრამ მორალური თვალსაზრისით სწორად იქცევიან?" — კითხულობს ფიფას წარმომადგენელი.

**შოტლანდიის** ნაკრების გერმანელი მწვრთნელის ბერტი ფოგტსის თქმით, იგი 2006 წელს სამწვრთნელო კარიერას დაასრულებს. სწორედ ამ დროს გასდის ვადა მის კონტრაქტს შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან.


სპეციალიზირებული სალონი-მაღაზია

ბილიარდის მაგიდები რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები

1000 მეტი დასახელება

კიები, ბურთები, ნათურები მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლებისაგან.

ინდივიდუალური მიდგომა, ხელსაყრელი პირობები და შეღავათები, გარანტია





☎ 95-57-75, 95-88-46

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 2

იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შვეიცარიაში. ფასი 2 000 $



ტელ: 22-23-15

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


## იტალია

### სერია B. IX ტური

**სალერნიტანა 0:2 ანკონა**

0:1, 0:2 ლუისო (49, 62)

**ვიჩენცა 3:3 ნაპოლი**

0:1 ბოკეტი (4), 1:1 ტამბურინი (13), 1:2, 1:3 სტელონე (26, 53), 2:3 ჯადა (54), 3:3 შუკა (67პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალიარი | 7 | 4 | 2 | 1 | 8:5 | 14 |
| სამპდორია | 7 | 3 | 4 | 0 | 10:6 | 13 |
| ლეჩე | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 12 |
| ლივორნო | 7 | 4 | 0 | 3 | 8:5 | 12 |
| ანკონა | 7 | 2 | 5 | 0 | 10:6 | 11 |
| ტრიესტინა | 7 | 3 | 2 | 2 | 10:7 | 11 |
| ტერნანა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| ბარი | 7 | 2 | 4 | 1 | 7:4 | 10 |
| სიენა | 7 | 2 | 4 | 1 | 4:3 | 10 |
| პალერმო | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| კოზენცა | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | 10 |
| ჯენოა | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| მესინა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:10 | 8 |
| ასკოლი | 7 | 2 | 2 | 3 | 4:5 | 8 |
| კატანია | 7 | 2 | 2 | 3 | 8:13 | 8 |
| ნაპოლი | 7 | 1 | 4 | 2 | 10:11 | 7 |
| ვენეცია | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| სალერნიტანა | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| ვერონა | 7 | 1 | 2 | 4 | 7:9 | 5 |
| ვიჩენცა | 7 | 0 | 4 | 3 | 8:13 | 4 |

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა. X ტური

**დუისბურგი 1:1 ბრაუნშვაიგი**

1:0 კონლი (43), 1:1 თომასი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 10 | 6 | 4 | 0 | 23:10 | 22 |
| აინტრახტი | 10 | 6 | 1 | 3 | 20:10 | 19 |
| ფრაიბურგი | 10 | 6 | 1 | 3 | 17:10 | 19 |
| ობერჰაუზენი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:6 | 18 |
| როიტლინგენი | 10 | 6 | 0 | 4 | 19:16 | 18 |
| ტრირი | 10 | 5 | 2 | 3 | 19:11 | 17 |
| მაინცი | 10 | 5 | 2 | 3 | 15:9 | 17 |
| ლიუბეკი | 10 | 5 | 1 | 4 | 20:14 | 16 |
| ალემანია | 10 | 4 | 4 | 2 | 15:12 | 16 |
| ფიურტი | 10 | 3 | 5 | 2 | 12:9 | 14 |
| ბურგჰაუზენი | 10 | 3 | 4 | 3 | 15:14 | 13 |
| უნიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:23 | 12 |
| დუისბურგი | 10 | 2 | 5 | 3 | 13:16 | 11 |
| ალენი | 10 | 2 | 3 | 5 | 14:18 | 9 |
| კარლსრუე | 10 | 2 | 3 | 5 | 9:16 | 9 |
| ზტ. პაული | 10 | 2 | 2 | 6 | 16:27 | 8 |
| ბრაუნშვაიგი | 10 | 1 | 2 | 7 | 11:26 | 5 |
| ვალდჰოფი | 10 | 1 | 1 | 8 | 10:25 | 4 |

## შვედეთი

25-Ე ტური: ჰამარბი — გიოტებორგი 0:1; ჰელსინგბორგი — ელფსბორგი 0:0; კალმარი — ჰალმსტადი 0:5; იურგორდენი — სუნდსვალი 2:1; ნორჩიოპინგი — ორებრო 2:2; მალმიო — აიკ 5:0; ორგრიტე — ლანდსკრონა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 25 | 15 | 4 | 6 | 49:33 | 49 |
| მალმიო | 25 | 14 | 4 | 7 | 52:31 | 46 |
| ორგრიტე | 25 | 12 | 8 | 5 | 47:35 | 44 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 10 | 7 | 8 | 37:37 | 37 |
| აიკ | 25 | 9 | 9 | 7 | 34:37 | 36 |
| ჰალმსტადი | 25 | 7 | 12 | 6 | 34:28 | 33 |
| ელფსბორგი | 25 | 8 | 8 | 9 | 25:29 | 32 |
| სუნდსვალი | 25 | 8 | 8 | 9 | 28:34 | 32 |
| ორებრო | 25 | 8 | 8 | 9 | 29:37 | 32 |
| ლანდსკრონა | 25 | 8 | 6 | 11 | 39:36 | 30 |
| ჰამარბი | 25 | 7 | 8 | 10 | 40:40 | 29 |
| გიოტებორგი | 25 | 8 | 4 | 13 | 25:37 | 28 |
| ნორჩიოპინგი | 25 | 6 | 8 | 11 | 36:39 | 26 |
| კალმარი | 25 | 5 | 6 | 14 | 18:40 | 21 |

## ბელგია

### პირველი დივიზიონი. X ტური

**ლუვიე 1:1 მუსკრონი**

0:1 ბოლკა-ლისახი (29), 1:1 ტილმანი (37)

**ლოკერენი 2:1 ანტვერპენი**

1:0 კომოტო (35), 1:1 მუსა (50), 2:1 კომოტო (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 9 | 8 | 1 | 0 | 24:7 | 25 |
| ლიერსი | 10 | 7 | 2 | 1 | 18:7 | 23 |
| ლოკერენი | 10 | 7 | 2 | 1 | 23:14 | 23 |
| გენკი | 10 | 6 | 3 | 1 | 26:13 | 21 |
| ანდერლეხტი | 9 | 6 | 2 | 1 | 23:11 | 20 |
| სენტ ტრუიდენი | 9 | 5 | 2 | 2 | 26:14 | 17 |
| მუსკრონი | 9 | 4 | 2 | 3 | 23:21 | 14 |
| ბეერსხოტი | 10 | 4 | 2 | 4 | 18:19 | 14 |
| ლუვიე | 10 | 3 | 4 | 3 | 12:10 | 13 |
| მონსი | 10 | 4 | 1 | 5 | 14:14 | 13 |
| ანტვერპენი | 10 | 3 | 3 | 4 | 14:17 | 12 |
| ლომელი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:16 | 11 |
| მეხელენი | 10 | 2 | 3 | 5 | 13:22 | 9 |
| გენტი | 10 | 2 | 2 | 6 | 15:21 | 8 |
| ბევერენი | 10 | 2 | 1 | 7 | 8:21 | 7 |
| სტანდარდი | 10 | 1 | 3 | 6 | 11:20 | 6 |
| ვესტერლო | 10 | 2 | 0 | 8 | 6:23 | 6 |
| შარლერუა | 10 | 0 | 3 | 7 | 10:25 | 3 |

## ფინეთი

### პლეი ოფი. VII ტური

ჰაკა — იარო 4:2; ჰიკ — მიუპა 2:2; ლაჰტი — ინტერი 0:2; ტამპერე — ალიანსი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკ | 7 | 5 | 2 | 0 | 51:21 | 65 |
| მიუპა | 7 | 5 | 2 | 0 | 57:25 | 60 |
| ჰაკა | 7 | 4 | 2 | 1 | 51:30 | 52 |
| იარო | 7 | 3 | 1 | 3 | 34:46 | 36 |
| ტამპერე | 7 | 1 | 4 | 2 | 31:24 | 39 |
| ალიანსი | 7 | 2 | 1 | 4 | 39:44 | 41 |
| ინტერი | 7 | 1 | 1 | 5 | 33:29 | 36 |
| ლაჰტი | 7 | 0 | 1 | 6 | 25:44 | 33 |

### პლეი აუტი. VII ტური

კტპ — კუოპიო 0:2; ტურკუ — ტპ-47 3:0; ვაასა — ჯაზი 1:1; ჰამენლინა — იოკერიტი 3:0

## თურქეთი

10-Ე ტური: ადანა — ელაზიგსპორი 0:0; ალთაი — გალათასარაი 1:2; ბეშიქთაში — მალათია 3:0; ბურსა — გაზიანთეპი 1:1; დიარბაქირი — გოზთეპე 1:0; გენჩლერბირლიგი — ფენერბაჰჩე 1:1; ისთანბული — ტრაბზონი 1:2; ქოჯაელი — ანკარაგიუჩიუ 3:0; სამსუნი — დენიზლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 9 | 7 | 2 | 0 | 18:5 | 23 |
| ბეშიქთაში | 10 | 6 | 4 | 0 | 16:7 | 22 |
| გაზიანთეპი | 10 | 5 | 5 | 0 | 19:10 | 20 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 4 | 4 | 1 | 16:12 | 16 |
| ტრაბზონი | 10 | 4 | 4 | 2 | 8:6 | 16 |
| გენჩლერი | 10 | 4 | 3 | 3 | 20:14 | 15 |
| სამსუნი | 10 | 4 | 3 | 3 | 10:12 | 15 |
| ანკარაგიუჩიუ | 10 | 4 | 2 | 4 | 13:11 | 14 |
| მალათია | 10 | 3 | 4 | 3 | 19:15 | 13 |
| დენიზლი | 10 | 3 | 3 | 4 | 12:13 | 12 |
| ისთანბული | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | 12 |
| ადანა | 10 | 2 | 5 | 3 | 11:12 | 11 |
| ელაზიგსპორი | 10 | 3 | 2 | 5 | 12:16 | 11 |
| ბურსა | 10 | 2 | 4 | 4 | 14:17 | 10 |
| გიოზთეპე | 10 | 2 | 4 | 4 | 13:18 | 10 |
| ალთაი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| დიარბაქირი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:17 | 6 |
| ქოჯაელი | 10 | 1 | 1 | 8 | 10:20 | 4 |

## დანია

### სუპერლიგა. XIII ტური

ვიბორგი — კოპენჰაგენი 0:3; ფარუმი — მიდტიულანდი 1:0; კოგე — ესბიერგი 1:4; ოდენსე — აკადემისკი 0:0; სილკებორგი — ორჰუსი 2:1; ბრონდბიუ — ოლბორგი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 13 | 8 | 3 | 2 | 21:15 | 27 |
| ბრონდბიუ | 13 | 6 | 3 | 4 | 24:15 | 21 |
| ესბიერგი | 13 | 6 | 3 | 4 | 29:25 | 21 |
| ფარუმი | 13 | 7 | 0 | 6 | 18:17 | 21 |
| ოლბორგი | 13 | 6 | 1 | 6 | 19:19 | 19 |
| ოდენსე | 13 | 5 | 3 | 5 | 19:16 | 18 |
| მიდტიულანდი | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | 16 |
| კიოგე | 13 | 5 | 1 | 7 | 22:27 | 16 |
| სილკებორგი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:18 | 15 |
| ორჰუსი | 13 | 4 | 3 | 6 | 18:23 | 15 |
| აკადემისკი | 13 | 3 | 5 | 5 | 14:17 | 14 |
| ვიბორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 20:25 | 14 |

## პორტუგალია

### I ლიგა. VIII ტური

**ჟილ ვისენტე 3:0 ბრაგა**

1:0 ომარი (12), 2:0 კორტრიო (30), 3:0 კაშუელია (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 5 | 3 | 0 | 14:7 | 18 |
| გიმარაეში | 8 | 5 | 1 | 2 | 18:12 | 16 |
| სპორტინგი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:10 | 16 |
| ბელენენსეში | 8 | 5 | 1 | 2 | 12:9 | 16 |
| ბენფიკა | 8 | 4 | 2 | 2 | 14:8 | 14 |
| ვარზიმი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:9 | 13 |
| ბრაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 10:11 | 13 |
| სეტუბალი | 8 | 2 | 5 | 1 | 11:6 | 11 |
| ფერეირა | 8 | 3 | 1 | 4 | 12:9 | 10 |
| ბოავიშტა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:9 | 10 |
| მარიტიმუ | 7 | 3 | 1 | 3 | 6:10 | 10 |
| ბეირა მარი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:10 | 9 |
| ნასიონალი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:8 | 8 |
| ჟილ ვისენტე | 8 | 2 | 2 | 4 | 9:13 | 8 |
| ლეირია | 8 | 2 | 2 | 4 | 7:11 | 8 |
| სანტა კლარა | 7 | 2 | 1 | 4 | 9:13 | 7 |
| მორეირენსე | 8 | 2 | 0 | 6 | 8:13 | 6 |
| აკადემიკა | 8 | 0 | 4 | 4 | 6:12 | 4 |

## ჩეხეთი

### XII ტური

**პრშიბრამი 4:1 ბოჰემიანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 8 | 3 | 0 | 19:3 | 27 |
| სლავია | 11 | 6 | 4 | 1 | 21:8 | 22 |
| ლიბერეცი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:13 | 20 |
| ჟიჟკოვი | 11 | 5 | 3 | 3 | 16:11 | 18 |
| ტეპლიცე | 11 | 6 | 0 | 5 | 14:15 | 18 |
| ბანიკი | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| იაბლონეცი | 11 | 4 | 4 | 3 | 13:16 | 16 |
| პრჟიბრამი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:9 | 15 |
| ბლშანი | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | 15 |
| სინოტი | 11 | 3 | 3 | 5 | 11:15 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 11 | 4 | 0 | 7 | 15:23 | 12 |
| სიგმა | 11 | 2 | 5 | 4 | 10:10 | 11 |
| ბრნო | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 |
| ზლინი | 11 | 2 | 4 | 5 | 11:18 | 10 |
| ბოჰემიანსი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:22 | 9 |
| ჰრადეც კრალოვე | 11 | 0 | 7 | 4 | 7:13 | 7 |



REUTERS ბუენოს აირესიდან

რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი. დუბლის გამტან ბოკელ მარსელო დელგადოსთან (წინ) სელსო აიალა ვერაფერს გახდა

# აველანედა იზეიმებს

## არგენტინა

### აპერტურა

**30-14 ტური:** ველეს სარსფილდი — ხიმნასია ლა პლატა 3:1; კოლონი — ლანუსი 2:2; ტალერესი — ნუევა ჩიკაგო 2:1; ესტუდიანტესი — რასინგი 1:0; ურაკანი — ბანფილდი 2:3; ჩაკარიტა — სან ლორენსო 2:1; ნიუელს ოლდ ბოიზი — ოლიმპო 1:0; ინდეპენდიენტე — როსარიო სენტრალი 3:1; არსენალი — უნიონი 2:1; რივერ პლეიტი — ბოკა ხუნიორსი 1:2

ბუენოს აირესის სუპერკლასიკო, რომელსაც ამ ჯერზე „რივერ პლეიტი" მასპინძლობდა, „ბოკა ხუნიორსის" გამარჯვებით დასრულდა და ამას მოჰყვა საშინელი ჩხუბი „რივერის" „სტადიო მონუმენტალსა" და მთელს ნუნიესის უბანში.

„რივერის" გულშემატკივრები პოლიციას შეებნენ, ამათ კი გაზი და ხელკეტები გამოიყენეს. დაშავებულთა ზუსტი ოდენობა უცნობია. ჩხუბი ატყდა მას შემდეგ, რაც პოლიციამ დერეფანი გაუკეთა სტადიონზე მყოფ ბოკელ გულშემატკივრებს, ამ უკანასკნელებმა კი სიმღერა წამოიწყეს და წასვლას არ ჩქარობდნენ. ამიტომ „მილიონერებმა", ანუ მასპინძლებმა ამ დერეფანს შეუტიეს, რათა ბოკელებს მისწვდომოდნენ.

რივერელთა გულისწყრომა ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ კლასიკოში მარცხით „რივერი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას პრაქტიკულად გამოეთხოვა, რადგან კვლავ მოიგო „ინდეპენდიენტემ", რომელიც ჩემპიონატის გასრულებამდე ხუთი ტურით ადრე უკვე რვა ქულით უსწრებს „რივერსა" და „ბოკას". ძნელად რომ „აველანედას წითელმა ეშმაკუნებმა" უკან დაიხიონ, რადგან მათი განწყობა იმგვარია, რომ საერთოდაც ათი კაცით მოუგეს ლუის მენოტის „როსარიო სენტრალს".

**ისიდორო ბუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდეპენდიენტე | 14 | 11 | 2 | 1 | 40:14 | 35 |
| ბოკა ხუნიორსი | 14 | 8 | 3 | 3 | 23:12 | 27 |
| რივერ პლეიტი | 14 | 8 | 3 | 3 | 27:17 | 27 |
| სან ლორენსო | 14 | 6 | 5 | 3 | 22:18 | 23 |
| ჩაკარიტა | 14 | 7 | 2 | 5 | 16:16 | 23 |
| ველესი | 14 | 6 | 4 | 4 | 19:12 | 22 |
| არსენალი | 14 | 6 | 3 | 5 | 22:18 | 21 |
| კოლონი | 14 | 5 | 6 | 3 | 17:20 | 21 |
| ლანუსი | 14 | 4 | 6 | 4 | 13:18 | 20 |
| როსარიო | 14 | 5 | 4 | 5 | 28:24 | 19 |
| ოლდ ბოიზი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:16 | 19 |
| რასინგი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | 19 |
| ბანფილდი | 14 | 4 | 5 | 5 | 15:13 | 17 |
| ტალერესი | 14 | 4 | 5 | 5 | 16:21 | 17 |
| უნიონი | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ხიმნასია | 14 | 3 | 5 | 6 | 13:19 | 14 |
| ესტუდიანტესი | 14 | 3 | 2 | 9 | 15:24 | 11 |
| ოლიმპო | 14 | 2 | 5 | 7 | 14:25 | 11 |
| ნუევა ჩიკაგო | 14 | 2 | 4 | 8 | 12:20 | 10 |
| ურაკანი | 14 | 2 | 4 | 8 | 16:31 | 10 |

# რომარიომ მოიგონა

## ბრაზილია

**გადადებული მატჩები:** პორტუგეზა — სან პაულუ 1:3; სანტოსი — ფლამენგო 3:0; ბოტაფოგო — ფლუმინენსე 2:3; ინტერნასიონალი — გრემიო 0:1; ატლ. პარანენსე — კურიტიბა 1:0; ჟუვენტუდე — ფიგუერენსე 3:2; გამა — გოიასი 0:1

მძაფრდება ჭიდილი ოცდაექვსგუნდა საერთობრაზილიურ ჩემპიონატში, სადაც პირველობისთვის ბრძოლას მხოლოდ რვა საუკეთესო გააგრძელებს საპლეიოფო წესით. სულ უფრო უახლოვდება სანუკვარ ადგილს სეზონის ცუდად დამწყები „ფლუმინენსე", რომელიც უკვე მეათე ადგილზეა.

„ფლუმ" რთულ დერბიში სძლია „ბოტაფოგოს" — 3:2. გამარჯვების გოლი თავისივე გამოგონილი პენალტით რომარიომ გაიტანა. ტელეგამეორებამ აჩვენა, რომ „ბოტას" მეკარე კარლოს ჟერმანო თავდამსხმელს არცკი მიჰკარებია, მაგრამ პროტესტმა შედეგი არ გამოიღო და რომარიომაც მიითვალა სეზონში მეთორმეტე გოლი.

„ბოტა" ორჯერ უგებდა „ფლუს", გალეანოს პენალტითა და ლეო ინასიოს საჯარიმო დარტყმით, მაგრამ „ფლუმ" ორჯერვე გაათანაბრა სეზარისა და მანგუ ალვეშის გოლებით.

ამ მარცხით „ბოტაფაგო" 24-ე ადგილზეა და გავარდნის კანდიდატია.

ლიდერმა „სან პაულუმ" მოიგო და ოთხი ტურით ადრე გაინაღდა საპლეიოფო ადგილი. პაულისტელთა მეკარე როჟერიო სენიმ საჯარიმო დარტყმით გაუტანა „პორტუგეზას".

„სანტოსი", რომელმაც ზედიზედ სამჯერ წააგო და წინა ტურში გუნდური ჩხუბი მოუხდა ქალაქ ბელემის პოლიციასთან, ამჯერად გამარჯვებული დარჩა ცხრა კაცით მოთამაშე „ფლამენგოსთან". პირველ ტაიმში ანდრე დიასი გააძევეს, მეორეში — ვალნეი. პირველივე ტაიმში „სანტოსმა" სამი გოლი გაიტანა და პენალტიც გააფუჭა. პორტუ ალეგრიში იქაური „გრე-ნალ" დერბი გათამაშდა „გრემიოსა" და „ინტერნასიონალს" შორის და როდრიგუ მენდესის ერთადერთი გოლით „გრემიომ" მოიგო.

**ლუარა დუ ლარისა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 21 | 12 | 4 | 5 | 43:28 | 40 |
| ჟუვენტუდე | 20 | 11 | 4 | 5 | 29:19 | 37 |
| სან კაეტანო | 20 | 11 | 3 | 6 | 32:21 | 36 |
| სანტოსი | 21 | 10 | 5 | 6 | 40:29 | 35 |
| კორინთიანსი | 19 | 10 | 5 | 4 | 29:28 | 35 |
| ატლ. მინეირო | 19 | 9 | 3 | 7 | 34:30 | 30 |
| გრემიო | 19 | 8 | 6 | 5 | 29:22 | 30 |
| ვიტორია | 20 | 8 | 4 | 8 | 35:31 | 28 |
| გუარანი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:23 | 28 |
| ფლუმინენსე | 19 | 8 | 4 | 7 | 32:37 | 28 |
| პონტე პრეტა | 19 | 8 | 3 | 8 | 24:21 | 27 |
| კურიტიბა | 19 | 8 | 3 | 8 | 26:24 | 27 |
| ფიგუერენსე | 20 | 8 | 3 | 9 | 28:34 | 27 |
| ატლ. პარანენსე | 20 | 7 | 6 | 7 | 29:24 | 27 |
| გოიასი | 21 | 7 | 6 | 8 | 33:35 | 27 |
| პორტუგეზა | 20 | 7 | 5 | 8 | 21:27 | 26 |
| ინტერნასიონალი | 19 | 6 | 7 | 6 | 29:28 | 25 |
| ბაია | 20 | 7 | 3 | 10 | 29:32 | 24 |
| კრუზეირო | 19 | 6 | 6 | 7 | 26:31 | 24 |
| ვასკუ და გამა | 19 | 7 | 2 | 10 | 25:29 | 23 |
| პაისანდუ | 19 | 7 | 1 | 11 | 28:37 | 22 |
| ფლამენგო | 20 | 6 | 4 | 10 | 31:34 | 22 |
| გამა | 22 | 6 | 4 | 12 | 20:30 | 22 |
| ბოტაფოგო | 19 | 5 | 7 | 7 | 21:29 | 22 |
| პარანა | 19 | 6 | 2 | 11 | 29:32 | 20 |
| პალმეირასი | 20 | 4 | 8 | 8 | 28:39 | 20 |

## სამხრეთული დარდუბალა

# მეხდაცემულები

## ბუნებამ სტადიონს დაუმიზნა

### კოლუმბია

ჩემპიონატის ლიდერის „დეპორტივო კალის" „ტულუასთან" შეხვედრა დაღუპული ფეხბურთელების — ერმან გავირიასა და ჯოვანი კორდობას ხსოვნის პატივსაცემად გადაიდო. ტრაგიკული შემთხვევა ვარჯიშის დროს მოხდა. თავსხმა წვიმის ქვეშ მორბენალ ფეხბურთელებს მეხი დაეცათ, 32 წლის გავირია ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო 24 წლის კორდობა უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. საბოლოოდ ვერც კორდობა გადაურჩა სიკვდილს.



REUTERS კოლუმბიიდან

ხოსე მარია კორდობამ შვილი დაიტირა

### პერუ

ფეხბურთელთა სიკვდილიანობას კოლუმბიის მსგავსად პერუშიც ჰქონდა ადგილი, ოღონდ ზემოაღნიშნული შემთხვევისგან განსხვავებით, ამჯერად ბუნების ძალები არაფერ შუაშია. ბრაზილიელ თავდამსხმელ მარსიო დუშ სანტოსს გულმა მის მიერ „ალიანსა ლიმას" კარის დალაშქვრიდან რამდენიმე საათის შემდეგ უმტყუნა. „დეპორტივოს" ექიმებს ვერაფრით აუხსნიათ, თუ რამ გამოიწვია დუშ სანტოსის ჯანმრთელობის გაუარესება.

ეს შეხვედრა „დეპორტივომ" 3:1 მოიგო.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა „სპორტინგ კრისტალმა" „ესტუდიანტეს დე მედიცინასთან" მატჩში და ცხრა ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარს. დიდია ალბათობა იმისა, რომ სწორედ „კრისტალი" მოიპოვებს კლაუსურაში გამარჯვებას, ხოლო ჩემპიონის ტიტულისთვის მას აპერტურას მომგებ „უნივერსიტარიოსთან" მოუწევს დაპირისპირება.

სეზონის ბოლოს, სავარაუდოდ, „კრისტალი" დაიშლება. კლუბს ფინანსური პრობლემები ახრჩობს. რაც შეეხება „უნივერსიტარიოს", იგი შეიძლება საერთოდ გამოეთიშოს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. ჩემპიონატის დებულების შესაბამისად, თუ აპერტურას მომგები კლაუსურაში ოთხეულში ვერ მოხვდა, ჩემპიონად ავტომატურად კლაუსურას გამარჯვებული ცხადდება. ახლა კლუბი მე-10 ადგილზეა და 12 ქულით ჩამორჩება მეოთხეადგილოსან „დეპორტივოს". ასე რომ, ადვილი შესაძლებელია „კრისტალმა" უბრძოლველად მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული და ისე დაიშალოს.

### ბოლივია

კლაუსურას მორიგ ტურში საინტერესო გამოდგა ლიდერ „ბოლივარის" და „ბლუმინგის" შეხვედრა. სტადიონზე შეკრებილ გულშემატკივარს გოლების წვიმა დაატყდა თავს. „ბოლივარმა" 10:1 გაანადგურა სტუმრად ჩასული „ბლუმინგი" (ბოლივიელებმა სულ დაივიწყეს სტუმართმასპინძლობის ადათ-წესი).

ასეთი დიდი ანგარიში „ბლუმინგის" პრობლემებით შეიძლება აიხსნას. კლუბის თავკაცები იძულებულნი იყვნენ, „ბოლივარის" წინააღმდეგ ახალგაზრდული გუნდი გაეყვანათ, ვინაიდან ძირითადმა შემადგენლობამ უარი თქვა ჩემპიონატში მონაწილეობაზე სახელფასო დავალიანების გამო. მათ არგენტინელ მწვრთნელ ხოსე ლუის ბრაუნთან ერთად დატოვეს კლუბის ბაზა და არც აპირებენ დაბრუნებას, თუ „ბლუმინგის" ხელმძღვანელობა ყურად არ იღებს მათ მოთხოვნებს.

ამასობაში კი ყმაწვილ ბლუმინგელთა მწვრთნელ სესარ სოტოს ბევრი სირბილი მოუხდა. შეხვედრამდე 24 საათზე ნაკლები იყო დარჩენილი, როცა მან 15-დან 17 წლამდე ფეხბურთელებს სახლებში ჩამოუარა და სათამაშოდ წაიყვანა. ბიჭები იქამდე ორი თვის მანძილზე ბურთს არ შეხებიან. ისინი შიდა ჩემპიონატიდან მოკვეთეს ისევ და ისევ საწევროს გადაუხდელობის გამო, ამას ისიც დაემატა, რომ ზოგიერთმა ჭაბუკმა ბლუმინგელმა თვითმფრინავით მგზავრობა ვერ აიტანა და ცუდად გახდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგი ტაბლოზე აისახა. ბლუმინგელებმა მხოლოდ 22 წუთი გაუძლეს „ბოლივარის" ზეწოლას. ამის შემდეგ 5 წუთში 3 გოლი გაუშვეს. თავისი შანსი არ გაუშვა ხელიდან „ბოლივარის" თავდამსხმელმა ხოაკინ ბოტერომ და მიმდინარე ჩემპიონატში 41-ე გოლი მიითვალა, რითაც ბომბარდირის ტიტული ჩამოართვა „ორიენტე პეტროლეროს" ახალგაზრდა ფორვარდ ხოსე ალფრედო კასტილიოს.



ერმან გავირიას ეს-ესაა მეხი დაეცა

### ურუგვაი

ჩემპიონატის მორიგ ტურში ძლივს გადაურჩა დამარცხებას ქვეყნის ჩემპიონი „ნასიონალი". „ფენიქსთან" შეხვედრაში კამერუნელი ფორვარდი პიერ ვებო მხსნელად მოევლინა თავის კლუბს და ორბურთიანი სხვაობა გაქვითა. ვებო თანდათან შედის ფორმაში, მან ბოლო სამ თამაშში 8-ჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

„პენიაროლს" ბედმა უმუხთლა პროვინციულ კლუბ „პლასა კოლინიასთან" — 3:4 წააგო, თავის დაუმარცხებელ სერიას წერტილი დაუსვა და კლაუსურას სატურნირო ცხრილში ლიდერობაც დაკარგა.

### ჩილე

ჩილეს მოქმედ ჩემპიონ „უნივერსიდად კატოლიკასა" და „უნიონ ესპანიოლას" დაძაბულ შეხვედრაში მსაჯს სამჯერ მოუწია წითელი ბარათის ამოღება — ერთმანეთის მიყოლებით გააძევა მიგელ პონსე („კატოლიკა") და ხუან პაბლო ტორო („უნიონ ესპანიოლა"), ხოლო მატჩის ბოლოს მიგელ რამირესიც („კატოლიკა").

„კატოლიკა" სწორედ რამირესმა დააწინაურა 71-ე წუთზე, მაგრამ სამ წუთში ხოსე ავილამ გაათანაბრა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბი „კოლო კოლო" საშინაო მარცხს გადაურჩა ცხრილის ფსკერზე მყოფ „ტემუკოსთან", როცა სტუმართა ფეხბურთელმა ხუან კოროგამ 83-ე წუთზე პენალტი გააფუჭა. იმავე კოროგამ გაათანაბრა ანგარიში 47-ე წუთზე. მას შეეძლო, მატჩის გმირიც გამხდარიყო, მაგრამ ზემოთაც ვთქვით, შანსი ვერ გამოიყენა.

**ნინო ჭადაგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმე და სიტყვა

## პრემიერლიგა, ბუნდესლიგა, პრიმერადივიზიონი, სერია A უქმეების მერე

### ინგლისი

— „არსენალმა", ჩემპიონთა ლიგაში „ოსერთან" მარცხის ჩათვლით, ზედიზედ მესამედ წააგო. მეთოფეებმა სამივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით, 1:2 დათმეს. ასეთი ჩავარდნა არსენ ვენგერის გუნდს 2000 წლის ნოემბრიდან აღარ ჰქონია. მაშინ „არსენალმა" „ევერტონთან", მოსკოვის „სპარტაკთან" და „ლიდსთან" წააგო.

— მიუხედავად მარცხისა, „არსენალმა" ერთი რეკორდი მაინც გამოაცხო — გუნდს ზედიზედ 50 მატჩში ერთი გოლი მაინც გააქვს.

— „ბლექბერნთან" მარცხამდე „არსენალმა" პრემიერლიგაში 12 საშინაო მატჩში 12 გამარჯვება მოიპოვა.

— „მანჩესტერ სიტიმ" ბირმინგემში აღებული 3 ქულით საკუთარ 6-მატჩიან მოუგებელ სერიას დაუსვა წერტილი. ამ 6 თამაშიდან „სიტიმ" 3 ფრედ ითამაშა, სამიც წააგო.

— ჩინელი სუნ ჟიხაის გოლამდე „მანჩესტერ სიტის" 384 წუთის მანძილზე გოლი ვერ გაეტანა.

— პრემიერლიგაში ერთადერთი „ლივერპულია", რომელსაც ამ სეზონში ერთი მატჩიც არ წაუგია. აქაც და ქვედა დივიზიონებშიც დამარცხება უკვე ყველამ მოასწრო.

— „ლივერპულმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო, ბოლო 30 შეხვედრის პირველ ტაიმებში კი (გასული სეზონის გათვალისწინებითაც) მხოლოდ 3 გოლი გაუშვა.

— „ლივერპული" მსაჯების საკმაო სიმპათიითაც სარგებლობს. ჩემპიონატის ლიდერის სასარგებლოდ უკვე 5 პენალტია დანიშნული, რომელთაგან ლივერპულელებმა მხოლოდ სამი გაიტანეს. მაიკლ ოუენმა კარიერაში 13 პენალტი დაარტყა. მათგან მხოლოდ 7 გაიტანა.

— ბოლო ექვს მატჩში („სპარტაკთან" თამაშის ჩათვლით), მაიკლ ოუენმა 8 გოლი გაიტანა.

— „ტოტენჰემს" „ენფილდზე" ქულა 1995 წლიდან არ ღირსება.

— „ასტონ ვილას" „ოლდ ტრეფორდზე" ბოლოს 1983 წელს გაუმარჯვია.

— ლიდსელი მარკ ვიდუკას გოლამდე „მიდლსბროს" საკუთარ მოედანზე გოლი 401 წუთის განმავლობაში არ გაეშვა.

### გერმანია

— „დორტმუნდი" ერთადერთ გუნდად რჩება ბუნდესლიგაში, რომელსაც ამ სეზონში მარცხი არ განუცდია. ისე კი, მათიას ზამერის შეგირდებს ბუნდესლიგაში ზედიზედ 13 თამაში არ წაუგიათ.

— „ბაიერნს" არ უმართლებს: „ჰანოვერთან" მატჩში, რომელმაც ბოლოს 1966-67 წლების სეზონში მოახერხა მიუნხენში ქულის აღება, კარში დარტყმების შეფარდება ასე გამოიყურება — 32:12 ბავარიელთა სასარგებლოდ, ელბერისა და შოლის დარტყმების შემდეგ ბურთი ორჯერ მოხვდა სტუმართა კარის ძელს. ჰანოვერელებმა კი მილანში ტრავმირებული კანის შემცვლელი მეკარე ვასელსის, ტიამის და საკუთარ კარში გოლის გამტანი კუფურის უხეში შეცდომების შედეგად იხეირეს.

— მართალია, „ჰამბურგი" ბილეფელდში უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. მიმდინარე სეზონში გუნდმა სტუმრად ერთი ქულაც ვერ აიღო. „ჰამბურგის" ბოსნიელი ლეგიონერი სერგი ბარბარესი, რაც გერმანიაში თამაშობს, მეხუთედ გააძევეს მოედნიდან. ამ მაჩვენებლით მოქმედი ფეხბურთელებიდან იგი მხოლოდ იენს ნოვოტნისა და შტეფან ეფენბერგს ჩამორჩება.

— მიმდინარე პირველობაში თავისი ათივე გოლი ჯოვანი ელბერმა მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" გაიტანა.

— „ჰერტასა" და „ლევერკუზენის" შეხვედრაში ერთდროულად ექვსი ბრაზილიელი თამაშობდა: ბერლინელთა რიგებში — მარსელინიო, ალვეში და ლუიზაო, ლევერკუზენელებთან — ლუსიო, ჟუანი, ფრანცა. პელეს სამშობლოში ამ შეხვედრის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა.

— „შტუტგარტთან" შეხვედრაში, პირველად ბოლო ექვსი თვის მანძილზე, „კოტბუსმა" გოლი არ გაუშვა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის მეკარე ანდრე ლენცს, რომელიც ამ სეზონში კოტბუსელთა კარს პირველად იცავდა.

— მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" პირველი მარცხი იწვნია საკუთარ მოედანზე. შეიძლებოდა, ეს არც მომხდარიყო, შეხვედრის არბიტრ ვაგნერს ვან ჰუტის წესების სრული დაცვით გატანილი ბურთი რომ ჩაეთვალა. როგორც ვიდეოჩანაწერზე გამოჩნდა, არბიტრი შეცდა, როცა ჩათვალა, რომ „ბორუსიას" მოთამაშემ „მიუნხენ 1860"-ის კარში თამაშგარედან გაიტანა.

**მათიას ზამერი, „დორტმუნდის" მწვრთნელი:** გადამწყვეტი როლი ჩვენმა კარგმა ფიზიკურმა მომზადებამ ითამაშა. საბედნიეროდ, გაშვებული გოლის შემდეგ არ დავიბენით.

**თომას შააფი, „ვერდერის" მწვრთნელი:** თავდაპირველად თამაშის მსვლელობას ჩვენ წარვმართავდით, მაგრამ შემდეგ დორტმუნდელებს ძალიან დიდი სივრცე დავუთმეთ და მათაც შანსი გამოიყენეს.

**კლაუს ტოპმიოლერი, „ლევერკუზენის" მწვრთნელი:** მოპოვებული ქულა გუნდმა დაიმსახურა. მოედნის ცენტრში კარგად ვმოქმედებდით. ხელს მხოლოდ საშინელი ქარი გვიშლიდა, განსაკუთრებით კუთხურების დროს.

**ჰუუბ სტევენსი, „ჰერტას" მწვრთნელი:** როდესაც გუნდს მიჰყავს ანგარიში და მეორე გოლის გატანის რეალურ მომენტებს ვერ იყენებს, ჩვეულებრივ მოწინააღმდეგე მას სჯის.

**ოტმარ ჰიცფელდი, „ბაიერნის" მწვრთნელი:** გაშვებული გოლების თავიდან აცილება შეიძლებოდა. ჩვენი მოთამაშეები უყურადღებოდ მოქმედებდნენ და ბევრ დათმობაზე მიდიოდნენ. მეორე ნახევარში ყველაფერი გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო. ვერავინ დამარწმუნებს, რომ გუნდში კრიზისია. ჩვენი მორალური მდგომარეობა სრულ წესრიგშია.

**რალფ რანგნიკი, „ჰანოვერის" მწვრთნელი:** ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, შედეგით — არა. ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო, მატჩის ბედი ჩვენს სასარგებლოდ გადაგვეწყვიტა.

**დიტერ ჰოენესი, „ჰერტას" მენეჯერი:** ჩემპიონის ტიტულს ერთმანეთში „დორტმუნდი" და „ბაიერნი" გაითამაშებენ. ჩვენ, „შალკე" და „ლევერკუზენი" მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებთ.

### იტალია

— ასე დამაჯერებლად „ინტერს" ჩემპიონატში თამაში ლუიჯი სიმონის მწვრთნელობის შემდეგ არ დაუწყია. 1997-98 წლების სეზონში, რომელიც პირველი იყო ამ მწვრთნელისთვის მილანურ კლუბში, „ინტერმა" სტარტზე ხუთი გამარჯვება მოიპოვა და ერთხელაც ფრედ ითამაშა.



ჯიჯი სიმონის მერე „ინტერს" ასე კარგად არ უთამაშია

— წინა ჩემპიონატიდან მოყოლებული, „ინტერი" ზედიზედ 19 თამაშია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ბოლო უგოლო მატჩი 2 თებერვალს ჩაატარა „ტორინოსთან". ცხრამეტი ტურის განმავლობაში „ინტერმა" 38 გოლი გაიტანა, მათგან 14 კრისტიან ვიერის ანგარიშზეა.

— „მილანი" პირველად დამარცხდა ამ სეზონში. კარლო ანჩელოტის გუნდი ლიდერობას ინარჩუნებს გატანილი გოლების მიხედვით (19), მაგრამ მისი დაცვის ხაზი გაშვებული ბურთების რაოდენობის მიხედვით (5) ყველაზე საიმედო აღარ არის.

— „იუვენტუსმა" 12 ტური წაუგებლად ჩაატარა. ამ ხნის განმავლობაში ტურინელებმა 8-ჯერ გაიმარჯვეს და 4-ჯერ დაუზავდნენ მეტოქეს.

— „ატალანტამ" ზედიზედ მეოთხე თამაში წააგო. ასეთი ცუდი შედეგით — 1 ქულა 6 თამაშიდან — ბერგამოულ გუნდს ჩემპიონატი არასდროს დაუწყია.

— „იუვენტუსის" ჩილელ ფორვარდ მარსელო სალასს, რომელმაც „უდინეზესთან" გამარჯვებისა გაიტანა, მანამდე 13 თვის განმავლობაში გოლი არ გაეტანა. მილანელ ანდრეი შევჩენკოს კი, რომელმაც „კიევოს" კარი დალაშქრა, გაზაფხულის მერე ვერ გაჰქონდა.

— სერია A-ს ახალბედა „ემპოლიმ" სტუმრად ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა, რაც დღეისთვის საუკეთესო შედეგია. ამავე დროს სამ საშინაო მატჩში „ემპოლიმ" მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა.

— „რეჯინას" წინააღმდეგ „ტორინოს" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი ძაკარელი ხელმძღვანელობდა. ტურინელთა მწვრთნელად რენცო ულივიერის უპირებენ დანიშვნას.

— „ლაციოს" დიდი პროგრესი აქვს წინა სეზონის ამავე პერიოდთან შედარებით. რომაულმა კლუბმა წლეულს 6 ტურში 4 ქულით მეტი მოაგროვა. ამ მხრივ ყველაზე ცუდად საქმე „კიევოს" აქვს. მიუხედავად „მილანთან" გამარჯვებისა, ვერონელებმა 4 ქულით ნაკლები მოაგროვეს, ვიდრე შარშან.



რენცო ულივიერი საქმეს უბრუნდება

### ესპანეთი

— „რეალმა", ყველა ტურნირზე ჩატარებულ ბოლო ექვს თამაშში, მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა.

— „ესპანიოლმა" რამონ მოიას ხელში ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა. ძველ მწვრთნელ ხუანდე რამოსს კი, რომელიც ორი კვირის წინ გაათავისუფლეს, არც ერთი მატჩი არ მოეგო.

— „მალაგამ" 16-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია შეწყვიტა.

— ახალგაზრდა ნიჭიერი ფორვარდის ანტონიტოს დუბლის წყალობით „სევილიამ" მიმდინარე სეზონში თავისი პირველი გამარჯვება მოიპოვა.

— სადისციპლინო კომიტეტმა მეათე ტურამდე გადადო „სევილიას" სტადიონთან დაკავშირებით მიღებული სანქციის ამოქმედება. ამ დროის მანძილზე კლუბს გასაჩივრების უფლება აქვს. სანქცია „ბეტისთან" სევილიური დერბის დროს მომხდარი არეულობის გამო მიიღეს. მე-5 ტურის ეს მატჩი დასამახსოვრებელი იყო არა მარტო ტრიბუნებზე ატეხილი ჩხუბით, არამედ ერთი უსიამოვნო ინციდენტითაც: მასპინძელთა ერთ-ერთი ფანი მინდორზე შეიჭრა და მეკარე პრატსს თავს დაესხა. ამის შედეგად „რამონ სანჩეს პისხუანი" ოთხი თამაშითაა დისკვალიფიცირებული.




რამონ მოიამ „ესპანიოლი" ფეხზე დააყენა




იენს ნოვოტნი და სერგი ბარბარესი ბუნდესლიგაში ყველაზე უხეშები არიან



ვალერი გაზაევს თბილისის აეროპორტში კვლავ დახვდებიან

# რუსეთი აპრილზე და თბილისზე თანახმაა

## არც უეფა იტყვის უარს

„საქართველო — რუსეთის 12 ოქტომბერს ჩაშლილი მატჩი 30 აპრილს თბილისში გადათამაშდება. ჩვენ თანახმა ვართ" — გვითხრა წუხელ რუსეთის საფეხბურთო კავშირის გენერალურმა მდივანმა ვლადიმირ როდიონოვმა.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფაში ამას წინათ გაგზავნილი წერილის პასუხი მიიღო. თუ ორივე მხარე თანახმა ხართ, რომ 12 ოქტომბრის ტექნიკური მიზეზებით ჩაშლილი შესარჩევი მატჩი 30 აპრილს ისევ თბილისში გაიმართოს, გთხოვთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ და რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ამის თაობაზე ოფიციალურად გვაცნობოთო — დაახლოებით ასეთი შინაარსისაა უეფას ფაქსი. ფეხბურთის ფედერაციამ გუშინვე დაუდასტურა უეფას, რომ რუსების სამასპინძლოდ 30 აპრილს მზად არის და წერილის ასლი რუსეთის საფეხბურთო კავშირს გაუგზავნა.

— მივიღეთ საქართველოდან უეფაში გაგზავნილი ფაქსის ასლი, ანალოგიური წერილი ჩვენც უკვე მზად გვაქვს და ხვალ დილით რუსეთის საფეხბურთო კავშირი თავის დასტურს უეფას ოფიციალურად აცნობებს. მატჩი 30 აპრილს თბილისში გაიმართება — დარწმუნებულია ვლადიმირ როდიონოვი.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ კი გუშინ თქვა.

— უეფამ განიხილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თხოვნა და პასუხად მოგვწერა, ოფიციალურად დაადასტურეთ, რომ საქართველო — რუსეთის მატჩის 30 აპრილს თბილისში გამართვა გსურთო. ჩვენ ამის თაობაზე უეფას დღესვე ვაცნობეთ, ასლი კი რუსეთის საფეხბურთო კავშირს გავუგზავნეთ. დარწმუნებული ვარ, უეფაში არც რუსების ფაქსი დააყოვნებს და მატჩის ჩატარებას უეფა 30 აპრილს თბილისში დაამტკიცებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია მოსკოვში ყოფნისას თავის რუს კოლეგა ვიაჩესლავ კოლოსკოვს შეხვდა, გადათამაშების თარიღზე ერთხელაც, საბოლოოდ შეუთანხმდა და გუშინვე გვითხრა, რომ უეფაში ვიზიტისას საქართველო — რუსეთის 30 აპრილს გამართვის თაობაზე უფრო დაწვრილებით ისაუბრებს.

**ქოგა ინასარიძე**

# ჩალაძემ პოკერი 16 წუთში გაშალა

## ფრაიბურგს ბუნდესლიგა გაახსენდა

**დასასრული** ყველაფერს აქვსო და „მილანმაც" პირველად წააგო ამ სეზონში. კარლო ანჩელოტის შეგირდები ვერაფერს გახდნენ სტუმრად „კიევოსთან". მილანელთათვის სასიხარულო მხოლოდ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნებაა, რომელმაც გოლითაც „დაასველა" ეს ამბავი. ჩვენებურმა კახა კალაძემ კი უჩვეულოდ სუსტად ითამაშა და 75-ე წუთზე გამოცვალეს კიდეც. ნამატჩევს ქართველმა მცველმა ჟურნალისტებთან საუბარში აღიარა, თავს მოთენთილად ვგრძნობ და ცუდი თამაშიც ამის ბრალი იყოო.

ფეხის გადაბრუნება „მილანს" მოსისხლე „ინტერმა" არ აპატია და ადგილიც გაუცვალა. ახლა „მილანი" მეორე საფეხურზეა.

„ფრაიბურგს" ბუნდესლიგური ავადმყოფობა შეეყარა. ყველაზე „ქართულ კლუბს" ევროპაში ადრეც ასე სჩვეოდა — სეზონს კარგად იწყებდა, მერე კი...

ჩემპიონატი წლეულსაც კარგად დაიწყეს ფოლკერ ფინკეს შეგირდებმა. ქულები ბლომად აგროვეს და კარგა ხანს სატურნირო ცხრილსაც ლიდერობდნენ. ახლა კი ზედიზედ მეორედ დამარცხდნენ და მესამე ადგილამდე ჩაქვეითდნენ. „ფრაიბურგი" საკუთარ გულშემატკივრებთან „როიტლინგენმა" შეარცხვინა. სტუმრებს ერთადერთი გოლი ლევან კობიაშვილმა გაუტანა, თუმც ამას არაფერი შეუცვლია.

ლევან ცქიტიშვილმა სრულად ითამაშა, მაგრამ ბევრიც ვერ არგო გუნდს. ალექსანდრე იაშვილი კი ფეხს იტკივებს.

სამაგიეროდ, „კიოლნი" გალიდერდა, რომელსაც ჯერაც ვერ ეხმარება არჩილ არველაძე თუმც „თხები" ისედაც შედეგიანად მიიწევენ წინ.

საკუთარი თავი იპოვა „შტურმმა". წინა ტურში „ბრეგენცისგან" 0:3 დაჩაგრულმა გრაცელებმა „ადმირას" უმასპინძლეს და ჯავრიც იყარეს. დავით მუჯირი ძირითად შემადგენლობაში იყო, ორ გოლში ლომის წილიც დაიდო და ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაც მიიღო. ახლა „შტურმი" მესამე ადგილზეა და ორი ქულით ჩამორჩება „პაშინგს".

შოტლანდიაში უქართველებოდ მოიგეს „რეინჯერსმა" და „დანდიმ". შოთა არველაძე ჯერაც ტრავმას იშუშებს, გიორგი ნემსაძე და ზურაბ ხიზანიშვილი კი სათადარიგოობას დასჯერდნენ.

მიხეილ ყაველაშვილმა კვლავ გაიხსენა გოლის გემო, თუმც ჩვენებურის გოლმა „ლუცერნს" ვერ უშველა. ქართველმა „თუნს" 37-ე წუთზე გაუთანაბრა, მაგრამ მეორე ტაიმში „ლუცერნის" დაცვამ ჩაიძინა და მეტოქემაც გამარჯვებისა გაიტანა.

მოედნის გარეთ კი „ლუცერნმა" მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ფედერაციის გადაწყვეტილება კლუბმა გაასაჩივრა და ოთხქულიანი ჯარიმაც ორ ქულამდე შეამცირებინა. შეგახსენებთ, შვეიცარიის ფეხბურთის მამებმა ყაველაშვილის კლუბი ფინანსური დარღვევების გამო დასაჯეს და ოთხი ქულა ჩამოაკლეს.

რუსულ პრემიერლიგაში კი ჩვენთვის საინტერესო არაფერი მომხდარა. მოედანზეც მხოლოდ სამი ქართველი გავიდა. მიხეილ აშვეთიასა და გიორგი დემეტრაძის „ალანიას" ჯერაც არ გაუნაღდებია პრემიერლიგაში ადგილი, ვალერი აბრამიძის „სპარტაკი" კი უკვე შეეგუა ჩემპიონობის დაკარგვას.

პირველ დივიზიონში დავით ჩალაძე გამოირჩა და თან როგორ. წინა ტურში ჩერნომორეცელმა კამოლცევმა ჩვენებურს ბომბარდირთა დავაში ორი გოლით გადაასწრო. ამან ქართველი თავდამსხმელი „გააბრაზა" და განტევების ვაცად საცოდავი „მეტალურგი" შერჩა ხელთ. ჩალაძემ 16 წუთში ოთხი გოლი გაუტანა მეტოქეს. საბოლოოდ „რუბინმა" 5:0 იმარჯვა. ჩალაძე კი, ცხადია, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ახლა მას 25 თამაშში 20 გოლი აქვს გატანილი და მდევარს ორი ბურთით უსწრებს. ჩემპიონატის დასრულებამდე ერთადერთი ტური დარჩა...

უკრაინაში კი ქართველები თანდათან პოზიციებს თმობენ. შალვა აფხაზავას „არსენალმა" შინ „კარპატის" ვერ მოუგო. ასევე ფრედ ითამაშა გოჩა ჯამარაულის „მეტალურგმა". ვასილ გოგიაძისა და გოჩა ტრაპაიძის „ტავრიამ" კი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მოიგო. „ტავრია" მერვე ადგილზეა.

**კახა ზალამბერიძე**



დავით ჩალაძე მეგოლეებში კვლავ პირველია

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | კიევო 2:3 | 75 | შეცვალეს | 6 | 0 | 2 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | როიტლინგენი 1:4 | 0 | ტრავმირებულია | 7 | 0 | 3 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | როიტლინგენი 1:4 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 10 | 4 | 3 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | როიტლინგენი 1:4 | 90 | | 9 | 0 | 3 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | შ | როიტლინგენი 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | შ | როიტლინგენი 1:4 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 3 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ვალდჰოფი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | შ | ობერჰაუზენი 2:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | ადმირა 3:0 | 90 | | 11 | 2 | 3 |
| **ინგლისი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი ქაუნთი | ს | მილუოლი 0:3 | 90 | | 7 | 1 | 14 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | შ | კილმარნოკი 6:1 | 0 | ტრავმირებულია | 10 | 5 | 1 |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | პარტისი 2:1 | 0 | სათადარიგო | 9 | 0 | 6 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | პარტისი 2:1 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 6 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | პსვ | ს | ნაიმეგენი 5:0 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| **ბელგია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | შარლერუა 2:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **შვეიცარია. A ჯგუფი** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | ლუცერნი | შ | თუნი 1:2 | 90 | 1 გოლი | 9 | 2 | 8 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | ს | სენტ გალენი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 82 | შეცვალეს | 12 | 6 | 13 |
| გია იმედაძე | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 0 | ტრანსფერზეა | 10 | 2 | 13 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | ტორპედო 0:2 | 90 | | 13 | 6 | 13 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | დინამო 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 12 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | სატურნი 1:1 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 24 | 1 | 16 |
| ედიკ სადჟაია | ტორპედო | შ | ალანია 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 14 | 0 | 4 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ალანია 2:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 4 |
| ვალერი აბრამიძე | სპარტაკი | ს | როტორი 3:0 | 90 | | 4 | 0 | 3 |
| სევასტი თოდუა | ურალანი | ს | ცსკა 1:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 3 | 0 | 11 |
| ანზორ კალაძე | კრილია | შ | სოკოლი 0:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ნეფტეხიმიკი 1:0 | 0 | | 24 | 0 | 10 |
| თენგიზ სიჭინავა | კრისტალი | შ | ნეფტეხიმიკი 1:0 | 0 | | 27 | 2 | 10 |
| ზვიად ჯელაძე | კრისტალი | შ | ნეფტეხიმიკი 1:0 | 0 | | 20 | 0 | 10 |
| გიზო ჯელაძე | რუბინი | შ | მეტალურგი 5:0 | 67 | შეცვალეს | 20 | 0 | 1 |
| ლევან სილაგაძე | რუბინი | შ | მეტალურგი 5:0 | 0 | ტრავმირებულია | 12 | 0 | 1 |
| დავით ჩალაძე | რუბინი | შ | მეტალურგი 5:0 | 90 | 4 გოლი, გააფრთხილეს | 25 | 20 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | ლოკომოტივი | შ | ტომი 4:2 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 25 | 5 | 11 |
| პაატა ბერიშვილი | ვორონეჟი | ს | სკა როსტოვი 0:2 | 0 | | 4 | 1 | 14 |
| ალექსანდრე გელაძე | სკა როსტოვი | შ | ვორონეჟი 2:0 | 0 | | 7 | 0 | 17 |
| გოჩა გოგრიჭიანი | სკა როსტოვი | შ | ვორონეჟი 2:0 | 0 | | 7 | 1 | 17 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | სკა როსტოვი | შ | ვორონეჟი 2:0 | 90 | | 13 | 0 | 17 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ტრაპაიძე | ტავრია | შ | მეტალისტი 2:0 | 0 | სათადარიგო | 8 | 0 | 8 |
| ვასილ გოგიაძე | ტავრია | შ | მეტალისტი 2:0 | 89 | შეცვალეს | 13 | 6 | 8 |
| ირაკლი მოდებაძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 0:2 | 0 | | 5 | 2 | 15 |
| გოგლა ახალაია | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| დავით ოქროცვიძე | მ. ზაპოროჟიე | შ | დნიპრო 0:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 15 |
| შალვა აფხაზავა | არსენალი | შ | კარპატი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 12 | 7 | 4 |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | ვოლინი 1:1 | 90 | | 6 | 2 | 5 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრივბასი | შ | პოლიგრაფტექნიკა 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 7 |
| მიხეილ ფოცხვერია | დნიპრო | ს | მ. ზაპოროჟიე 2:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიცა | ს | რუხი 0:1 | 90 | | 9 | 1 | 6 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | მარეკი | ს | დობრუჯა 1:0 | ? | | ? | 5 | 8 |
| **საბერძნეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | აკრატიტოსი 1:0 | 0 | | 3 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანორთოსისი | ს | ეთნიკოსი 0:2 | 90 | | ? | 2 | 4 |
| გიორგი შენგელია | მორფუ | ს | ალკი 0:2 | ? | | ? | 2 | 6 |
| ლევან მაღრაძე | აელ | ს | აპოლონი 3:3 | 45 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | ? | 1 | 12 |

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში





ლუის ცაკარიასმა თვისტომები თუ მოიწონა აკაკი ჩხაიძე მათ თბილისში დატოვებს

# ვაგონში თუ ჩემოდნებზე?
## გალიარდო და გონსალესი რკინიგზელთა პასუხს ელიან

**ახალ მწვრთნელს** გუნდში თავისი ფეხბურთელები რომ მიჰყავს, ცნობილი საფეხბურთო აქსიომაა. თუ მწვრთნელი უცხოურ გუნდში მუშაობს, მით უფრო ცდილობს თანამემამულეთა მიწვევას. გამონაკლისი არც პერუელი ლუის ცაკარიასი ყოფილა. გაუფორმეს კონტრაქტი რკინიგზელებმა სამხრეთული იერის ულვაშას, მწვრთნელმაც საადაპტაციო პერიოდი გაიარა და წინა კვირას ორი თანამემამულე ჩამოიყვანა თბილისში. რაფაელ გალიარდოს და დიეგო გონსალესს ფრიად საფეხბურთო გვარები კი აქვთ, მაგრამ თავიანთ შესაძლებლობაში ლედმე ვერ დაარწმუნეს რკინიგზელები, რაკილა ჯერაც არ არის გადაწყვეტილი, ჩაირიცხებიან თუ არა პერუელები ქართულ გუნდში.

გუშინ „ლოკომოტივის" მენეჯერ ლევან ყიფიანს შევეხმიანეთ უცხოტომელთა ამბების გასაგებად.

„ყველაფერი ძველებურადაა, პერუელები გუნდთან ერთად ვარჯიშობენ, მათ ჯერაც ვაკვირდებით და ამ კვირის ბოლოს გადავწყვეტთ, დარჩებიან თუ არა" — გვითხრა ყიფიანმა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ თუკი გონსალესი, ან გალიარდო, ანაც ორივე ერთად დაიტოვეს რკინიგზელებმა, პირველი პერუელები იქნებიან ქართულ ჩემპიონატში რომ გააგორებენ ბურთს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ფილია კოლხეთში, კოლხეთი თაბაშირში



**სოსო ფილიამ** 19 ოქტომბერს, „კოლხეთის" „მილანთან" დამარცხების შემდეგ, გუნდის მწვრთნელობიდან წასვლა გადაწყვიტა. კოლხთა თავკაცმა ცხელ გულზე თქვა, მივდივარ, დავიღალე, დასვენება მინდაო. ფილიას პოზიცია გუნდის ხელმძღვანელებმა არ გაიზიარეს. „კოლხეთის" ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ ქოიავამ განაცხადა, ფილიას გამშვები არ ვართ, დავიყოლიებთ გუნდში დარჩენაზეო. თავად მწვრთნელმა ჩვენთან საუბარში თქვა, კლუბის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილი უცხოეთიდან 28 ოქტომბერს დაბრუნდება და მანამდე გუნდში ვიქნები, „დინამოსთან" მე ვუხელმძღვანელებ „კოლხეთსო".

ფოთელები ათგზის ჩემპიონთან შერცხვნენ. „დინამომ" ხუთი უპასუხო გოლი გაუტანა მეტოქეს და ერთი შეხედვით ფილიას გუნდიდან წასვლის მყარი მოტივაციაც გაჩნდა, მაგრამ საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ინაიშვილმა მწვრთნელს კვლავ ნდობა გამოუცხადა.

„ინაიშვილს ვესაუბრე, მთხოვა, წლის ბოლომდე დავრჩენილიყავი გუნდში, მეც დავთანხმდი. ფოთში ფეხბურთის განვითარების პროგრამას ვართ შეჭიდებულნი და შევეცდები, საქმე ბოლომდე მივიყვანო. ახალი წლის შემდეგ კვლავ დაველაპარაკები კლუბის მესვეურებს, ან ისევ მთავარ მწვრთნელად დავრჩები, ანაც დირექტორატში გადავალ. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს" — გვითხრა გუშინდელი სატელეფონო საუბრისას სოსო ფილიამ.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ „დინამოსთან" წაგების ერთგვარი ობიექტური მიზეზი ჰქონდათ ფოთელებს, რაკილა ერთბაშად შვიდი წამყვანი ფეხბურთელი დააკლდათ გუშინწინდელ მატჩში. შვიდიდან სამი ფეხბურთელი თაბაშირშია — გრიშიკაშვილი მოტეხილ თითს მკურნალობს, სვანაძე — ნაღრძობ მუხლს, ამათ გუშინ კლიმენტი წიტაიშვილიც შეემატა.

ისრაელიდან დაბრუნებულმა წიტაიშვილმა ორიოდე დღის წინ თაბაშირს კი დააღწია თავი, მაგრამ გუშინ ისევ შეაწუხა ტერფმა. შეგახსენებთ, წიტაიშვილს ტერფის ძვალი ჰქონდა გაბზარული და თაბაშირი დასჭირდა. მისი მოედანზე დაბრუნება დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი, მაგრამ „კოლხეთის" ექიმი გუშინ იმან შეაშფოთა, რომ ბზარი გადიდებულიყო და დასტაქარმა ისევ თაბაშირში ჩაუსვა ტერფი ფეხბურთელს. საუკეთესო შემთხვევაში წიტაიშვილი ვარჯიშს ნოემბრის ბოლოს განაახლებს.

**ბაატა ძგანტალიანი**

# ახალგაზრდულის მომავალი დამრიგებელი
## გაუნათლებელ მწვრთნელებს ევროპაში შანსს არ აძლევენ

**ადრეც გაუწყეთ**, რომ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მალე რევაზ არველაძე ჩაიბარებს. თუმც ამ საქმეს წერტილი სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ უნდა დაუსვას, რომელიც ჯერაც უცხოეთშია.

არველაძემ კი ახლახან კიოლნის სამწვრთნელო სკოლის B ლიცენზია აიღო და ჩვენც ამად გავესაუბრეთ.

— კიოლნის სკოლაში სისტემა შეიცვალა — ლიცენზიებს უკვე გერმანიის საფეხბურთო კავშირი იძლევა და სასწავლო პროცესიც უფრო სერიოზულად მიმდინარეობს. სკოლის კურსანტები დილის 9 საათიდან საღამოს რვა საათამდე ვმეცადინეობთ.

**— კონკრეტულად როგორ ტარდება სწავლება და გამოცდები?**

— ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, ვარჯიშების ჩატარება, წერითი და ზეპირი გამოცდა — ძირითადად ამას მოიცავს კიოლნის სამწვრთნელო სკოლა. თანაც კურსანტებსაც მოეთხოვებათ ფეხბურთის კარგად თამაში. გერმანელები მიიჩნევენ, რომ ეს მწვრთნელისთვის დიდი უპირატესობაა და ლიცენზირების პროცესში ჩემთვის ეს ყველაზე პატარა პრობლემას წარმოადგენდა.

**— A ლიცენზიას როდის აიღებთ?**

— B ლიცენზიის გამოცდები ისე გავიარე, რომ A ლიცენზიაზე ჩაბარებისთვის გამოცდები აღარ მომიწევს — სწავლება გაისად დაიწყება, ალბათ შემოდგომაზე. A ლიცენზიით ნებისმიერი რანგის გუნდში შემძლება მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობა, ხოლო მთავარ მწვრთნელად მეორე ბუნდესლიგის გუნდების ჩათვლით. B ლიცენზიით კი მოყვარული და ასაკობრივი გუნდების გაწვრთნაა შესაძლებელი. A კატეგორიაზე სწავლის ხანგრძლივობა 5 კვირაა, უმაღლეს ანუ პროფლიცენზიაზე კი 16.

**— გამოცდა პრაქტიკულ მეცადინეობაში რას გულისხმობს?**

— ვარჯიშის ჩატარებას. მე ჯერ 14-წლამდელები ვავარჯიშე, მერე 16-წლამდელები. პირველი ვარჯიშის დროს ბავშვებს მხოლოდ „პადიომით", ტერფის ზედ-წინა ნაწილით უნდა დაერტყათ ბურთისთვის პასის, ჩაწოდების თუ დარტყმის დროს. მეორე ვარჯიშზე კი ასეთი თემები მქონდა — როგორ უნდა მოიქცნენ ფეხბურთელები, როცა დაცვაში უმცირესობაში რჩებიან; ინდივიდუალური თამაში შეტევაში; დრიბლინგი და ფიზიკური კონდიციები.

ინსტრუქტორები ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ ამ ასაკის ფეხბურთელებთან მუშაობისას, გამეორება ცოდნის დედაა — მოთამაშეებს რაც შეიძლება კონკრეტული და ხშირი შესწორება-მითითება უნდა მისცე და ეს ავტომატურობამდე უნდა მიიყვანოთ, ბავშვებთან მუშაობისას სულ ხალისი უნდა იყოს და ისინი ერთმანეთში სულ უნდა გააჯიბროთო.

**— საქართველოში კი მწვრთნელთა მომზადების ტრადიციები ფაქტობრივად არ არის და ბევრი გაუნათლებელი მწვრთნელი მწვრთნელობას იჩემებს, პირველ რიგში იმით, რომ დიდი ფეხბურთი უთამაშიათ...**



რევაზ არველაძე

— რა თქმა უნდა, თუ კარგი ფეხბურთელი იყავი, მეტი შანსი გაქვს სხვებზე უკეთესი მწვრთნელი გამოხვიდე, მაგრამ სათანადო თეორიული ცოდნის მიღების გარეშე, დიდი წარმატებების მქონე მწვრთნელი ვერ გახდები — ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

გაუნათლებელ მწვრთნელს ევროპაში შანსს არ აძლევენ. მაგრამ არც მხოლოდ განათლებაა საკმარისი — ყველაფერი პირველ რიგში მაინც ადამიანის თვისებებზეა დამოკიდებული, ანუ აქვს თუ არა ადამიანს ის, რისი სწავლაც შეუძლებელია.

**— კი მაგრამ, ანდრეას ბრემეს სამწვრთნელო განათლება არა აქვს, მაგრამ მაინც ხომ იყო „კაიზერსლაუტერნის" მთავარი მწვრთნელი...**

— ბრემე მხოლოდ მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა და ვერც ერთი კლუბის ხელმძღვანელობა მასთან, როგორც მწვრთნელთან, კონტრაქტს ვერ გააფორმებს.

**დავით თავართქილაძე**

# ალადაშვილი გოლით დაბრუნდა, გეგუჩაძე იმედით დახვდა



საბერძნეთმოვლილმა ლაშა ალადაშვილმა თავი „გორდას" შეაფარა

**კვირას** ბათუმში სენსაციურად გაიმარჯვა ჩემპიონატის ბოლოადგილოსანმა „გორდამ" და აუტსაიდერობაც ზღვისპირელებს გადააბარა. „ბათუმის" დამარცხებაში გადამწყვეტი ლაშა ალადაშვილის გოლი გამოდგა. „გორდას" კაპიტნის, კახა ალადაშვილის უმცროსი ძმა ორწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა საქართველოს და მშობლიურ გუნდს.

ლაშა ალადაშვილი 2000 წლის ბოლოს რუსთავიდან საბერძნეთში წავიდა და ამ ხნის განმავლობაში იქაური მესამე დივიზიონის რამდენიმე კლუბში მოასწრო თამაში, ბოლოს „მესანიონაში" ირიცხებოდა.

„საბერძნეთში მართლაც არ გამიმართლა, სანამ თამაშს დავიწყებდი, ბევრი პრობლემა მქონდა. ხან ვიზის მოლოდინში ვიყავი, ხანაც ჯანმრთელობა მღალატობდა. თუმც ფეხბურთს მაინც დავუბრუნდი. ბოლოს მესამე დივიზიონის „მესანიონაში" ვითამაშე, მწვრთნელთან კონფლიქტი მომივიდა და მივხვდი, რომ ჩემი ბერძნული კარიერიდან არაფერი გამოვიდოდა და რუსთავში დაბრუნება გადავწყვიტე. „გორდაში" ვითამაშებ, მერე კი ვნახოთ, თუ კი რამე ვარიანტი გამოჩნდება, ალბათ, ისევ წავალ უცხოეთში სათამაშოდ" — გვითხრა გუშინ ლაშა ალადაშვილმა.

უმცროს ალადაშვილს „გორდაში" გია გუგუჩაძე დახვდა, რომელმაც 23 ოქტომბერს „ლოკომოტივთან" ამხანაგურ მატჩში გამოსცადა ფეხბურთელი. ის შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა და რუსთაველთაგან გოლი ლაშამ გაიტანა, გუგუჩაძემ კვირას „ბათუმთანაც" ათამაშა ფორვარდი და არც შემცდარა.

„ალადაშვილი ჩვენთან ითამაშებს, დღე-დღეზე მასთან კონტრაქტს გავაფორმებთ. უდავოდ ნიჭიერი ფეხბურთელია, თუმც ვფიქრობ, ამ ეტაპზე მოუმზადებელია, ვარჯიში და სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და ვიმედოვნებ, მალე „გორდას" დიდ დახმარებას გაუწევს" — გვითხრა რუსთაული გუნდის თავკაცმა გია გუგუჩაძემ.

**ბაატა ძგანტალიანი**

**თბილისის „ლოკომოტივი" სამძიმარს უცხადებს „ლოკომოტივი 2"-ის მთავარ მწვრთნელ ვაჟა ტოგონიძეს**
**დედის**
**გარდაცვალების გამო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 18.30 | 001 | კოტბუსი-შალკე | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| 18.30 | 002 | ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი | 2,15 | 3,0 | 3,3 | 1,25 | 1,3 | 1,57 |
| 18.30 | 003 | მიუნხენი-არმინია | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 18.30 | 004 | ჰანოვერი-ვოლფსბურგი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 18.30 | 005 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,95 | 3,3 | 3,4 | 1,22 | 1,23 | 1,67 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 18.30 | 007 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 008 | დორტმუნდი-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 20.30 | 009 | ვერდერი-ბაიერნი | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,55 | 1,28 | 1,28 |
| 20.30 | 010 | ბოხუმი-ჰერტა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 22.00 | 011 | უნიონი-დუისბურგი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 22.00 | 012 | ლიუბეკი-აინტრახტი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 22.00 | 013 | სტ.პაული-ფრაიბურგი | 2,9 | 3,2 | 2,25 | 1,52 | 1,26 | 1,32 |
| 22.00 | 014 | ობერჰაუზენი-კოლნი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 015 | ბრაუნშვაიგი-ალემანია | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 016 | როიტლინგენი-ფიურტი | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 18.00 | 017 | ვალდჰოფი-ბურგჰაუზენი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 18.00 | 018 | ტრიერი-ალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23.15 | 019 | მაინცი-კარლსრუე | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 22.30 | 020 | ესენი-ურდინგენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 021 | ქემნიცი-ბაბელსბერგი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 17.00 | 022 | ჰამბურგი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 17.00 | 023 | კილი-აუე | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| 17.00 | 024 | ვატენშაიდი-პადერბორნი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 17.00 | 025 | დორტმუნდი(მ)-დრეზდენი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.00 | 026 | დინამო-კოლნი(მ) | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.00 | 027 | მიუნსტერი-ვერდერი(მ) | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 17.00 | 028 | ფერლი-ოსნაბრიუკი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XVII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 030 | უნტერჰახინგი-დარმშტადტი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 22.00 | 031 | კიკერსი-აინტრახტი(მ) | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 032 | აალენი-ნოინკირხენი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 033 | აალენი-ნოინკირხენი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 034 | ულმი-შვაინფურტი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 17.30 | 035 | რეგენსბურგი-ზაარბრიუკენი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 17.30 | 036 | ოფენბახი-ერფურტი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 17.30 | 037 | ჰოფენჰაიმი-ზიგენი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| 17.30 | 038 | ბაიერნი(მ)-ფულენდორფი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 039 | კაიზერსლაუტერნი(მ)-აუგსბურგი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 040 | ბირმინგემი-ბოლტონი | 2,15 | 3,0 | 3,5 | 1,25 | 1,33 | 1,61 |
| 19.00 | 041 | ლივერპული-ვესტ ჰემი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 042 | ლივერპული-ვესტ ჰემი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 043 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 044 | მანჩესტერი-საუთჰემპტონი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 19.00 | 045 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 046 | ფულემი-არსენალი | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,64 | 1,27 | 1,21 |
| 18.00 | 047 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 048 | ბლეკბერნი-ასტონ ვილა | 1,85 | 3,1 | 4,0 | 1,15 | 1,26 | 1,74 |
| 19.00 | 049 | ლიდსი-ევერტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.05 | 050 | ჩარლტონი-სანდერლენდი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 24.00 | 051 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 30 ოქტომბერი | | | | | | |
| 23.45 | 060 | დერბი-შეფილდი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 061 | უიმბლდონი-მილუოლი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 23.45 | 062 | სტოკი-უოტფორდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

### იტალია. სერია "A". VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 128 | უდინეზე-ბოლონია | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 23.30 | 129 | ტორინო-ბრეშა | 2,05 | 2,9 | 3,6 | 1,2 | 1,3 | 1,6 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 18.00 | 130 | ატალანტა-პიაჩენცა | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| 18.00 | 131 | კომო-ინტერი | 4,4 | 3,2 | 1,7 | 1,85 | 1,22 | 1,11 |
| 18.00 | 132 | ემპოლი-ლაციო | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 18.00 | 133 | მილანი-რეჯინა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 134 | მილანი-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 18.00 | 135 | მოდენა-იუვენტუსი | 4,0 | 3,0 | 1,85 | 1,71 | 1,26 | 1,14 |
| 18.00 | 136 | რომა-პერუჯა | 1,3 | 4,2 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,86 |
| | 137 | რომა-პერუჯა 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 23.30 | 138 | პარმა-კიევო | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,14 | 1,28 | 1,75 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. VIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 172 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2,1 | 3,0 | 3,4 | 1,23 | 1,29 | 1,59 |
| 00.30 | 173 | დეპორტივო-რეალი | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 20.00 | 174 | ბილბაო-სელტა | 2,6 | 3,0 | 2,5 | 1,39 | 1,27 | 1,36 |
| 20.00 | 175 | ატლეტიკო-რაიო | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 176 | ესპანიოლი-ვალენსია | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 20.00 | 177 | ოსასუნა-უელვა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 20.00 | 178 | ვილიარეალი-სოსიედადი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 20.00 | 179 | ბეტისი-მალაგა | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 20.00 | 180 | ალავესი-სევილია | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 23.30 | 181 | რასინგი-ბარსელონა | 3,2 | 3,1 | 2,15 | 1,57 | 1,28 | 1,26 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 21.30 | 182 | ალბასეტე-ეხიდო | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 21.30 | 183 | ეიბარი-ოვიედო | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 21.30 | 184 | ხერესი-ლევანტე | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 21.30 | 185 | ტერასა-კომპოსტელა | 1,75 | 2,9 | 5,0 | 1,09 | 1,29 | 1,83 |
| 01.00 | 186 | ლას პალმასი-სარაგოსა | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,18 | 1,28 | 1,67 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 15.00 | 187 | ლეგანესი-სალამანკა | 2,2 | 2,9 | 3,3 | 1,25 | 1,32 | 1,54 |
| 15.00 | 188 | ელჩე-მურსია | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 20.00 | 189 | ბადახოსი-ფეროლი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 20.00 | 190 | სპორტინგი-კორდობა | 2,0 | 3,0 | 3,6 | 1,2 | 1,28 | 1,63 |
| 20.00 | 191 | ალმერია-ხეტაფე | 2,3 | 2,9 | 3,1 | 1,28 | 1,32 | 1,49 |
| 20.00 | 192 | ნუმანსია-ტენერიფე | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |

### საფრანგეთი
### I დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 20.15 | 193 | ლიონი-ნიცა | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 23.00 | 194 | ბასტია-ლილი | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| 23.00 | 195 | ლანსი-ისტრი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 23.00 | 196 | მარსელი-მონპელიე | 1,5 | 3,3 | 7,0 | 1,03 | 1,23 | 2,24 |
| 23.00 | 197 | მონაკო-ლე ავრი | 1,6 | 3,1 | 6,0 | 1,05 | 1,26 | 2,04 |
| 23.00 | 198 | რენი-აიაჩო | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 23.00 | 199 | სოშო-სტრასბურგი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 200 | ტრუა-გენგამი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 21.30 | 201 | სედანი-პსჟ | 2,9 | 2,9 | 2,4 | 1,45 | 1,31 | 1,31 |
| 23.45 | 202 | ნანტი-ბორდო | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |

### საფრანგეთი
### II დივიზიონი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23.15 | 203 | კანი-ლე მანი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 23.00 | 204 | ამიენი-რეიმსი | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |
| 23.00 | 205 | ბოვე-ვასკეალი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.00 | 206 | შატორუ-ლორიანი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| 23.00 | 207 | კლერმონი-გენიონი | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 23.00 | 208 | კრეტეი-ნიორი | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 209 | გრენობლი-ისტრი | 1,8 | 2,9 | 4,7 | 1,11 | 1,3 | 1,79 |
| 23.00 | 210 | ლავალი-ტულუზი | 2,35 | 2,9 | 3,0 | 1,29 | 1,31 | 1,47 |
| 23.00 | 211 | ვალანსი-სტ.ეტიენი | 1,95 | 2,9 | 4,0 | 1,16 | 1,31 | 1,68 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 212 | ნანსი-მეცი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,34 | 1,29 | 1,39 |

### პორტუგალია. I ლიგა. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 22.00 | 213 | ბრაგა-გიმარაეში | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 01.00 | 214 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 215 | სპორტინგი-ჟილ ვისენტე | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 216 | ვარზიმი-მარიტიმუ | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 19.30 | 217 | აკადემიკა-ლეირია | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 20.00 | 218 | ფეირენსე-ბეირა მარი | 1,65 | 3,2 | 5,0 | 1,08 | 1,24 | 1,95 |
| 20.00 | 219 | მორეირენსე-სეტუბალი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 23.00 | 220 | სანტა კლარა-ბენფიკა | 3,5 | 3,2 | 1,95 | 1,67 | 1,25 | 1,21 |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23.15 | 221 | ბელენენსეში-ბოავიშტა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 01.30 | 222 | პორტუ-ნასიონალი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 223 | პორტუ-ნასიონალი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |

### პორტუგალია. II ლიგა. IX ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 224 | სალგეიროში-ნავალი | 1,55 | 3,3 | 6,0 | 1,05 | 1,23 | 2,12 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 19.00 | 225 | ფარენსე-შავეში | 1,8 | 3,0 | 4,4 | 1,12 | 1,27 | 1,78 |
| 19.00 | 226 | ამადორა-ალვერკა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 227 | ლამაში-ავეში | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 228 | ფელგეირაში-ოვარენსე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |
| 19.30 | 229 | პენაფიელი-მარკუ | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 20.00 | 230 | მაია-კოვილია | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 20.00 | 231 | პორტიმონენსე-რიუ ავე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 20.00 | 232 | მადეირა-ლეშა | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23.00 | 233 | ზვოლე-ალკმაარი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 22.30 | 234 | ექსელსიორი-ნაიმეგენი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 22.30 | 235 | ტვენტე-პსვ | 5,0 | 3,4 | 1,6 | 2,02 | 1,21 | 1,08 |
| 22.30 | 236 | როზენდალი-ვალვაიკი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 22.30 | 237 | ჰერენვენი-გრაფსხაპი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,07 | 1,16 | 2,21 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 17.30 | 238 | აიაქსი-ტილბურგი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 239 | აიაქსი-ტილბურგი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 17.30 | 240 | უტრეხტი-ბრედა | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 17.30 | 241 | გრონინგენი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,45 | 2,32 | 1,16 | 1,04 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. X ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 ნოემბერი | | | | | | |
| 23.00 | 242 | დენ ჰააგი-ოსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| | 243 | დენ ჰააგი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 23.00 | 244 | ტელსტარი-კამბური | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 23.00 | 245 | სპარტა-ჰერაკლესი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.00 | 246 | მაასტრიხტი-ჰელმონდი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 23.00 | 247 | სიტარდი-ემენი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 23.00 | 248 | ეინდჰოვენი-ვოლენდამი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 23.00 | 249 | დენ ბოსხი-ვენდამი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.00 | 250 | ვენლო-ჰაარლემი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 23.00 | 251 | დორდრეხტი-იგლსი | 3,6 | 3,4 | 1,8 | 1,74 | 1,19 | 1,17 |

### ბელგია. I დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 252 | მონსი-ბრიუგე | 4,0 | 3,4 | 1,7 | 1,83 | 1,19 | 1,13 |
| 23.00 | 253 | გენტი-ლომელი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.00 | 254 | მუსკრონი-ლოკერენი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 23.00 | 255 | შარლერუა-სტ.ტრუიდენი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 23.00 | 256 | სტანდარდი-ლევენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | 3 ნოემბერი | | | | | | |
| 16.15 | 257 | ანტვერპენი-ბეერსხოტი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 258 | მეხელენი-ბევერენი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 18.00 | 259 | გენკი-ვესტერლო | 1,2 | 5,0 | 12,0 | 1 | 1,09 | 3,52 |
| | 260 | გენკი-ვესტერლო 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | 4 ნოემბერი | | | | | | |
| 23.30 | 261 | ანდერლეხტი-ლიერსი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

### ბელგია. II დივიზიონი. XII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2 ნოემბერი | | | | | | |
| 22.30 | 262 | დენდერი-დეინზე | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 23.00 | 263 | გეელი-ლეტი | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 264 | ინგელმუნსტერი-სტრომბეკი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 265 | ეუპენი-ჰეუსდენი | 3,2 | 2,9 | 2,25 | 1,52 | 1,32 | 1,26 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 266 | დენდერლეეუ-ვერტინი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,44 | 1,29 | 1,33 |
| 18.00 | 267 | რონზე-ვიგერი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |
| 18.00 | 268 | ვარეგემი-როზელარე | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 18.00 | 269 | სერენი-მაკრი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1,02 | 1,2 | 2,33 |
| | 270 | სერენი-მაკრი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 271 | ტუბიზი-ვიზე | 1,9 | 2,9 | 4,2 | 1,14 | 1,3 | 1,71 |

საბერძნეთი
VI ტური
3 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 272 | ეგალეო-ირაკლისი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.00 | 273 | აკრატიტოსი-პაოკი | 3,6 | 3,2 | 1,9 | 1,69 | 1,24 | 1,19 |
| 20.00 | 274 | პანიონიოსი-იანინა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | 275 | პანიონიოსი-იანინა 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 276 | ოლიმპიაკოსი-პროოდევტიკი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 277 | ოლიმპიაკოსი-პროოდევტიკი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| 20.00 | 278 | პანაჰაიკი-პანათინაიკოსი | 7,0 | 4,2 | 1,35 | 2,62 | 1,13 | 1,02 |
| 20.00 | 279 | ოფი-აეკი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,91 | 1,2 | 1,11 |
| 20.00 | 280 | არისი-ქსანთი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 20.00 | 281 | კალითეა-იონიკოსი | 2,35 | 3,0 | 2,9 | 1,31 | 1,29 | 1,47 |

ჩეხეთი. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.25 | 282 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,45 | 3,0 | 2,7 | 1,34 | 1,28 | 1,42 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.00 | 283 | სინოტი-პრჟიბრამი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 17.00 | 284 | ბანიკი-ჰ.კრალოვე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.30 | 285 | ტეპლიცე-იაბლონეცი | 1,7 | 3,1 | 4,7 | 1,09 | 1,24 | 1,86 |
| 19.30 | 286 | ბუდეიოვიცე-სიგმა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| | | **4 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 287 | სპარტა-ბოჰემიანსი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 288 | სპარტა-ბოჰემიანსი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.00 | 289 | ლიბერეცი-ზლინი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| | 290 | ლიბერეცი-ზლინი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 | | | |
| 22.00 | 291 | სლავია-ბლშანი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 292 | სლავია-ბლშანი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |

პოლონეთი. XII ტური
3 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 293 | გარბარნია-ვროცლავი | 2,4 | 3,1 | 2,7 | 1,35 | 1,27 | 1,44 |
| 16.00 | 294 | პოლონია-ვისლა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,55 | 1,28 | 1,28 |
| 18.00 | 295 | რუხი-ზაგლემბე | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.00 | 296 | ამიკა-ოდრა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 297 | კატოვიცე-ოსტროვეცი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 298 | კატოვიცე-ოსტროვეცი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 18.00 | 299 | პლოცკი-გორნიკი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 18.00 | 300 | ვიძევი-პოგონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 20.30 | 301 | ლეხი-ლეგია | 3,6 | 3,1 | 1,95 | 1,66 | 1,26 | 1,19 |

თურქეთი. XI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **1 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.00 | 302 | ტრაბზონსპორი-დიარბაქირი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 303 | ტრაბზონსპორი-დიარბაქირი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 14.30 | 306 | ელაზიგი-გენჩლერბირლიგი | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 15.30 | 304 | ალთაი-ადანა | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 15.30 | 305 | მალათია-სამსუნი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 15.30 | 307 | გაზიანთეპი-ქოჯაელი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 308 | გაზიანთეპი-ქოჯაელი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | | |
| 15.30 | 309 | ანკარაგუჯუ-ისტანბული | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 18.00 | 310 | გალათასარაი-გოზთეპე | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 311 | გალათასარაი-გოზთეპე 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | | |

შოტლანდია
პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 16.30 | 312 | დანდი-რეინჯერსი | 6,5 | 3,6 | 1,45 | 2,31 | 1,18 | 1,03 |
| 19.00 | 313 | კილმარნოკი-დანდი იუნაიტედი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 19.00 | 314 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| 19.00 | 315 | პარტიკი-მაზერველი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 316 | სელტიკი-აბერდინი | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 |
| | 317 | სელტიკი-აბერდინი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 | | | |
| 19.00 | 318 | ჰიბერნიანი-ჰარტსი | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |

დანია. XIV ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.00 | 338 | ორჰუსი-ბრიონბიუ | 3,1 | 3,2 | 2,15 | 1,57 | 1,26 | 1,28 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.00 | 339 | ოლბორგი-ოდენსე | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 18.00 | 340 | ესბიერგი-სილკებორგი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 341 | ფარუმი-ვიბორგი | 2,0 | 3,3 | 3,3 | 1,24 | 1,24 | 1,65 |
| 18.00 | 342 | მიდტიულანდი-კოგე | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 20.35 | 343 | კოპენჰაგენი-ვაილე | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

ავსტრია. XVI ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 18.30 | 344 | კერნტენი-ზალცბურგი | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 18.30 | 345 | პაშინგი-რიდი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.30 | 346 | ადმირა-ბრეგენცი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 20.20 | 347 | გრაცერი-რაპიდი | 2,45 | 3,1 | 2,6 | 1,36 | 1,26 | 1,41 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 19.30 | 348 | ავსტრია-შტურმი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |

შვეიცარია. "A" ჯგუფი. XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 349 | აარაუ-დელემონი | 2,4 | 3,3 | 2,5 | 1,38 | 1,22 | 1,42 |
| 20.30 | 350 | ქსამაქსი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 351 | თუნი-სერვეტი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 17.30 | 352 | ვილი-სტ.გალენი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.15 | 353 | ბაზელი-ციურიხი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.15 | 354 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| | 355 | გრასჰოპერი-ლუცერნი | 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 | | |

შვეიცარია. "B" ჯგუფი. XVIII ტური

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.30 | 356 | ბადენი-შაფჰაუზენი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 20.30 | 357 | ვინტერთური-ვოლენი | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,11 | 1,2 | 1,91 |
| 22.30 | 358 | ლოზანა-ვადუცი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **3 ნოემბერი** | | | | | | |
| 17.30 | 359 | კრიენსი-ივერდონი | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 17.30 | 360 | ლოკარნო-ბელინცონა | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 17.30 | 361 | სიონი-კონკორდია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

შოტლანდია. ლიგის თასი. III ეტაპი
30 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 380 | აბერდინი-მაზერველი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |

ნორვეგია. თასი. ფინალი (ოსლოში)
3 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.15 | 381 | ვალერენგა-ოდ გრენლანდი | 2,45 | 3,3 | 2,45 | 1,4 | 1,22 | 1,4 |

ჩემპიონთა ლიგა. I ჯგუფური ეტაპი. V მატჩები
30 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 390 | დორტმუნდი-არსენალი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.45 | 391 | პსვ-ოსერი | 2,35 | 3,1 | 2,8 | 1,33 | 1,27 | 1,47 |
| 23.45 | 392 | ლოკომოტივი-ვალენსია | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| 23.45 | 393 | აეკ-გენკი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 23.45 | 394 | რეალი-რომა | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 23.45 | 395 | ინტერი-როზენბორგი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.45 | 396 | ლიონი-აიაქსი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |

უეფას თასი
II წრე. I ეტაპი
31 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 400 | აპოელი-ჰერტა | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 20.00 | 401 | დინამო(ზ)-ფულემი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 20.15 | 402 | სპარტა-დენიზლი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 21.00 | 403 | შტურმი-ლევსკი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 21.00 | 404 | ფერენცვაროში-შტუტგარტი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| 22.00 | 405 | ნაციონალი-პსჟ | 3,3 | 3,1 | 2,1 | 1,59 | 1,28 | 1,25 |
| 22.15 | 406 | ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 22.30 | 407 | პარტიზანი-სლავია | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 23.15 | 408 | პაოკ-გრასჰოპერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.30 | 409 | ავსტრია-პორტო | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| 23.30 | 410 | ვიტესი-ვერდერი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 23.30 | 411 | ლაციო-ცრვენა ზვეზდა | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 23.30 | 412 | ანდერლეხტი-მიდტიულანდი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 23.45 | 413 | იპსვიჩი-ლიბერეცი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 23.45 | 414 | ალავესი-ბეშიქთაში | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 24.00 | 415 | ლიდსი-ჰაპოელი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,21 |
| 24.00 | 416 | პარმა-ვისლა | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,83 |
| 00.05 | 417 | სელტიკი-ბლეკბერნი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 00.30 | 418 | სელტა-ვიბორგი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 00.30 | 419 | მალაგა-ამიკა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| 01.00 | 420 | ბოავიშტა-ანორთოსისი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |

ჰოკეი. რუსეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 12.30 | 601 | ამური-სიბირი | 1,4 | 4,7 | 4,2 | 1,07 | 1,04 | 2,21 |
| 16.00 | 602 | ცსკა-ნოვოკუზნეცკი | 1,95 | 4,4 | 2,4 | 1,35 | 1,07 | 1,55 |
| 17.30 | 603 | სალავატი-სევერსტალი | 2,3 | 4,2 | 2,1 | 1,48 | 1,09 | 1,4 |
| 17.30 | 604 | მაგნიტოგორსკი-სპარტაკი | 1,25 | 5,6 | 5,6 | 1,02 | 1,02 | 2,8 |
| 17.30 | 605 | მეჩელი-ავანგარდი | 3,8 | 4,7 | 1,45 | 2,1 | 1,04 | 1,1 |
| 18.30 | 606 | ლადა-აკ | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,12 |
| 19.30 | 607 | ლოკომოტივი-ნეფტეხიმიკი | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,12 |
| 19.30 | 608 | კრილია-აკ ბარსი | 3,5 | 4,7 | 1,5 | 2 | 1,04 | 1,13 |
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.30 | 609 | მოლოტი-დინამო | 3,3 | 4,7 | 1,55 | 1,93 | 1,05 | 1,16 |

ჰოკეი. ჩეხეთი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **30 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.30 | 618 | ბუდეიოვიცე-ტრჟინეცი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| | | **1 ნოემბერი** | | | | | | |
| 20.00 | 619 | ვსეტინი-პარდუბიცე | 2,5 | 4,2 | 1,9 | 1,56 | 1,07 | 1,3 |
| 20.00 | 620 | ვიტკოვიცე-ზნოიმო | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |
| 20.00 | 621 | პლზენი-ზლინი | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |
| 20.30 | 622 | კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |
| 20.30 | 623 | ლიტვინოვი-ტრჟინეცი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.30 | 624 | ბუდეიოვიცე-ჰავიროვი | 1,2 | 6,0 | 6,5 | 1 | 1,01 | 3,12 |
| 21.00 | 625 | სლავია-სპარტა | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |

ჰოკეი. შვეიცარია
2 ნოემბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 634 | დავოსი-ცუგი | 1,35 | 4,7 | 4,7 | 1,04 | 1,04 | 2,34 |
| 22.30 | 635 | ამბრი-ლუგანო | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |
| 22.30 | 636 | ბერნი-ციურიხი | 2,2 | 4,2 | 2,2 | 1,44 | 1,1 | 1,44 |
| 22.30 | 637 | სერვეტი-რაპერსვილი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 638 | კლოტენი-ფრიბურგი | 1,8 | 4,2 | 2,7 | 1,26 | 1,08 | 1,64 |
| 22.30 | 639 | ლანგნაუ-ლოზანი | 2,4 | 4,2 | 2,0 | 1,52 | 1,09 | 1,35 |

ჰოკეი. გერმანია

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 643 | აიზბერენი-დიუსელდორფი | 1,7 | 4,2 | 2,9 | 1,21 | 1,07 | 1,71 |
| | | **1 ნოემბერი** | | | | | | |
| 22.30 | 644 | მანჰაიმი-ჰანოვერი | 1,4 | 4,4 | 4,4 | 1,06 | 1,06 | 2,2 |
| 22.30 | 645 | კიოლნი-კრეფელდი | 1,5 | 4,4 | 3,6 | 1,11 | 1,05 | 1,98 |
| 22.30 | 646 | იზერლონი-ჰამბურგი | 1,55 | 4,4 | 3,4 | 1,14 | 1,06 | 1,91 |
| 22.30 | 647 | ნიურნბერგი-კასელი | 1,65 | 4,4 | 3,0 | 1,2 | 1,06 | 1,78 |
| 22.30 | 648 | ინგოლშტადტი-შვენინგი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 22.30 | 649 | ფრანკფურტი-აუგსბურგი | 1,75 | 4,2 | 2,8 | 1,23 | 1,07 | 1,68 |

ჰოკეი. ფინეთი
30 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 676 | ლუკო-კარპატი | 1,9 | 4,2 | 2,5 | 1,3 | 1,07 | 1,56 |
| 20.30 | 677 | ტპს-კალპა | 1,6 | 4,2 | 3,3 | 1,15 | 1,07 | 1,84 |

ჰოკეი. NHL
30 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 698 | ოტავა-პიტსბურგი | 2,0 | 4,0 | 2,45 | 1,33 | 1,1 | 1,51 |
| 04.00 | 699 | ვაშინგტონი-ბოსტონი | 2,2 | 4,0 | 2,25 | 1,41 | 1,11 | 1,44 |
| 04.00 | 700 | კაროლინა-აილენდერსი | 2,1 | 4,0 | 2,35 | 1,37 | 1,1 | 1,48 |
| 04.00 | 701 | ტამპა ბეი-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 3,1 | 1,19 | 1,09 | 1,74 |
| 05.00 | 702 | სტ.ლუისი-ნეშვილი | 1,45 | 4,0 | 4,4 | 1,06 | 1,09 | 2,09 |
| 05.30 | 703 | დალასი-ფლორიდა | 1,55 | 4,0 | 3,8 | 1,11 | 1,1 | 1,94 |

კალათბურთი. NBA
30 ოქტომბერი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 787 | ბოსტონი-ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 04.00 | 788 | ფილადელფია-მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 04.00 | 789 | ტორონტო-ვაშინგტონი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 04.00 | 790 | ინდიანა-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 | | | |
| 04.30 | 791 | ნიუ ჯერსი-ატლანტა | 1,2 | 12,0 | 3,5 | | | |
| 04.30 | 792 | მაიამი-ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,9 | | | |
| 05.00 | 793 | დეტროიტი-ნიუ იორკი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 05.00 | 794 | მემფისი-დალასი | 2,5 | 12,0 | 1,35 | | | |
| 05.00 | 795 | მინესოტა-დენვერი | 1,15 | 12,0 | 4,0 | | | |
| 05.30 | 796 | ნიუ ორლეანი-იუტა | 1,6 | 12,0 | 2,0 | | | |
| 06.30 | 797 | პორტლენდი-ლეიკერსი | 2,0 | 12,0 | 1,6 | | | |
| 07.00 | 798 | სიეტლი-ფინიქსი | 1,5 | 12,0 | 2,2 | | | |
| 07.30 | 799 | კლიპერსი-კლივლენდი | 1,4 | 12,0 | 2,4 | | | |
| 07.30 | 800 | გოლდენ სტეიტ-სან ანტონიო | 2,5 | 12,0 | 1,35 | | | |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, ჰ კორპუსი

კროკომა უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

*„დინამოს“ სადღეისო საჩელენჯქაფო მეტოქე თბილისს გუშინ დილის ოთხ საათზე ეწვია. უკრაინის პროვინციულ ქალაქ იუჟნის „ხიმიკი“ საქართველოს დედაქალაქში კიევიდან სტამბოლის გავლით ჩამოფრინდა. უკრაინის უმაღლესი ლიგიდან სუპერლიგაში წლეულს გადასული იუჟნელები გამთენიისას რომ მიადგნენ სასტუმრო „საირმეს“, ლოგინიდან თავები დღის სამ საათამდე არ აუწევიათ. ნაშუადღევს გამოძინებულ-მოსვენებულმა ხიმიკელებმა სასტუმროს რესტორანს მიაშურეს, ჩვენ კი ნასადილევს გაგვესაუბრნენ*

# დინამო — ხიმიკი პირველად იყო ღვინო


ზვეზდან მიტროვიჩი


ვლადან ქოვკოვიჩი


დანილო ფატიჩი

**ზვეზდან მიტროვიჩი, „ხიმიკის“ იუგოსლაველი მწვრთნელი:** თბილისში 5 წლის წინ ვიყავი, პოდგორიცას „ბუდუჩნოსტი“ თქვენებურ „ვითას“ ეთამაშებოდა, იუგოსლავიური კლუბის მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ვიყავი. მწვრთნელობის დაწყება საკმაოდ ადრეულად მომიხდა, 10 წლის წინ მძიმე ტრავმა მივიღე და აქტიურ სპორტს ჩამოვშორდი. თავიდან „ბუდუჩნოსტში“ ვმუშაობდი 5 წელი, შემდეგ იუგოსლავიის პირველი დივიზიონის კლუბს ვწვრთნიდი, ჩემი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვთავკაცობდი. „ხიმიკი“ კი სამი თვეა, რაც ჩავიბარე.

**— „დინამოზე“ რა იცით?**

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ახლახან იუგოსლაველი კალათბურთელი შეიძინა ივან სიროვინას კარგად ვიცნობ, ჩერნოგორიაშიც უთამაშია. ინტერნეტში ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყნის შესახებაა ინფორმაცია, მოლდოვურ კალათბურთზეც კი ვნახეთ საკმაო ცნობები, მაგრამ „დინამოზე“ ვერაფერს მივაკვლიეთ. ამ მხრივ თქვენებური გუნდი უკეთეს მდგომარეობაშია, „დინამოს“ წარმომადგენელი უკრაინის ჩემპიონატში ჩვენს ბოლო შეხვედრას დაესწრო კიევში „ბკ კიევთან“ და ვიდეოკამერითაც გადაიღო. ეს დიდი კოზირია.

**— „ხიმიკი“ უკრაინის სუპერლიგის დებიუტანტია, ჯერ უკრაინის წამყვან კლუბებთან პაექრობას არ ხართ ხეირიანად გაჩვეული და უკვე ევროთასზე გამოდიხართ.**

— ჩემი ინიციატივა არ ყოფილა ამ ტურნირში მონაწილეობა. როგორც გითხარით, მე ახალი მოსული ვარ „ხიმიკში“, გუნდის შემადგენლობაც არაა ჩემი დაკომპლექტებული. გუნდის უფროსებმა მითხრეს, რომ „ჩელენჯ ქაფში“ ვითამაშებდით, უარი როგორ მეთქვა.

**— რამე მიზანი თუ დაგისახეს, ამ ტურნირში „ხიმიკის“ მონაწილეობა რომ გადაწყდა?**

— „ჩელენჯ ქაფში“ მხოლოდ იმიტომ ვმონაწილეობთ, რომ საერთაშორისო გამოცდილება შევიძინოთ და ჩვენს მოთამაშეებს ევროპული კალათბურთი გავაცნოთ. „ხიმიკის“ ბირთვი ახალგაზრდულია. უკრაინის სუპერლიგაში წლეულს ყველა პირველად თამაშობს, მხოლოდ ალექსეი ბესკოვმა ითამაშა შარშან უმაღლეს დონეზე უკრაინის ჩემპიონატში.

„ჩელენჯ ქაფის“ ტურნირში ჩვენი ამბიციები მოკრძალებულია, მასში მიღებული გამოცდილება უკრაინის სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად გამოგვადგება. „ხიმიკი“ ახლა ყალიბდება და პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. იუჟნიში ხეირიანი საკალათბურთო დარბაზიც არ არის, საერთაშორისო მატჩების გამართვა ოდესაში მოგვიწევს. გუნდის ხელმძღვანელობას ახალგაზრდა უკრაინელების სწორი მიმართულებით აღზრდა განუზრახავს, მეც ამიტომ მომიწვიეს. უკრაინაში იუგოსლავიურ კალათბურთს დიდ პატივს სცემენ.

**— „ხიმიკს“ გამოცდილებიც ჰყავს.**

— 34 წლის ვლადან ქოვკოვიჩი შარშანაც თამაშობდა „ხიმიკში“ და უმაღლესი ლიგის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ის გუნდის ლიდერია და არა მგონია, უმისოდ იუჟნელებს სუპერლიგის საგზური მოეპოვებინათ. დანილო ფატიჩი კი ერთადერთი კალათბურთელია, რომელიც ჩემი რეკომენდაციითაა „ხიმიკში“. მას „ბუდუჩნოსტში“ ვწვრთნიდი და მისი მჯერა. ხვალინდელი მატჩის პროგნოზისგან თავს შევიკავებ, „დინამოს“ არ ვიცნობ და რა მოგახსენოთ.

შემდეგ „ხიმიკის“ შვეიცარ (?) ლიდერს, იუგოსლაველ **ვლადან ქოვკოვიჩს** გავესაუბრეთ.

— კარიერა „ცრვენა ზვეზდას“ ახალგაზრდულ გუნდში დავიწყე, თუმცა მწვრთნელებთან შეუთავსებლობის გამო ბელგრადის OKK-ში გადავედი, სადაც 10 წელი ვითამაშე. ვიყავი ესპანურ, ფრანგულ კლუბებში, მაროკოშიც მითამაშია.

„დინამოზე“ მხოლოდ ის ვიცი, რომ ორი დღის წინ ჩემთვის კარგად ნაცნობი ივან სიროვინა შეიძინა. კიდევ ერთ კამერუნელზე მითხრეს, თუ არ ვცდები, სახელად აჰმედი ჰქვია, ისიც ჩემსავით თავდამსხმელის პოზიციაზე თამაშობს. კამერუნელ ზანგებთან თამაშის გამოცდილება კი საკმაო მაქვს, მაროკოში მივიღე.

„ხიმიკი“ ცდილობს, ევროპული, უფრო კი იუგოსლავიური კალათბურთი ითამაშოს. სხვა უკრაინულ გუნდებს აქცენტი შეტევაზე აქვთ, მათი დევიზია — „100 ქულას ჩაგვიგდებთ? 101 ჩაგიგდებთ“. „ხიმიკი“ კი პირიქითაა — „70-ს ჩაგვაგდებინებთ? თქვენ უფრო ნაკლებს ჩააგდებთ“. ხვალაც უფრო დაცვაზე ვიქნებით ორიენტირებულნი.

მოგების მეტი შანსი „დინამოს“ აქვს, ჩვენთვის ცუდი შედეგი იქნება, 15 ქულაზე მეტით თუ წავაგებთ, ისე კი, ცხადია, მოგებაზე ვფიქრობთ.

„ხიმიკის“ მესამე იუგოსლაველმა უფრო მეტი იცოდა ქართულ კალათბურთზე. **დანილო ფატიჩს** სპორტის სასახლეში უთამაშია.

„ბუდუჩნოსტში“ რომ ვიყავი საპორტას თასზე „ვითას“ წინააღმდეგ მითამაშია. ახლაც მახსოვს მაშინდელი ქომაგობა, თბილისურ მატჩში თქვენებურ კლუბს ათასობით ადამიანი მხურვალედ გულშემატკივრობდა. ის მატჩი 4 თუ 5 ქულით წავაგეთ, საპასუხო შეხვედრაში კი დიდი სხვაობით ვიმარჯვეთ, პოდგორიცაში „ვითა“ მეორე შემადგენლობით გვესტუმრა. იმის შემდეგ, ცხადია, ბევრი რამ შეიცვლებოდა ქართულ კალათბურთში. ახლა წარმოდგენა არა მაქვს, რა დონეზე ხართ. ივან სიროვინას ახლოს ვიცნობ, ორი წლის წინ ის სუბოტიცას „სპარტაკში“ თამაშობდა იუგოსლავიის ჩემპიონატში.

„ვითასთან“ შეხვედრიდან ერთი მაღალ-ან მოზრდილი კალათბურთელი დამამახსოვრდა (კახა შენგელია) ნეტავ, ის თუ ითამაშებს ხვალ ჩვენს წინააღმდეგ?

ხიმიკელებს საღამოს ექვს საათზე ვარჯიში ელოდათ ვერის ბაღში, მანამდე კი მათმა თავკაცმა ზვეზდან მიტროვიჩმა რამდენიმე კალათბურთელთან ერთად საჭაშნიკეს მიაშურა, ღვინოების მოყვარული და კოლექციონერი ყოფილა.

დღეს კი ვერის ბაღში შვიდ საათზე თამაშია...

**ირაკლი ბერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი


ვლადიმერ სტეფანია

# უკაცრავად, ბოლო თქვენ ხართ?
## ქართველები რიგში წყნარად დგანან უკან

**ჩვენი დროით** 30 ოქტომბრის გარიჟრაჟზე ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 57-ე რეგულარული ჩემპიონატი დაიწყო. რატომღაც თავიდანვე ისე დაიგეგმა, პირველი დღე არ უნდა გადატვირთულიყო თამაშებით და ამიტომაც სეზონი არატრადიციულად ცოტა, მხოლოდ სამ ქალაქში — ორლანდოში, საკრამენტოსა და ლოს ანჯელესში გაიხსნა. ამ ქალაქის მკვიდრი გუნდები შესაბამისად ფილადელფიელებს, კლივლენდელებსა და სანანტონიოელებს დაუხვდნენ. ნბა-ს წევრთა უმრავლესობისთვის კი სეზონი 30 ოქტომბერს (ჩვენი დროით 31 ოქტომბრის დილა) იხსნება და „დაგვიანებულ“ დებიუტანტთა შორისაა ორი ქართველის ორი გუნდი „მაიამი“ და „დენვერი“. ვოვა სტეფანია „მაიამი“ ფლორიდულ დერბიში „ორლანდოს“ მასპინძლობს, ხოლო ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს“ უპიდო (?) ლაშქრობა ელის ჩრდილოურ მინეაპოლისში მინესოტელ „მგლებთან“.

წინ მძიმე სეზონი უძევთ ქართველ გოლიათებს. მათი გუნდები წლეულს აუტსაიდერობის უეჭველი კანდიდატები არიან. „დენვერი“ ხომ წინასწარაა მიჩნეული 29-ე გუნდად 29 ერთეულში, რაზეც „ნაგიტსის“ უხეირო შემადგენლობა და ავტორიტეტულ ექსპერტთა სრული უმრავლესობის აზრი მეტყველებს. სეზონისწინა რეიტინგებში, სადაც გუნდები დალაგებულები არიან დღევანდელი სიძლიერის მიხედვით, ჯეფ ბზდელიკის „მომავლის გუნდს“ მყარი ბოლო ადგილები უკავია და ხალხი დიდად გაიოცებს, თუკი კოლორადოელები 82 თამაშიდან თუნდაც ოცს მოიგებენ.

ახალბედა ბზდელიკის განკარგულებაში ყველაზე უხეირო შემადგენლობაა. თუ ტრავმირებულ ცენტრ მარკუს კემბის არ ჩავთვლით, „დენვერს“ ერთადერთი ვარსკვლავი ჯუონ ჰოვარდი და ნბა-ს სტანდარტებით მხოლოდ სამი ნორმალური და არა კარგი მოთამაშე მოეძებნება. 12-კაცა შემადგენლობის დანარჩენ რვა წევრს, რომელთაგან სამი ახალბედაა, ნამდვილ თამაშში ლამის 20 გადაბმული წუთი არ უთამაშია. ამ კატეგორიის მოთამაშეებს შორისაა ნიკა ცქიტიშვილიც, რომლისგან ბზდელიკი ბევრს ვერ მოითხოვს. ერთი კი ცხადია, მწვრთნელი მაქსიმალურად გაიმეტებს სათამაშო წუთებს ჩვენებურისთვის, იქნებ რამდენჯერმე სასტარტო ხუთეულშიც დააყენოს და დაელოდება მის პროგრესს. ანალოგიურ მდგომარეობაშია „დენვერში“ ნიკასთან ერთად მისული ახალი ბრაზილიელი ნენე ილარიო.

ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშია ვოვა სტეფანიას „მაიამი“. ფლორიდელებს დაბეჩავებული „ნიუ იორკი“ ჰყავთ დივიზიონში და შეუძლიათ, მათ მაინც ბოლო ადგილი ლეგენდარული პატ რაილი მეტს არც მოელის გუნდისგან, რომელმაც ლიდერი ალონზო მორნინგი დაკარგა. მორნინგმა ზედ სეზონის წინ განმეორებით განაცხადა, რომ ამ სეზონს საკუთარი ნებით და ექიმთა რჩევით გამოტოვებს, რათა ავადმყოფ თირკმლებს მიხედოს, სანამ ისინი ვება პატრონს სამარემდე მიიყვანენ.

უმორნინგობა საკმაო პერსპექტივებს უშლის ვოვა სტეფანიას. ის ალონზოს პირველი შემცვლელი იყო, ახლა კი, როცა თავისუფალ აგენტთა ბაზარს დახლზე ხეირიანი ცენტრი არ შემორჩენია, რაილის სხვა გზა არა აქვს, ჩვენებურს უნდა ანდოს ადგილი სასტარტო ხუთეულში. სტეფანია ყოველნაირად ცდილობს, სახელგანთქმულ მოძღვარს იმედები გაუმართლოს. მას ბოლო თვეებში ვარჯიში არ დაუკლია და თავის მეხუთე პროფესიულ სეზონს რამდენიმე კილო კუნთებით დამძიმებული ხვდება.

**ირაკლი ფირცხალავა**

| მაიამი ჰითი | | |
|---|---|---|
| **უკანახაზელები** | | |
| ტრევის ბესტი | 180 | 30 |
| ედი ჯონსი | 198 | 31 |
| ენტონი კარტერი | 188 | 27 |
| ედი ჰაუსი | 186 | 24 |
| მაიკ ჯეიმსი | 188 | 27 |
| **ფორვარდები** | | |
| კერონ ბატლერი | 201 | 22 |
| ბრაიან გრანტი | 206 | 30 |
| ლაფონსო ელისი | 203 | 32 |
| მალიქ ალენი | 208 | 24 |
| რაშუალ ბატლერი | 201 | 23 |
| **ცენტრები** | | |
| ვლადიმერ სტეფანია | 216 | 26 |
| შონ მარქსი | 208 | 27 |
| **ტრავმირებულთა სია** | | |
| ალონზო მორნინგი | 208 | 32 |
| შონ ლემპლი | 201 | 23 |
| კენ ჯონსონი | 208 | 24 |
| მწვრთნელი: პატ რაილი | | |

| დენვერ ნაგიტსი | | |
|---|---|---|
| **უკანახაზელები** | | |
| კრის ვიტნი | 183 | 31 |
| ჯეიმს პოუზი | 203 | 25 |
| კენი სატერფილდი | 188 | 21 |
| ლორინზა ჰამილტონი | 193 | 22 |
| **ფორვარდები** | | |
| როდნი ვაიტი | 206 | 22 |
| ჯუონ ჰოვარდი | 206 | 29 |
| რაიან ბოუენი | 206 | 26 |
| დონიელ ჰარვი | 203 | 22 |
| ნენე ილარიო | 211 | 20 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | 213 | 19 |
| **ცენტრები** | | |
| მარკ ბლუნტი | 213 | 26 |
| კრის ანდერსონი | 208 | 24 |
| **ტრავმირებულთა სია** | | |
| მარკუს კემბი | 211 | 28 |
| პრედრაგ სავოვიჩი | 198 | 26 |
| ვინსენტ იარბრო | 201 | 21 |
| მწვრთნელი: ჯეფ ბზდელიკი | | |

**SPORTSLINE-ის რეიტინგი**

1. საკრამენტო
2. სან ანტონიო
3. ლეიკერსი
4. ნიუ ჯერსი
5. დალასი
6. პორტლენდი
7. ნიუ ორლეანი
8. დეტროიტი
9. ფილადელფია
10. ბოსტონი
11. მინესოტა
12. კლიპერსი
13. მილუოკი
14. ორლანდო
15. ინდიანა
16. იუტა
17. სიეტლი
18. ტორონტო
19. ჰიუსტონი
20. ვაშინგტონი
21. ატლანტა
22. ფინიქსი
23. მაიამი
24. კლივლენდი
25. ნიუ იორკი
26. მემფისი
27. გოლდენ სტეიტი
28. ჩიკაგო
29. დენვერი

**CNN-ის რეიტინგი**

1. ლეიკერსი
2. საკრამენტო
3. დალასი
4. სან ანტონიო
5. ნიუ ჯერსი
6. ნიუ ორლეანი
7. პორტლენდი
8. ფილადელფია
9. ბოსტონი
10. ვაშინგტონი
11. მინესოტა
12. მილუოკი
13. ინდიანა
14. ორლანდო
15. იუტა
16. ტორონტო
17. ატლანტა
18. ჰიუსტონი
19. კლიპერსი
20. სიეტლი
21. დეტროიტი
22. ფინიქსი
23. მაიამი
24. ნიუ იორკი
25. მემფისი
26. ჩიკაგო
27. გოლდენ სტეიტი
28. კლივლენდი
29. დენვერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუერტენი განუთესავებს დაუნათესავდა
## გუგა გუგუნს გადაეჩვია, წუწუნს დაეჩვია



გუსტავო კუერტენს სეზონის ბოლო რადეკ სტეპანეკმა ჩაუშწარა

**მასტერს სერია**

პარიზი. პარდი

საპრიზო 2,8 მილიონი დოლარი

**პირველი წრე**

რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 4:6, 6:3, 7:6 (7:3); ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — ენტონი დუპუი (საფრანგეთი) 5:7, 6:3, 6:3; არნო კლემანი (საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:5, 6:3; გასტონ გაუდიო (არგენტინა) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:4, 7:6 (7:1); კენეთ კარლსენი (დანია) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:4, 7:6 (7:3); იარკო ნიემინენი (ფინეთი) — მარიო საბალეტა (არგენტინა) 6:1, 1:6, 6:3; ქსავიე მალისი (ბელგია) — სტეფან კუბეკი (ავსტრია) 5:7, 6:2, 6:0; ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) 6:3, 6:3; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მიხაელ კრატოჩვილი (შვეიცარია) 3:6, 6:2, 6:2; ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:2, 6:1

პარიზული მასტერსტურნირი საკმაოდ ხმაურიანად დაიწყო. მართალია, ორშაბათს, პირველ დღეს, 16 განთესილიდან ერთიც არ თამაშობდა, მაგრამ ჩოგბურთის პარიზულმა ქომაგობამ ტურნირის ორგანიზატორებს გული სიხარულით აუჩქროლა და ცენტრალური კორტის 14 200 სკამი შეავსო.

ჩოგბურთის პარიზულ ლიანგს, დიახაც, ჰყავს საქომაგო სუბიექტი. მათებური არნო კლემანი დაახლოებით თავისი კალიბრის გერმანელ რაინერ შუტლერს ხვდებოდა და მხურვალე მხარდაჭერის თანხლებით და 7:5, 6:3 გამარჯვებით გავიდა მეორე წრეში, სადაც მეტოქედ წოწოლა ჰოლანდიელი სხენგ შალკენი ეყოლება.

ტაში და გამხნევება არ მოჰკლებია კიდევ ერთ მასპინძელს, ენტონი დუპუის. მანაც პირველი სეტი 7:5 მოუგო ეკვადორელ ნიკოლას ლაპენტის, რის შემდეგაც სერიოზული საფრთხე დაემუქრა მის მხარდამჭერთა ხელისგულებს, მაგრამ ფრანგმა მეჩოგნემ თავად გადაჭრა ეს პრობლემა, მომდევნო სეტი 3:6 წააგო, მესამეც ასევე დათმო და გულანთებული თანამემამულეები ხელების გადაყვლეფას გადაარჩინა, თუმც კაცი ვერ იტყვის, ეს შეგნებულად და სურვილისამებრ მოიმოქმედაო.

საზოგადოდ, დუპუი ლაპენტიზე ურიგო ჩოგბურთელია და მართალია, მისი წაგება ბევრს ეწყინა, გაოცებით არავინ გაოცებულა. ტურნირის პირველ დღეს ლამაზი ჩოგბურთი არ მოჰკლებია, მაგრამ მოულოდნელობები კი შემოაკლდათ სენსაციის მოყვარულთ. მხოლოდ გუსტავო კუერტენმა გაუკეთა საჩუქარი სენსაციაზე ჩასაფრებულ ჟურნალისტებს — ჩეხ რადეკ სტეპანეკთან წააგო. სხვათა შორის, არც კუერტენს აკლდა აპლოდისმენტები და მხარდაჭერა, მიუხედავად არაფრანგული წარმოშობისა. ადგილობრივები აშკარა სიმპათიით გამსჭვალულან საფრანგეთის ღია პირველობის სამგზის მომგები ბრაზილიელის მიმართ და გრძნობები დაუნანებლად გამოამჟღავნეს, განსაკუთრებით კი მესამე, გადამწყვეტ სეტში, რომელშიც კუერტენი ტაიბრეიკში გადასული მატჩის შემობრუნებას ამაოდ ლამობდა.

„არ მინდოდა სეზონის ამგვარად დასრულება — სინანულით ეუბნებოდა გუგა ჟურნალისტებს ნამატჩევს — ეს წელიწადი ისე დავიწყე, სულ განსხვავებულ ბოლოს მოველოდი. ჩემთვის ძალიან საჭირო ტურნირი მოვიგე ბრაზილიაში, კარგად ვითამაშე დევისის თასზე, სხვაც რამდენიმე კარგი ტურნირი მქონდა, „როლან გაროსსა" და „ფლეშინგ მედოუზზე" მერვედფინალში გავედი… არა, აშკარად არ გამიმართლა."

მთლიანობაში კუერტენს არც ისე კარგი სეზონი ჰქონდა, როგორც მისი ნათქვამიდან შთაბეჭდილება იქმნება. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ტრავმებმა მიასავათა და მან რეიტინგის მოწინავე ოცეულშიც კი დაკარგა ადგილი. ამ ტურნირზე რომელიც გუგასთვის უკვე დასრულდა, ის განთესილიც კი არ იყო. განთესილებში რომც მოხვედრილიყო, ალბათ, მაინც ვერ წავიდოდა შორს, აგერ მსოფლიოს 68-ე ჩოგბურთელთან წააგო. იმ დღეს ყველას როდი შეხვდა სტეპანეკივით იოლად გადასაყლაპი მეტოქე.

განუთესავმა ეშელონმა მეორე წრისთვის ბრძოლა მომდევნო დღეს, სამშაბათსაც გააგრძელა. საწყისი ეტაპის გავლა მოახერხა ფრანგთა კერპმა ნიკოლა ესკუდემ. კი არ მოახერხა, პირველი წრე ჩაარიხინა. ესპანელი ფელიქს მანტია საათნახევარსაც ვერ დაუდგა შინ მოთამაშე მეტოქეს და 2:6, 1:6 მარცხით მისი უპირატესობა უსიტყვოდ აღიარა. ესკუდე მშვენიერ ფორმაშია და საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი გი ფორჟე, ალბათ, არ გამოტოვებს დევისის თასის ფინალისწინა სელექციისას. შარშანდელ ფინალში ავსტრალიასთან ესკუდემ თავისი წილი ორივე მატჩი მოიგო და წლევანდელ ფინალში რუსების ასევე ძლევას იქადნება.

**კოტე ყორშია**


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**
**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**



ანდრე პეტავანი



ფაბრის ბროშარი

# იტალია თუ საქართველო? საქართველო! თქვეს ფრანგებმა

*თბილისშია საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ამ უქმეებზე სპარინგს გაუმართავს ჩვენს 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრებს. მატჩის დღე ჯერ დასაზუსტებელია. ქართველთა და ფრანგთა შეხვედრა სავარაუდოდ „ეროვნულზე" შაბათს, 2 ნოემბერს გაიმართება.*

*საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრები გუშინ ჩამოფრინდა თბილისში. გუნდს ჩამოჰყვა პარიზის რეგიონის რაგბის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ანდრე პეტავანი, რომელიც ჭაბუკთა საგაისო პარიზული მსოფლიოს თასის საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია. პეტავანი საფრანგეთის რაგბის ფედერაციის 10-კაციანი დირექტორატის წევრია და ევროპაში რაგბის განვითარების პრეზიდენტის ჟან კლოდ ბაკეს მეგობარია.*

*ფრანგთა 33-კაციან დელეგაციას ანდრე პეტავანი ხელმძღვანელობს.*

*საფრანგეთის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელი ფაბრის ბროშარს გუშინ სასტუმროში შევხვდით. იგი ამასთან საფრანგეთის ახალგაზრდული და უმცროსი ასაკის ნაკრებებს კურირებს და მომავალი თაობის აღზრდაში ძირითადი ფიგურაა. საუბარს ესწრებოდა ანდრე პეტავანიც.*

**— რატომ აირჩიეთ სპარინგ-მატჩისთვის მაინცდამაინც საქართველო და არა რეიტინგით გაცილებით ძლიერი ნაკრები?**

**ფაბრის ბროშარი:** ჩვენ ვთანამშრომლობდით იტალიის რაგბის ფედერაციასთან. მაგრამ იტალია ახლა კრიზისშია, პროგრესი არ შეინიშნება, საქართველო კი პირიქით, წლიდან წლამდე უმატებს. თქვენ სახელი გაგივარდათ. სპორტული თვალსაზრისით უფრო მომგებიანია მზარდ გუნდს ეთამაშო, ვიდრე იმას, ვინც პოტენციალი ამოწურა.

**— თქვენი აზრით, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები უფრო ძლიერია, ვიდრე იტალიის?**

— საქართველო იტალიაზე საინტერესო გუნდია. ქართველებთან გაჯიბრება ჩვენ ბევრს შეგვმატებს.

**ანდრე პეტავანი:** ორგანიზაციულ-ტექნიკური მხარე მთლიანად საფრანგეთის რაგბის ფედერაციის ერთ-ერთი კომიტეტის გადასაწყვეტი იყო, რომელიც ახალგაზრდულ რაგბის კურირებს. ამ კომიტეტში მე და ფაბრისი ვართ. უმეტესობამ საქართველოში ჩამოსვლას მისცა ხმა და ახლა ვცდილობთ, ჩვენი გადაწყვეტილება გავამართლოთ. ეს თქვენზეც არის დამოკიდებული. ლაპარაკია როგორც ნაკრებზე, ასევე ჟურნალისტებზე თუ ამ მატჩს საკადრისი რეზონანსი მოჰყვება, ჩვენ კიდევ უფრო დაგეხმარებით, რათა საქართველოში რაგბი უფრო განვითარდეს. თანაც არავინ შემოგვედავება, საქართველოში რაგბის ყურადღებას არ აქცევენ. ჩვენ ქართველებისთვის კარგი გვინდა, თორემ სპარინგ-პარტნიორს ყველგან მოვძებნით. სხვათა შორის, თვითმფრინავში ჩვენთან იმგზავრა საფრანგეთის ელჩმა საქართველოში და თქვენზე ძალიან კარგი წარმოდგენა შეგვიქმნა.

**— ნაკრებში თუ გყავთ ისეთი მორაგბეები, რომლებიც თავიანთ კლუბებში ამინდს ქმნიან?**

**ბროშარი:** არა, რადგან ისინი ჯერ უწლოვანები არიან და კლუბებთან კონტრაქტი არ აკავშირებთ. თუმც ამ ასაკში ყველა ძლიერი მორაგბე ჩამოვიყვანეთ. გამოვარჩევდი შერკინების გამთამაშებელ კრისტოფ კლარკს, რომელიც სადაცაა „კოლომიეს" ძირითადი მეცხრე ნომერი გახდება. ძალიან ნიჭიერი ბიჭია.

**— საქართველოში ჩამოსვლა იმანაც ხომ არ გაფიქრებინათ, რომ ჩვენი პირველი ნაკრები მსოფლიოს თასზე გავიდა და ავტორიტეტიც შეიმატა.**

**ბროშარი:** რა თქმა უნდა, ამანაც იქონია გავლენა, მაგრამ მარტო ამან არა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა წლეულს მსოფლიოს თასზე ძალიან კარგად ითამაშა და მეათე ადგილი დაიკავა. მე მითხრეს, რომ ქართველები ფიზიკურად მშვენივრად არიან მომზადებულები თამაშს ურიგოდ არ კითხულობენ. ჩვენთვის ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ჩემები ერთი წლით უფროსებთან საკმაო გამოცდილებას შეიძენენ.

**— ეს თანამშრომლობა ერთი კონკრეტული მატჩით შემოიფარგლება თუ სამომავლოდაც გაგრძელდება?**

**პეტავანი:** რა თქმა უნდა, გაგრძელდება. თებერვალში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები საფრანგეთში მივიწვიეთ საერთაშორისო ტურნირზე. იქ თამაში ძალიან წაადგებათ თქვენებს და მსოფლიოს თასისთვის კარგადაც მოემზადებიან.

საუბარი პეტავანის მობილურის ზარმა შეგვაწყვეტინა. მას ევროპაში რაგბის განვითარების საბჭოს პრეზიდენტმა ჟან კლოდ ბაკემ დაურეკა. პეტავანი ხუთიოდ წუთი ესაუბრა ბაკეს, მერე ტელეფონი გათიშა და განაგრძო.

— ახლა ბაკეს ველაპარაკე, მკითხა, როგორ ჩაზვედით, როგორ დაგხვდნენ.

**— რა უპასუხეთ?**

— ასეთი დახვედრა არსად მინახავს. მართალია, პირველად ვარ და ქალაქს არ ვიცნობ, მაგრამ სითბო უკვე ვიგრძენით. ბაკეს მერე ყველაფერს დაწვრილებით მოვუყვები.

**— მაინც?**

— იმას, რომ აქ პატივისცემით გვეპყრობიან და საქართველოში რაგბი უყვართ. მასპინძლობა მშვენიერია. ამაზე გაგონილი მქონდა, მაგრამ ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. სხვანაირად არ გამიგოთ და, მესამე ტაიმს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

**— ჩვენში მატჩის შემდგომი ლხინი უმაღლეს დონეზეა ორგანიზებული.**

— ეჭვიც არ მეპარება. ვიცი, რომ ქართველებს ქეიფი და დროსტარება არ გეშლებათ. რაგბიში კი ამას განსაკუთრებული ეშხი აქვს.

**— ფრანგულ კლუბებში მოთამაშე რომელიმე ქართველს თუ იცნობთ?**

— პირადად არავის, მაგრამ „ორიაკის" ნახევარდაცვის ქართული წყვილი მომწონს. ირაკლი აბუსერიძე და პალიკო ჯიმშელაძე დიდ სამუშაოს ასრულებენ და ნელ-ნელა გუნდის ლიდერები ხდებიან.

**ბროშარი:** მე ლევან ცაბაძეს გამოვარჩევდი. „მონფერანში" ფრანგული რაგბის ვარსკვლავების გვერდით თამაშობს და არ იკარგება. მართლაც ძლიერი მორაგბეა.

**— საქართველოს ნაკრების მწვრთნელ კლოდ სორელს თუ იცნობთ?**

**ბროშარი:** არა, რადგან იგი არ მუშაობს რაგბის ფედერაციაში. სამაგიეროდ, როგორც მწვრთნელს, ვიცნობ მისი შედეგებით. ყველასათვის უცნობი საქართველო მსოფლიოს თასზე გაიყვანა. მერწმუნეთ, ეს ძალიან დიდი შედეგია. მისი ნიჭი და გამჭრიახობა იქიდანაც კარგად ჩანს, რომ ქართველი მორაგბეები ფრანგულ კლუბებში მოაწყო და წინსვლის საშუალება მისცა. თორემ, რაც აქ მოედნები ვნახე, კარგი მორაგბის გაზრდა წარმოუდგენელია. ქართველები ამითაც ხართ უნიკალური ხალხი. ასეთ პირობებში ასამდე ლეგიონერი გაუშვით საფრანგეთში, რაც, მერწმუნეთ, უძნელესი საქმეა.

**ბაჩო სვანიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი. მე-7 ტური

# დათვებმა ქუდი დაიხურა. აბანოში წავიდა

**თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა**

**უნივერსიტეტი 9:8 დათვები 2**

**უნივერსიტეტი:** გ. კობახიძე, ქისაშვილი, ბარამიძე (გიგაური), ი. კობერიძე, დგებუაძე, ჭუმბურიძე, დანელია; ალავერდაშვილი, კუთარაშვილი, ქარაბაკი, მთიულიშვილი, ბიძინაშვილი, კორკოტაძე, სუთიაშვილი, კვიტარიძე
3 ს: ბარამიძე

**დათვები 2:** შანიძე (შავაძე), ს. ევგენიძე, სვინტრაძე (მეიშვილი), გ. ევგენიძე, დავლაძე, ჩუბინიძე, ჰ. გიორგაძე; გურეშიძე (კეპულაძე), თათევოსიანი, პაპავა, ალიქაძე, პარწიკანაშვილი (გუგუშვილი), შვანგირაძე, კიკვიძე, ხაჟომია (კახიძე)
1 ლ: ს. ევგენიძე; 1 ს: ევგენიძე
**მსაჯი:** მიხეილ ჩაჩუა

**თბილისი. ვარკეთილის მეურნეობა**

**ყოჩები 13:16 ლოკომოტივი**

**ყოჩები:** ზ. კობერიძე, გრუტკო, ტრაპაიძე, გომართელი, მხეიძე, ავლოხაშვილი, ფაილოძე; კიკნაველიძე, ალიმბარაშვილი, გულუხია, ქავთარაძე, ჭელიძე, გოლიაძე, კახაძე (აბრამიშვილი), ხაბეიშვილი
1 ლ: ტრაპაიძე; 1 გ: ავლოხაშვილი; 1 ს: ავლოხაშვილი; 1 ა: ავლოხაშვილი

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ძიძიაშვილი, ბუგიანიშვილი, გ. გიგაური, გუგავა, ხაჩირაშვილი, სამხარაძე; მაჟუტაძე, ცხადაია, გასვიანი, დათუნაშვილი; გ. გიორგაძე, მაისურაძე, გ. სვანიძე, ა. კობახიძე (დვალიშვილი)
2 ლ: ბუგიანიშვილი, მაისურაძე; 2 ს: ხაჩირაშვილი
**მსაჯი:** გია ჯავახიშვილი

**ქუთაისი. დინამო**

**აია 0:35 დათვები**

**აია:** ზვიადაძე, ლილუაშვილი, სულამანიძე, გიორგი ცნობილაძე (მოდებაძე), ნამჩევაძე, სორდია, ი. ჩუბინიძე (ბოდგაძე), მ. გაბუნია, მინაძე (კუხიანიძე), მაღლაკელიძე (ქიქაბერიძე), ორმოცაძე (მამასახლისი), ბუხაიძე, კოპალიანი, გიგა ცნობილაძე (ფრუიძე), ქევანიეშვილი

**დათვები:** ძაგნიძე, კიკნაძე, პინჩუკოვი (იშვეთია), კაპანაძე, ხონელიძე, მაჩიტიძე, კიკაჩეიშვილი (ზელაძე), უჩავა (ვ. ცნობილაძე), ყურაშვილი, ცხვედიანი, ჩირგაძე, მოქია (ბერიძე), დადუნაშვილი, ბალანჩივაძე (საყვარელიძე), ღლონტი (მარგველაშვილი)
5 ლ: ვ. ცნობილაძე (2), ლ. ღლონტი, უჩავა, საყვარელიძე; 2 გ: მაჩიტიძე, ძაგნიძე; 2 ს: მაჩიტიძე
**მსაჯი:** ნ. რობიტაშვილი

**პლეი ოფამდე** სამი ტურიღა დარჩა და ოთხეულში მოსახვედრად გვარიანი ბრძოლა გაჩაღდა. თავი ქუდში მხოლოდ დათვებს აქვთ. ჯერაც დაუმარცხებელი ზღვისპირელები უდანაკარგოდ ლიდერობენ გათამაშებას. დარჩენილი სამი ადგილისთვის კი ოთხი გუნდი იბრძვის: „ყოჩები", „დათვები 2", „ლოკომოტივი" და „უნივერსიტეტი". ამათში უკეთეს მდგომარეობაში „ყოჩები" არიან და ჩემპიონი „ლოკომოტივი" რომ დაემარცხებინათ, თავს სანახევროდ სამშვიდობოს დაიგულებდნენ.

ეს არ მოხდა, რკინიგზელებმა მოუგებელი სერია შეწყვიტეს და „ყოჩები" დაამარცხეს. ამით „ლოკომოტივმა" გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა და ქულებით უმცროს დათვებს გაუტოლდა.

ამაში რკინიგზელებს „უნივერსიტეტიც" დაეხმარა, რომელმაც „დათვები 2" თბილისობას ისტუმრა და დაძაბული შეხლა 9:8 მოუგო. თავის მხრივ სტუდენტებსაც ჰაერივით სჭირდებოდათ 2 ქულა, რაკი საყოველთაო ამნისტიის შემდეგ ჩამორთმეული ქულა დაუბრუნდათ და თვალი საპლეიოფო ოთხეულისკენ უჭირავთ.

„დათვებმა" კი წინა ტურში დაიბევეს ადგილი საპლეიოფო ოთხეულში და ახლა ერთი საზრუნავიღა დარჩენიათ — უდანაკარგოდ ჩაამთავრონ პლეი-ოფამდელი ეტაპი, ოღონდ მანამდე გუნდს საერთაშორისო შეხვედრაც ელის. „დათვები" აჭარის სახელით ევროპის ქვეყნების რეგიონთა თასზე თამაშობენ და 3 ნოემბერს საფრანგეთში ბურგუნდიის მხარის ნაკრებს დაუპირისპირდებიან მეოთხედფინალში. ჩვენებურები პარასკევს ჩარტერული რეისით მიფრინავენ უცხოეთს.

ფრანგებთან თამაშამდე ბოლო რეპეტიცია „დათვებს" ქუთაისში ჰქონდათ. დიდი მონდომების მიუხედავად, მასპინძლებმა ვერაფერი დააკლეს მეტოქეს. მე-5 წუთისთვის „დათვები" 12:0 იგებდნენ. მასპინძლებს მხოლოდ ტაიმის ბოლოსკენ მიეცათ ანგარიშში სხვაობის შემცირების შესაძლებლობა, როცა სამი წუთი უტრიალეს მეტოქის ლელოს, თუმც ვერა იხეირეს.

„აიას" მეორე ნახევარში შეცვლაზე გამოსულმა ყოფილმა აიელებმა მოუთავეს ხელი. ორჯერ ვალერი ცნობილაძე გაისარჯა ოსტატურად, სტუმრების მეხუთე ლელო კი საყვარელიძემ მიითვალა.

„დინამოს" სტადიონი მოუმზადებელი დაუხვდა მორაგბეებს. გუნდები მოედნის დახაზვას და კარის ძელების აღმართვას დაელოდნენ და ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყეს მატჩი, ოღონდ ამას ვინღა ჩივის. ტლაპოში ნაბურთავებმა, თავიდან ფეხებამდე ტალახში ამოთხვრილმა მოთამაშეებმა (ამათ მშობელი დედაც ვერ იცნობდა) დაბანაც ვერ მოახერხეს — სტადიონის საშხაპედან ცხელი წყალი „გაპარულიყო". სუსხიან ამინდში ცივს წყალს თავს, აბა, ვინ შეუშვერდა, თუმც მასპინძლებს მაინც ეყოთ გამძლეობა, „დათვებმა" კი ქალაქის ერთ-ერთ აბანოს მიაშურეს.

**ბაჩო სვანიძე**

**იუზა ბაციტაძე ქუთაისიდან**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 7 | 7 | 0 | 0 | +175 | 14 |
| ყოჩები | 7 | 3 | 1 | 3 | +9 | 7 |
| დათვები 2 | 7 | 3 | 0 | 4 | +5 | 6 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 0 | 4 | -11 | 6 |
| უნივერსიტეტი | 7 | 2 | 0 | 5 | -71 | 4 |
| აია | 7 | 1 | 1 | 5 | -115 | 3 |

**2003 წლის მსოფლიო თასი. შესარჩევი ტურნირი**

*მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილი ორი საგზურისთვის ევროპასა და ოკეანეთში ორი მატჩი გაიმართა. საქართველოსგან ძლეული რუსეთი რეპეშაჟ 1-ში ჩაება და პირველივე მატჩში გაინაღდა მომდევნო ეტაპზე გასვლა. ოკეანეთში კი რეპეშაჟი 2-ის გათამაშება ერთი სტადიით უსწრებს ევროპისას და აქ პაპუა ახალმა გვინეამ ორმატჩა შეხლაში აჯობა კუკის კუნძულებს და ახლა ტონგასთან დაიჭერს საქმეს*

# რუსეთმა მეთი იბერიის ჯავრი მეორეზე იყარა

**რეპეშაჟი 1**

მადრიდი. უნივერსიტეტის სტადიონი

**ესპანეთი 3:36 რუსეთი**

**ესპანეთი:** ჯ: სოუტოს
**რუსეთი:** ლ: გრაჩოვი, პიტერსი (3), სიმონოვი, ს. სერგეევი; პგ: სიმონოვი

სავიზო პრობლემების გამო რუსებს დააკლდათ სერგეი მოტორინი და ალექსეი ტრავკინი. თბილისურ მატჩში დაშავებული მონტობანელი კონსტანტინ რაჩკოვი და მცველი იგორ დიმჩენკო ჯერაც ვერ არიან ჯანზე. რუსთა მწვრთნელებმა რაჩკოვის ნაცვლად ათ ნომერზე ათამაშეს სამხრეთაფრიკელი რენე პიტერსი, რომელმაც ესპანელებს სამი ლელო გაუტანა, ხოლო შერკინების გამთამაშებლად ალადგინეს ბოლო დროს სამარქაფო ვიქტორ იანიუშკინი.

პრობლემები ჰქონდათ ესპანელებსაც. ამათ ერთბაშად ცხრა კაცი მოისაკლისეს. ამიტომ მათმა ფრანგმა მწვრთნელმა პიერ პირესმა ბლომად ახალბედა ათამაშა. ასეთ ვითარებაში მეტი შანსი რუსეთს ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ სტუმრად თამაშობდა.

რუსებმა თავიდანვე შეუტიეს და ვიაჩესლავ გრაჩოვმა მე-5 წუთზევე ჩაუდრიბლინგა ესპანელთა მცველებს და ლელოს უწია. ამის შემდეგ გრაჩოვი 10 წუთით გააგდო მსაჯმა რაკი ზედახორაში ესპანელს მუჯლუგუნი უთავაზა. რიცხვნაკლულ მეტოქეს მასპინძლებმა მხოლოდ 3 ქულა აართვეს. დაწყებული საქმე რუსებმა ბოლომდე მიიყვანეს და საპასუხო მატჩის წინ, რომელიც დაბა მონინოში 9 ნოემბერს გაიმართება, 33-ქულიანი ჰანდიკაპი შეიქმნეს.

**რეპეშაჟი 2**

**კუკითი 21:13 პაპუითი**

**პირველი მატჩი 14:29**

კუკის კუნძულებმა შინ კი მოუგეს პაპუეთს, მაგრამ მომდევნო წრეში მაინც ვერ გავიდნენ, რაკი წინა უქმეებზე 14:29 წააგეს სტუმრად და 15-ქულიანი ჩამორჩენა ვერ გააბათილეს.

პაპუა ახალი გვინეა ახლა ტონგას შეხვდება და ორი მატჩის ჯამში ალბათ წააგებს. ტონგა, რომელმაც ოთხი წლის წინ საქართველოს გადაუღობა მსოფლიოს თასისკენ მიმავალი გზა, ობიექტურად პაპუეთზე ძლიერია.

ტონგასა და პაპუეთს შორის გამარჯვებული შინ და სტუმრად ითამაშებს სამხრეთ კორეასთან და ამათ საბოლოო ბრძოლაში გაირკვევა მსოფლიოს თასის მონაწილე.

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ავტორბოლა

# შიშმა დიდი სისულელეც იცის

## ეკლსტოუნმა დროზე დაამუხრუჭა: მიხვდა, მთელი მსოფლიო აგინებდა

ლონდონის აერო-პორტ „ჰითროუს" კონფე-რენც-ცენტრში გამართულ საერთაშორისო საავტომო-ბილო ფედერაციის (FIA) საგანგებო სხდომას ფორმულა 1-ის მთავარი მო-ქმედი პირნიც და გულშემატკივრებიც მოუთმენლად ელოდნენ. დღის წესრი-გში ხომ ერთი-ორი ისეთი პროექტი იყო (ბევრის აზრით, უაზრო), რომე-ლთა რეალიზებაც სამეფო რბოლებს სიკეთეს ვერ მოუტანდა, თუმც იდეის ავტორები — ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი და ვიცე-პრეზიდენტი ბერნი ეკლსტოუნი მიიჩნევდნენ, რომ სწო-რედ ეს გზა გაალვივებდა ბოლო წლე-ბში „ფერარის" დომინირების მიზეზით ფორმულისადმი საკმაოდ მიმქრალ სა-ყოველთაო ინტერესს.

მადლობა ღმერთს, საღმა აზრმა გა-იმარჯვა და უმთავრესი საპოლემიკო თემა, ჩემპიონატის ლიდერის ბოლი-დის ზედმეტი ტვირთით — ბალასტით დამძიმების საკითხი არც განუხილავთ. ამ „რევოლუციური წინადადების" მო-მფიქრებელმა ეკლსტოუნმა ოპონენტე-ბის გავლენით სხდომამდე დაიხია უკან, მართალი ხართ, ბალასტის პრინციპი ფორმულის არსს ეწინააღმდეგებაო.

სამაგიეროდ, „სამეფო რბოლების" წი-ნსვლისთვის გამიზნული ორი ისტო-რიული გადაწყვეტილება მიღებულია: 2003 წლიდან საკვალიფიკაციო ბრძო-ლა უფრო გართულდება, რადგან კა-რგა ხნის წინ გაუქმებულ ორდღიან პრინციპს დაუბრუნდნენ — პილოტის სასტარტო პოზიცია პარასკევს და შა-ბათს წრის გავლისას ნაჩვენები შედე-გებით განისაზღვრება. ამასთან, ჩასათ-ვლელი ცდების რაოდენობა ოთხიდან ორამდე შემცირდა.

მეორე რადიკალური ცვლილება ქუ-ლების დარიცხვას ეხება. ეს წესი ფო-რმულის 53-წლიანი არსებობის მანძი-ლზე სულ ორ-სამჯერ შეიცვალა, თუმც ჩათვლას ყოველთვის საუკეთესო ექვ-სეული იღებდა. პირველადგილოსანს გა-ისადაც იმდენივე ერგება, ოღონდ ქუ-ლებს უკვე რვა მრბოლი მიითვლის — შესაბამისად 10, 8, 6, 5, 4, 3, 2, 1 ქულას. შესადარებლად, მეორეადგი-ლოსანი აქამდე ექვს ქულას იღებდა.

იმედია, ესეც გარკვეულწილად გა-ზრდის საპირველადგილო კონკურენ-ციას, რადგან ბოლო სეზონების უზუ-რპატორ მიხაელ შუმახერს უკვე ტრა-დიციად ქცეული ვეებერთელა უპირა-ტესობა აღარ ექნება და უწინდელი-ვით ადვილად, ბოლო რბოლამდე ხუ-თი-ექვსი ეტაპით ადრე ვეღარ გაინა-ღდებს მორიგ ტიტულს.

აგრეთვე ოფიციალურად აიკრძალა შიდაგუნდური მიცემ-მოცემა, რაც ფე-რარელებმა ბოლო ორ ჩემპიონატში არა-ერთხელ მოიმოქმედეს. ცხადია, ეს „სა-მეფო რბოლებს" საგრძნობლად უტე-ხავს სახელს, ამიტომ მსგავსი კულუ-ცობა მომავალში მკაცრად დაისჯება.

ბოლოს იმაზეც, რაც ერთი შეხე-დვით, წარმოუდგენელი ჩანდა: FIA-მ საგაისო, მსოფლიოს 54-ე ჩემპიონა-ტის თითქმის უკვე დამტკიცებული კა-ლენდრიდან ბელგიური ეტაპი ამოშა-ლა. ძნელად დასაჯერებელი ამბავია, რომ რბოლა სპა-ფრანკორშამის ლე-გენდარულ ტრასაზე, რომელიც ფორ-მულა 1-ის დაბადებიდან, ანუ 1950 წლი-დანაა „სამეფო რბოლებში" და ყველა პილოტის საყვარელი სასპარეზოა, მო-მავალი წლიდან აღარ გაიმართება. მი-ზეზი ევროპაში გაჩაღებული თამბაქოს საწინააღმდეგო კამპანია. 2006 წლი-დან მთელ „ბებერ კონტინენტზე" აიკ-რძალება თამბაქოს ნაწარმის რეკლა-მა. არადა, სწორედ „მარლბოროს", „ვე-სტის", „ლაქი სტრაიქისგან" მიღებუ-ლი ასეული მილიონობით დოლარი გა-ხლავთ როგორც ფედერაციის, ასევე გუნდების შემოსავლის უმთავრესი წყა-რო კი არა, მდინარე.

ბელგიამ საპაპიროსე ყადაღა 2003 წლიდან დააკანონა. ფედერაციის ხელ-მძღვანელობამაც არც აცია, არც აცხე-ლა და რაკი ასე გეჩქარებოდათო, ამგ-ვარი რადიკალური, ყველასთვის გულსატკენი გადაწყვეტილება მიიღო.

**გია ახალაძე**



REUTERS

ფორმულა 1-ის ბედის გამგებლები: ბერნი ეკლსტოუნი და მაქს მოსლი

ხელბურთი

### ევროპის საკლუბო ჩემპიონატი

გერმანია. 25-26 ოქტომბერი

ნახევარფინალი (დესაუ)

**ფოტექსი (უნგრეთი) 31:23 კილი (გერმანია)**

**მაგდებურგი (გერმანია) 35:33 სიუდად რეალი (ესპანეთი)**

მესამე ადგილისთვის

**სიუდად რეალი 32:20 კილი**

ფინალი (მაგდებურგი)

**მაგდებურგი 31:30 (17:15) ფოტექსი**

ბოლო წლებში არა მარტო გერმანიის, არამედ ევროპის საუკეთე-სო გუნდმა საკლუბო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა. წლევანდელ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „მაგდებურგს" მეტოქეები მართლაც ღირსეული ჰყავდა — ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასის მფლობელი „კილი", თასების მფლობელთა თასზე საუკეთესო „სიუდად რეალი" და ლიგის ფინალისტი „ფოტექსი".

მიუხედავად იმისა, რომ „მაგდებურგი" საკუთარ მოედანზე ასპარეზობდა, წარმატების მიღწევა ძალიან გაუძნელდა.

საჩემპიონო 25 000 ევროსთან ერთად მაგდებურგელებმა სხვა პრიზებიც მოიპოვეს — 15 გოლით ბომბარდირი გახდა პოლონელი გჟეგოჟ ტკაჩუკი, ხოლო ოთხმატჩიანი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ გერმანელთა ისლანდი-ელი ლეგიონერი ოლაფურ სტეფანსონი დაასახელეს.

ჰოკეი

რეგულარული ჩემპიონატი

ევროპული ბიბლიოთეკა



REUTERS

# რატომ არის მარიო სუპერ?

## ლემიემ ერთ თამაშში ოპერაციაც გაიკეთა და შაიბაც გაიტანა

28 ოქტომბერი

**პიტსბურგი 3:2 ვაშინგტონი 2:0 1:2 0:0**

**1:0 დონოვანი (6), 2:0 პრდინა (14),2:1 ბონდრა (23), 3:1 ლემიე (33), 3:2 პელპერნი (40)**

ეგებ ლიგის ისტორიაში მარიო ლე-მიეზე უფრო დიადი მოთამაშეებიც ყო-ფილან, მაგრამ მასსავით გენიალურად ჰოკეიდან წასვლა და მერე უკან დაბრუ-ნება ვერავინ შეძლო. ვინ იცის, რამ-დენჯერ ალუფრთოვანებია მის „co-meback"-ებს მაყურებელი და აი, ორ-შაბათსაც... მეორე პერიოდი ახალი და-წყებული იყო, რომ პიტსბურგის შე-ტევისას ალექსეი კოვალიოვის და-რტყმის შემდეგ შაიბა მცველ სერგეი გონჩარის ყვანჯისგან ასხლტა და მო-ულოდნელად მარიოს მოხვდა სახეში. იგი წუთნახევარი ყინულზე იწვა, მე-რე ჩასისხლიანებული სახით წამოდგა. ჭრილობაზე 25 ნაკერი დაადეს... სანამ მარიო ყინულზე იყო, მისი გუნდი 2:0 იგებდა. მისი გასვლისთანავე ვაშინგ-ტონმა ერთი გაქვითა და საკმაოდ გა-აქტიურდა. მეტი რა გზა ჰქონდა, მა-რიო დაბრუნდა. მერე მისი გუნდი რი-ცხვმრავლობაში დარჩა და ამას ხე-ლიდან როგორ გაუშვებდა — პარტნიო-რის ზუსტი პასის შემდეგ ლემიემ ისე ძლიერად დაარტყა, გამოცდილმა ოლაფ კოლციგმა შაიბა ზედა მარცხენა კუთ-ხეშიღა დალანდა. ამის შემდეგ ვაშინ-გტონმა ბევრი იწვალა, მაგრამ ერთი გოლიღა გაქვითა. „ჩვეულებრივ, ასე-თი ტრავმის შემდეგ ყინულზე აღარ ბრუნდებიან, მაგრამ ეს ხომ მარიოა" — აღტაცებული იყო ნამატჩევს პიტ-სბურგის თავკაცი რიკ კეჰუ.

საინტერესოა, რომ ამ მატჩში ლე-მიე და იარომირ იაგრი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, როგორც მე-ტოქეები. შარშან ჩეხი ვაშინგტონში გადავიდა და ახლა ძალიან სურდა, დაემტკიცებინა, რომ ახალ გუნდშიც ლიგის საუკეთესო ბომბარდირად რჩე-ბა, თუმც ბოლოს ხელცარიელმა და-ტოვა ყინული — პიტსბურგის შვე-დმა მეკარემ იოჰან ჰედბერგმა 40 და-რტყმა მოიგერია და თავად ლემიეც კი დაჩრდილა.

**რეინჯერსი 3:1 ფინიქსი 0:0 2:2 0:0 1:0**

**0:1 დოუნი (23), 0:2 სავაჟი (28), 1:2 ბურე (29), 2:2 ბურე (39), 3:2 ნედვედი (63)**

თითქოს წესად იქცა: როცა პაველ ბურე იტანს, მისი გუნდი არ აგებს, თუ ორი გოლი გაიტანა ხომ... ფინი-ქსთან თამაშში ეს ერთხელაც დადას-ტურდა და რეინჯერსის ქომაგებს ისღა დარჩენიათ, ილოცონ, რომ ბურემ რაც შეიძლება ბლომად გაიტანოს. ისე, 20 მატჩში 19-ჯერ შეაგდო და მეტიც რაღა ქნას. გამარჯვებისა პეტერ ნედვედის საოვერტაიმო გოლი გამოდგა. კარიერის პირველივე დღიდან რეინჯერსში მოა-სპარეზე მეკარე მაიკ რიხტერისთვის კი ეს გამარჯვება მე-300 აღმოჩნდა.

**ტორონტო 5:2 ანაჰაიმი 1:1 3:0 1:1**

**1:0 მაკოლი (2), 1:1 კალენი (5), 2:1 ანტრო-პოვი (27), 3:1 მოგილნი (31), 4:1 სუნდინი (40), 4:2 რუჩინი (45), 5:2 რაიხელი (56)**

როგორც იქნა, ტორონტომ ნავსი გატეხა და ოთხი უხეირო მატჩის შე-მდეგ იმარჯვა. ანაჰაიმთან თამაშში მასპინძლებს საქმე თავიდან არცთუ კარგად წაუვიდათ და გულშემატკი-ვრებმა უკმაყოფილება სტვენით გა-მოხატეს, მაგრამ მეორე პერიოდში ნიკოლაი ანტროპოვისა და მათს სუ-ნდინის ყოჩაღობამ მათ სიხარული მი-ანიჭა. „ასეთია ცხოვრება, როცა ვი-გებთ, ქომაგი ჩვენს გვერდითაა, მაგრამ როცა ვაგებთ... ასეა, ხალხი ფულს იხდის და საყვარელი გუნდის მოგე-ბის სანახავად მოდის" — რეალის-ტურად შეაფასა მაყურებელთა რეაქცია ტორონტოელმა ალექსანდრ მოგილნიმ.

**ედმონტონი 3:4 დალასი 0:2 1:1 2:0 0:1**

**0:1 მეჩერი (14), 0:2 მოდანო (20), 1:2 ჯ. სმიტი (28), 1:3 გერინი (38), 2:3 ნიინიმაა (43), 3:3 მორო (53), 3:4 მო-დანო (61)**

**ფლორიდა 1:6 ტამპა 1:2 0:0 0:4**

**1:0 ნილსონი (3), 1:1 ანდრეიჩუკი (5), 1:2 პროსპალი (14), 1:3 ფედოტენკო (56), 1:4 კლაიმერი (57), 1:5 ლეკავალიე (58), 1:6 მოდინი (59)**

აი, თურმე რას ნიშნავს მეკარე გუ-ნდისთვის. მერე იტყვიან, მეკარე გუ-ნდის ნახევარიაო. ნახევარი კი არა, ნიკოლაი ხაბიბულინი ნამდვილად მე-ტია. როგორც კი „ბულინის კედელს" საშუალება მისცეს, უქმეებზე დაეს-ვენა, ტამპამ ნიუ ჯერსისთან სეზო-ნში პირველი მარცხი იწვნია. თან როგორი, 1:5. დაბრუნდა ხაბიბულინი და ყველაფერი მოწესრიგდა. „ალბათ, ანგარიში არ გამოხატავს იმას, რაც ყინულზე ხდებოდა. ჩვენი უპირატე-სობა ამდენად დიდი როდი იყო" — თქვა მატჩის შემდეგ ტამპას თავკა-ცმა ჯონ ტორტორელამ. ამას მკით-ხველიც მიხვდება, როცა ოქმს ჩახე-დავს. ჯერ კიდევ 56-ე წუთზე სხვა-ობა მინიმალური იყო.

**სამველ ლარიბიანი**

### კვირის მოთამაშე

#### მარიან გაბორიკი (მინესოტა)



ზედიზედ მეორე სეზონია, მინესოტა კარგად იწყებს ჩემპიონატს, მაგრამ, შარშანდლისგან განსხვავებით, სპე-ციალისტებს სჯერათ, რომ ამჯერად გუნდი გააგრძე-ლებს წინსვლას. ამის საფუძველს ლიდერ მარიან გაბო-რიკის თამაში აძლევთ. „გაბორიკი დიდებულია. შარშა-ნაც კარგად თამაშობდა, მაგრამ ერთი წელი მოემატა, დავაეკაცდა" — ფინიქსელმა ტეპო ნუმინენმა იცის, რას ამბობს. შაბათს 21 წლის სლოვაკმა ისეთი ამბავი დაა-ტეხა თავს მის ფინიქსს, რომ საბრალო „კოიოტებს" დიდხანს ემახსოვრებათ. 6 გოლიდანაც უკლებლივ ყვე-ლა მარიანის უშუალო მონაწილეობით გავიდა — 2 თავად შეაგდო, 4-ჯერ პარტნიორები ახეირა. 10 წელია, ამ ასაკის მოთამაშეს ერთ მატჩში 6 ქულა არ მოუგროვებია, თუმც გაბორიკი ამაზე არ შეჩერებუ-ლა, მისი ოსტატობა თავის თავზე კალგარიმაც (გოლი და პასი) გამოსცადა და 8 ქულით ამ კვირაში სლოვაკს ბადალი არ ჰყავდა, რასაც კვირის მოთამაშედ აღიარებაც მოჰყვა.

**საუკეთესო ექვსეული 21-27 ოქტომბერი**

*მარტინ ბროდო (ნიუ ჯერსი, 1); ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი, 2) — იანე ნონიმაა (ედმონტონი, 1); მარიან გაბორიკი (მინესოტა, 1) — მარტინ სენტ ლუისი (ტამპა, 1) — ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 1)*

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 7 | 6 | 0 | 0 | 1 | 18:11 | 12 |
| ფილადელფია | 8 | 5 | 2 | 0 | 1 | 32:18 | 12 |
| პიტსბურგი | 9 | 5 | 2 | 0 | 2 | 31:29 | 12 |
| რეინჯერსი | 11 | 4 | 2 | 0 | 5 | 28:38 | 10 |
| აილენდერსი | 8 | 3 | 1 | 0 | 4 | 22:30 | 7 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 8 | 5 | 2 | 0 | 1 | 26:21 | 12 |
| მონრეალი | 8 | 3 | 2 | 0 | 3 | 22:29 | 8 |
| ოტავა | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 14:12 | 7 |
| ბუფალო | 8 | 3 | 1 | 0 | 4 | 22:20 | 7 |
| ტორონტო | 10 | 3 | 1 | 0 | 6 | 32:31 | 7 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ტამპა | 9 | 6 | 2 | 0 | 1 | 36:24 | 14 |
| ვაშინგტონი | 9 | 4 | 1 | 0 | 4 | 19:22 | 9 |
| კაროლინა | 9 | 3 | 1 | 1 | 4 | 20:25 | 8 |
| ფლორიდა | 10 | 3 | 1 | 1 | 5 | 23:35 | 8 |
| ატლანტა | 8 | 0 | 0 | 1 | 7 | 24:35 | 1 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 7 | 5 | 1 | 0 | 1 | 25:15 | 11 |
| დეტროიტი | 9 | 5 | 1 | 0 | 3 | 34:23 | 11 |
| ჩიკაგო | 7 | 3 | 1 | 0 | 3 | 18:16 | 7 |
| კოლუმბუსი | 8 | 3 | 1 | 0 | 4 | 22:24 | 7 |
| ნეშვილი | 8 | 1 | 1 | 2 | 5 | 18:22 | 5 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| მინესოტა | 9 | 6 | 2 | 0 | 1 | 33:19 | 14 |
| კოლორადო | 8 | 3 | 3 | 1 | 1 | 20:16 | 10 |
| ვანკუვერი | 9 | 3 | 3 | 0 | 3 | 25:24 | 9 |
| კალგარი | 9 | 2 | 2 | 2 | 3 | 24:30 | 8 |
| ედმონტონი | 9 | 2 | 2 | 1 | 4 | 22:27 | 7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| დალასი | 10 | 6 | 2 | 0 | 2 | 33:22 | 14 |
| ლოს ანჯელესი | 8 | 4 | 2 | 0 | 2 | 24:21 | 10 |
| ფინიქსი | 10 | 3 | 0 | 1 | 6 | 21:33 | 7 |
| სან ხოსე | 8 | 3 | 0 | 0 | 5 | 22:30 | 6 |
| ანაჰაიმი | 9 | 2 | 2 | 0 | 5 | 22:30 | 6 |

**ბომბარდირები:** ლემიე (პიტსბურგი) 20(5+15); კოვალიოვი (პიტსბურგი) 14(7+7); მოდანო (დალასი), სუნდინი (ტორონტო) და მოგილნი (ტორონტო) 14(5+9); მოროზოვი (პიტსბურგი) 13(7+6); სენტ ლუისი (ტამპა) 13(6+7); გაბო-რიკი (მინესოტა) 13(5+8); პროსპალი (ტამპა) 12(4+8); დრური (კალგარი) 12(3+9); ბურე (რეინჯერსი) 11(7+4); იოკინენი (ფლორიდა) 11(5+6); ელისონი (ლოს ანჯე-ლესი) 11(4+7); გრეტონი (ბუფალო) 11(3+8); ბოილი (ტამპა) 11(2+9); ზუბოვი (დალასი) 11(1+10)

# გადმოაგდო

ბრიდერის თასის რბოლაში ოხერი ამბავი მოხდა: ჩიკაგოს არლინგტონ პარკზე ყველამ დაინახა, როგორ მოისროლა ცხენმა ლანდსერმა ჟოკეი ედგარ პრადო. მხედარს არა უშავს, საბრალო ცხენმა კი ფეხი მოიტეხა.



REUTERS ჩიკაგოდან

# სპლიტის ჰაერში

ხორვატიის ქალაქ სპლიტის მთავარ მოედანზე ასზე მეტი სკეიტბორდისტი ბიჭი შეიყარა და სკეიტბორდული ამბავი შეუშვა. მოსეირეები თანდათან იყრიდნენ თავს. აბა, ვის არ მოეწონება ჰაერში მოკისკისე ბიჭების ცქერა.



REUTERS სპლიტიდან



REUTERS კარტახენიდან

# იქორწინა

როგორც იქნა, დაქორწინდნენ მეფორმულე ხუან პაბლო მონტოია და მისი გულის ახალი რჩეული კონი ფრიდელი. ქორწილზე ბევრი ხალხი იყო, თუმცა იქ არა ყოფილა მონტოიას თანაგუნდელი რალფ შუმახერი. ჯვრისწერა კოლუმბიის ქალაქ კარტახენაში ჩატარდა, სან ტორიბიოს ეკლესიაში.



REUTERS ოვიედოდან

# დუნგა ასტურიაში

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი კაპიტანი დუნგა ესპანეთის პრინც ფელიპეს ართმევს ხელს. ეს ხდება ასტურიის მთავარ ქალაქ ოვიედოში, ხოლო ფელიპეს ტიტული კი ასტურიის პრინცობაა. ასტურიის პრინცს ყოველწლიური ჯილდოები ჰქონია და გადაუწყვეტია, წლევანდელი პრიზი ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრებისთვის გადაეცა.

# ბეისბოლის ცქერისას

ბეისბოლის მსოფლიო სერიის მეექვსე თამაში ანაჰაიმში: იქაურები სან ფრანცისკოელ გოლიათებს ერიკტაფელებიან. ტრიბუნაზე კი მძლეოსნობის ვარსკვლავები: მერიონ ჯონსი და ტიმ მონტგომერი.



REUTERS ანაჰაიმიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუზელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ღვევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კავჟანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge